



ISSN 0132-1307

# საბჭოთა სელოზიება

1980 12



ქართული  
წიგნიერება

შურნალი გამომდის  
1921 წლიდან

12/1980

# სსსრ საბჭოთა სელსოვნიება

## შინაარსი

ელდარ შენგელია — ახალი სივალეებისაკენ . . . . .	2
სსრკ სახალწფიყო პრემიის ლაურეატები . . . . .	5
თეიმურაზ შოთა რუმბაველის სახელობის სახალწფიყო აკადემიური თეატრის გასტროლები მოსკოვში . . . . .	6
შერაბ გეგია — გომოგარი ფილმების გამოკახილი . . . . .	12
ალექსანდრე ბლუკი — ინტელიგენცია და რევოლუცია . . . . .	18
ინოვაციის თეატრის გასტროლები თეიმურაზში . . . . .	22
პარმენ ჯაქარაია — ნოვალაქმა-აკეთილშობილის საინფორმაციო განყოფილების იუბილე — 100 . . . . .	25
ზურაბ ანჯაფარიძე — ფილი, გაწვდილობები, უკვდავი! . . . . .	34
მანანა ასმეტელი — ლიბრეტოები მომღვაწე . . . . .	35
სიმონ ბოლქვაძე — მოზონება . . . . .	39
კუბლინაძე . . . . .	40
ფრაზიონები კომპოზიტორ თამარ ვახუშტაძის ფილმებისთვის . . . . .	40
თენგიზ კვიციანი — არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი . . . . .	42
მირა ფიჩხაძე — მისტიკი ფილმი — 90 . . . . .	46
კანულ ლენჩილაძე — ბალეტური ტანკოს „თემისა“ . . . . .	50
მზა ბაქრაძე — თბილისი . . . . .	56
თამარ წულუკიძე — მოზონება . . . . .	62
ა. ლახვი — ელემენტარული სტრუქტურულ-რიტმული ვიდეოკა- ციები . . . . .	72
ირინე ლოლობერიძე — თან-ლი ბარსე ნიგოზიანი ქართულ მხატვრულ ფილმში . . . . .	80
გურამ დოჩინაშვილი — ფილმის კართული ცეკვა (პიესა) . . . . .	82
პრონიკა . . . . .	100

საპარტოვლო სსრ კულტურის სამინისტროს  
ყოველთვიური შურნალი

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ფორმობრუნება

მთავარი რედაქტორი  
თამარ მინაძე  
სამრედაქციო კოლეგია:  
პაპია ბაქრაძე,  
მანანა ასმეტელი,  
ნოდარ გუგუნიანი,  
ჯორჯი თეთრფარი  
(კასპისსამხრეთი მხარე),  
ვინკო კვიციანი,  
ნოდარ მალაქოვილი,  
ჯურაბ ნიჭიანი,  
გიორგი მარჯანიშვილი,  
ნათელა ურუშაძე,  
რეზა ჩხეიძე,  
ანდრონო ფულაძე,  
ნიკო მარჯანიშვილი,  
ნოდარ ჯანაშიანი





**XXVI**



**ს კ კ კ  
ყრილობის  
შესახებმადრად**

# ახალი სიმაღლეებისაკენ

ელდარ შენგელია

1981 წელი დიდი და ნათელი მოვლენების წელია. ჭეშმარიტად ამაღლებულია ის პატრიოტული შემართება და შემოქმედებითი ენერჯია, რომლითაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. ამ ყრილობათა მაღალი ტრიბუნიდან შეჯამდება და ყოველმხრივ განალიზდება მეთათუ ხუთწლეუმი განვლილი გზა, შეფასდება დაგროვილი გამოცდილება, დაისახება მომავალი გეგმები.

ყრილობისათვის მზადების დღეებში ჩვენ, ქართველ კინემატოგრაფისტებს გვსურს კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი განვლილ გზას, გავიაზროთ თუ როგორ ესადაგებოდა ეს გზა იმ დიდ ამოცანებს, მრავალეროვნული საბჭოთა კინოხელოვნების წინაშე რომ იყო დასახული.

უაღრესად საინტერესო გზა განვლო საბჭოთა კინომ ამ ხუთწლეუში. ეს იყო დაძაბული შემოქმედებითი შრომის, ძიებებისა და მიღწევების წლები, განვითარების ახალ საფეხურზე რომ აიყვანეს მთელი საბჭოთა კინოხელოვნება და კერძოდ მისი მოწინავე რაზმი — ქართული კინემატოგრაფი.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაობის შემდგომი განვითარებისა და იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დოკუმენტები, ლ. ი. ბრეჟნევის შრომები დიდად უწყობენ ხელს საბჭოთა კინემატოგრაფისტებს მთავარი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში — აქტიური დახმარება გაუნიონ

პარტიას მაღალი კომუნისტური მორალის სულისკვეთებით საჭიროა ადამიანების აღზრდის საქმეში.

განვიღო პერიოდში ქართული კინო მიჰყვებოდა მაგისტრალურ ხაზს, თავის ძირითად და მნიშვნელოვან მიმართულებას, ურომლისოდაც დღეს კინოხელოვნებაზე მსჯელობა შეუძლებელია — ეს არის ქართული კინოს ოსტატების სწრაფვა რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდნენ თანამედროვე თემას, რაც მთლიანად კინემატოგრაფიული პრაქტიკის გათანამედროვეობასაც გულისხმობს. თუ ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ვილაპარაკებთ 70-იანი წლების მეორე ნახევრის კინოზე, უნდა აღინიშნოს, რომ აქ მიმდინარეობდა თანამედროვე თემატიკის ათვისების, მორადიკოს გაზარებისა და თანაღიზების პროცესი. ქართული კინო არ კმაყოფილდება მარტო იმით, რაც ხელშეახებია, რაც ჩანს, იგი დაინტერესებულია ხვალინდელი დღით, მომავლის პერსპექტივით, ამიტომ ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად მიმდინარეობს პროგნოზირების, მასშტაბებისა და გლობალური პრობლემების აპრობირების, ადამიანთა ბედ-იღბალში მათი გარდატეხის გააზრების პროცესი.

ყველაფერი ეს გამოიხატა უკანასკნელი წლების ისეთ ფილმებში, როგორცაა თ. აბულაძის „ნატრის სიყვარული“, ო. აივლიანის „პასტორალი“, ი. ჩხაიძის „თუში მეცხვარე“, გ. შენგელაიას „ქვიშანი დარჩებიან“, ლ. ლომბერძინის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, გ. ლორთქიფანიძის და გ. გაბისკირიას „დათა თუთაშხია“ და სხვ. აღსანიშნავია იაივი, რომ თანამედროვეობის პრობლემებით სერიოზულად არის დაინტერესებული ახალგაზრდობა, ამის მაგალითია ო. გვასალიას „იმედის მწვენი კუნძული“, ნ. მანაგაძის „კაშხალი მთაში“, ფორმითა და სულისკვეთებით თანამედროვე კომედიები — ი. კვირიკაძის „ქალაქი ანარა“ და რ. ესაძის „ერთი ნახვით შეყვარებულნი“. ეს ფილმები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმით, გადაწყვეტით, აღბათ მხატვრული ღირებულებითაც კი, მაგრამ მნიშვნელოვანია თვით ფაქტი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გაბეჭდულად მიმართავს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ამუშავებს მათ.

70-იანი წლების ქართულ კინოზე საუბარი შეუძლებელია იმ ცვლილებების გარეშე, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში მოხდა. ისიც ცხადი და ნათელია, რომ ახალი ტიპის გმირის გამოჩენაც არ შეიძლება აიხსნას ამ მოვლენების გარეშე. უკანასკნელ წლებში გარკვევით გამოიკვეთა ფანრის საზღვრების გაფართოების, ძველი კონსტრუქციებისა და სტილისტიკის რღვევის, გმირის მხატვრული განზოგადების მქონე მკვეთრი ეროვნული თავისებურების ხასიათის ძიების ტენდენ-

ციები. თუ ზემოთ თქმულს ჭეშმარიტებად მივიჩნევთ, მაშინ უეჭველი უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ მიმდინარეობს თანამედროვე თვისებების მქონე მხატვრული სახის ძიება, რომელიც თავისებურად უნდა გამოვლენდეს სხვადასხვა სფეროში. ჩვენს კინოში ყალიბდება ახალი ადამიანი — საქმიანი, მშრომელი, მცოდნე, მაღალი პარტიული პრინციპების მქონე მორალურად კრისტალური პიროვნება. ამ თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობისაა სრავ სახალხო არტისტის რ. ჩხეიძის ფილმი „რაიკომის მდიანი“, რომელიც ყრილობის დღეებში გამოვა ეკრანზე.

სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კვიციანის ცხოვრებასა სახული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალ ნაწარმოებში „ბრმა ტყვიანი“ (სცენარის ავტორი ა. მაკარაი, რეჟისორები გ. კალატოზი-შვილი და გ. გაბისკირია). აღსანიშნავია, რომ ფილმის ავტორები ახლებურად მიუღიანენ ისტორიულ-რეგულაციური თემის დამუშავებას — ფილმის გმირი დანახულია თანამედროვის თვალში. მისი სიხარული, მიხსნული და ტკივილებიც თავის თანამედროვის სიხარული და ტკივილებია. ეს არის ნათელი იდეალისთანაღიზების მეტროპოლი თანამედროვის მხატვრული სახე.

ქართული კინო განაგრძობს თავის საუკეთესო ტრადიციებს ლიტერატურული ეკრანიზაციის საქმეში. თ. აბულაძის „ნატრის სიყვარული“, გ. ლორთქიფანიძისა და გ. გაბისკირიას „დათა თუთაშხია“, გ. კანდელაკის „უბედურება“ და ბეგუნი სხვა ფილმი ამის ნათელი დადასტურებაა.

კომედიის ჟანრული სტრუქტურის განახლება, მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნის საქმეში დაგროვილი გამოცდილების სრულყოფა, ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად, დღევანდელი ქართული კინოა დამახასიათებელი თავისებურებებით. ამ წლებში გამოვლენილ ფილმთაგან საუკეთესოთ, წილად ხვდა მყურებელთა დიდი ინტერესი, ღირსოული დაფასება და აღიარება ს. კავშირი კინოფორმისა და თესტიკალეზე. უკანასკნელ ხუთ წელწინადაში არ გამართულა არცერთი საკამერო ფესტივალი, რომ ქართული კინემატოგრაფისტიკის მთავარი პრიზი არ მოეპოვებინათ. მრავალი პრიზი აღინიშნა ქართული კინო საერთაშორისო ფესტივალებზეც. „ნატრის სიყვარული“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „ქალაქი ანარა“, „პირველი მერცხალი“, „მეცხვარე საუკუნის ქართული ქრონიკა“... აი არასრული სია საერთაშორისო კინოფესტივალებზე გამარჯობული ქართული ფილმებისა.

ჩვენი კინოს წინსვლასა და წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შექმნილი ფილმებიდან თითო — „ნატრის სიყვარული“

1491



და „თუში მეცხვარე“ — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა, ხოლო ფილმს „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ სულ ახლახან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

გარკვეული ძვრები მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს კინოდოკუმენტალისტიკაშიც. ქართული დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში გაჩნდა მაღალმხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმები: რ. თაბუკაშვილის „კვალი ნათელი“ და „ალბური ვარსკვლავი“, ვ. შიქელიძის „წინ კომუნისტები არიან“ და „დიდი გზის უტაბები“, გ. ყვანიას, გ. ჭუბაბრიას, ლ. ბაქრაძის თავისთავადი კოლორიტიული ფილმები.

შეუძლებელია ვილაპარაკოთ უკანასკნელი წლების ქართულ კინოზე და არაფერი ვთქვათ სატელევიზიო ფილმების სტუდიის საქმიანობაზე. იმ წარმატებებთან ერთად, რომლებიც ამ სტუდიას აქვს მხატვრული ფილმების შექმნის საქმეში, განსაკუთრებით ხანგასამედიას ვაგრძელებ, რომ ბოლო ხანებში გამოიკვეთა კინოდოკუმენტალისტიკის საინტერესო და მკვეთრი ტენდენციები, რაც კარგად ესადაგება ტელევიზიის სპეციფიკას. მისასაღებელია, რომ ამ სტუდიაში შეიქმნა ფილმები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვეობის აქტუალურ თემებს — საბჭოთა ადამიანების შემოქმედებით შრომას, ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს. სურათები, რომლებიც ასახავს ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს სამეურნეო, კულტურულ და სამეცნიერო სფეროში. გ. ლევაშოვ-თუმანიშვილის „ექსპერიმენტი“, თ. მოდებაძის „კუმლი“, თ. გვასალიას „დიალოგი“ და სხვ. საინტერესოდ ასახავენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს. ეს ფილმები განსხვავდება მხატვრული გადანწყობის მეთოდით, რეჟისორული კონცეფციით, თითოეულ მათგანში ავტორები ეძებენ ახალ გამომსახველობით ხერხებს, ფორმებს, უარს ამბობენ სტერეოტიპზე, აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული მიქალაქეობრივი თემატიკა.

ახალი პერიოდის, ახალი გამომსახველობითი საშუალებების ძიების პროცესი მიმდინარეობს ქართულ მულტიმედიაში, მაგრამ ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა კინემატოგრაფის ამ რთულმა და სპეციფიკურმა დარგმა იმ მხატვრულ დონეს მიაღწიოს, რომელიც მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ სახვით კულტურას ეკადრება.

ქართული კინემატოგრაფის ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად ჯერ კიდევ რჩება საბავშვო და საყმაწვილო კინო. ჩვენში ყოველწლიურად კეთდება ფილმები მოზარდთა აუდიტორიისთვის, მაგრამ ამ ნაწარმო-

ბთა მხატვრული დონე უდავოდ ბადებს უკეთესს სურვილს.

და კიდევ რამდენიმე სიტყვით მინდა შევჩერდე ჩვენს ახალგაზრდობაზე, იმ შემოქმედებით ძალზეზე, რომლებსაც ეკუთვნის ქართული კინოს მომავალი. ითხის წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა პარტიისა და მთავრობის დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. ჩვენს კინოკომიტეტსა და კინოკავშირს უყურადღებოდ არ დაუტოვეთ ეს ფაქტი და ამ ხნის მანძილზე ჩატარდა ძალზე სასარგებლო მუშაობა ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკების აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა სტუდენტური ფილმების ფესტივალი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი შესაძლებლობები, ტარდება შეხვედრები, კონფერენციები და თათბირები. გასული წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენს კინემატოგრაფიულ ცხოვრებაში — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტმა გამოუშვა რეჟისორთა პირველი ნაკადი. ჩვენ, მათი ბედგოგები, დიდი მღელვარებით ველით კურსდამთავრებულთა პირველ დამოუკიდებელ ნამუშევრებს. ზოგიერთი მათგანი შეუდგა კიდევ მუშაობას კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ახლადგახსნილ გაერთიანება „დებიუტში“.

პარტიის XXVI ყრილობის წინ, როცა ჩვენს განვლილ მუშაობაზე ვფიქრობთ, კარგად გვესმის, რომ მთავარი და მნიშვნელოვანი ჯერ კიდევ წინ არის, რომ ქართული კინოს ოსტატებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, რათა ღირსეულად უპასუხოთ პარტიის ზრუნვას, სრულყოფილად, მაღალმხატვრულ დონეზე გამოხატონ ეპოქის მაჯისცემა, სული-სკვეთება და ამით ჩვენს მაყურებელს დაეხმარონ კიდევ უფრო ნათლად შეიგრძნოს დიდი ძვრებით აღსავსე, უძღრესად საინტერესო ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.




# სსრკ სსხელმწიფო პრეზიის ლაურეატები



ლ. ლოლობერიძე



ნ. არსენიშვილი



ე. აბულადანი

სსრკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის 1980 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ:

ლოლობერიძეს ლანა ლეჟანის ასულს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სცენარის ავტორსა და რეჟისორს, პრესინფორმაციის ჯანიბა ივანეს ასულს, ახალგაზრდა პარტიის სსრკ-ის, სცენარის ავტორებს, პრემია-ინფორმაციის ნუბუბარ ინფორმაციის-ის, ოპერატორს, ლეჟანის ასულს, პრესინფორმაციის-ის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, შინაპარტიულ სოფიო მინიჭილის ასულს, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ სახალხო არტისტს, მთავარი როლის შემსრულებელს, — მხატვრული ფილმისათვის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საპრობლემურად“.

ფურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სარედაქციო კოლეგია და რედაქცია ულოცავენ ფილმის დამდგმელ ჯგუფს ამ საპრობლემურად და უსრულებენ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

ნ. ტრქომიშვილი



ქ. ლეზაიძე



ს. ჭიატურელი





თბილისის  
უმთა



სსსრ კავკასიის  
სახელოების  
სახელმწიფო  
აკადემიური



თეატრის  
განსტროლები  
მოსკოვში

წინამორბედი გასტროლებიდან ოთხი წლის შემდეგ მოსკოვის თეატრალური საზოგადოების წინაშე კვლავ წარსდგა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი. 17 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე რუსთაველელთა განკარგულებაში იყო მცირე თეატრის სცენა. ამ სახელგანთქმულ შენობაში ქართველმა მსახიობებმა წარმოადგინეს სამი სპექტაკლი: ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, შექსპირის „რიჩარდ III“ და თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“.

ამჯერადაც, რუსთაველის თეატრის გასტროლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია: თეატრალურ წრეებში ნამდვილი აჟიოტაჟი სუფევდა, ყოველ საღამოს მცირე თეატრის მისადგომებთან თავს იყრიდა უზილეთოდ დარჩენილი უამრავი ხალხი, ტევა არ იყო მაყურებელთა დარბაზში, სადაც სპექტაკლების დაწყებისთანავე უცერად ჩამოვარდებოდა ხოლმე ცნობისმოყვარეობით დამუხტული, უაღრესად დაცაბული სიჩუმე, რომელსაც დროდადრო ადაზღუდა მქუხარე ტაში. სპექტაკლების დასასრულს კი აღფრთოვანებულით ოვაციებს ბოლო არ უჩანდა.

თუ რა ვითარება სუფევდა რუსთაველელთა გასტროლების დროს თეატრსა და თეატრს გარეთ ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა შთაბეჭდილებები:

**რსფსრ სახალხო არტისტი კინორეჟისორი ელდარ რიაზანოვი:**

„ვესრები რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს და საესე ვარ სხვადასხვაგვარი. მრავალფეროვანი შთაბეჭდილებებით. საესებით ბუნებრივი, კანონზომიერი და დამსახურებულია ის ტრიუმფი, ენითაუნერელი, არნახული, განსაცვიფრებელი წარმატება. რომელიც ახლავს რუსთაველის თეატრის გასტროლებს: ბილეთებს, რომელთა შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაყურებლები დაეძებენ თეატრიდან სამი კილომეტრის მანძილზე. ასეთი ინტერესის გაცვიფება ძალიან ძნელია. დღეს ეს მეტი-სმეტად იშვიათად ხდება. ასეთი წარმატება ახსოვთ მხოლოდ მსოფლიოში სახელგანთქმულ თეატრებს.“

ქართველი მაყურებლები ბედნიერი არიან, რადგან აქვთ ასეთი შესანიშნავი თეა-

ტრი, ჰყავთ დიდი ტალანტით დაჯილდოებული ისეთი ორიგინალური და საინტერესო რეჟისორი, როგორც არის რობერტ სტურუა, რომელიც ყველა სპექტაკლი ეპოქის თანხმირია, განუმეორებელია და თავისებური, ჰყავთ ბრწყინვალე აქტიორების თანავარსკვლავედი, რომელთა შორისაა სწორუპოვარი ტალანტი — რამაზ ჩხიკვაძე. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ მისი აზდაკი და რიჩარდ III, რომ უმაღლეს თვალწინ წარმოვიდგებოდა საოცრად მრავალფეროვანი, მკვეთრად განსხვავებული ნახსენებები მისი ნიჭისა. რუსთაველის თეატრის ბევრ შესანიშნავ მსახიობს ვიცნობ კინოდანაც. ამჯერად ძალიან გამახარა მსახიობმა გია ფერაძემ, რომელიც შთამბეჭდავ ცოცხალ სახეს ქმნის ბრეხტის პიესაში. შესანიშნავად მუშაობს კომპოზიტორი გია ყანჩელი, რომლის მუსიკა უზუსტად ერწყმის თეატრალურ ქმედებას.

ერთი სიტყვით, მშურს თქვენი — ქართველი მაყურებლებისა, რადგან შეგიძლიათ ყოველდღიურად შეალოთ ამ შესანიშნავი თეატრის კარი და ეზიაროთ ჭეშმარიტ ხელოვნებას ალბეტილს გზებით, თავისუფლებით, ახარტულობით, გამოიმგონებლობით, მჩქეფარე ფანტაზიით...“

**მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობი ნატალია ვილკინა:**

„ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე, რომ მოსკოვში ასეთი მღელვარებით ელოდებოდნენ რომელიმე თეატრის ჩამოსვლას. ბევრი, ძალიან ბევრი მსახიობი, თეატრალური ხელოვნების მოღვაწე სპეციალურად ესტუმრა მოსკოვს, რათა მოხვედრილიყო რუსთაველის თეატრის სპექტაკლებზე. მეც, რა თქმა უნდა, ყოველდღე ვესწრებოდი ამ შესანიშნავ წარმოდგენებს. ვნახე სამივე სპექტაკლი „რიჩარდ III“, „კავკასიური ცარცის წრე“, „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ და გული სიამაყით მეცხება, მიხარია, რომ არსებობს ასეთი თეატრი. განსაკუთრებულია ამ სპექტაკლების ატმოსფერო — სხვადასხვაგვარი და ყოველთვის მაღალპოეტური.“

რუსთაველის თეატრი გვანცვიფრებს მაღალი რეჟისორული და აქტიორული ხელოვნებით, გვანიჭებს ჭეშმარიტ სიხარულსა და ბედნიერებას, მოგვიწოდებს თეატრის მიმართ უაღრესად ღრმა და სერ-





იოზული დამოკიდებულებისაკენ... მინდა, რომ რუსთაველის თეატრი რაც შეიძლება დიდხან იდგეს ამ მწვერვალზე. შეინარჩუნოს თავისი მშვენიერება, თავისი სიმაღლე... მინდა, რომ იგი ყოველთვის არსებობდეს...”

მოსკოველი მაყურებელი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ელოდა შექსპირის „რიჩარდ III“, რომელმაც, როგორც ცნობილია, უზარმაზარი რეზონანსი ჰპოვა დიდი დრამატურგის სამშობლოში გასტროლების დროს. ბუნებრივია, რომ ამ წარმატების ამბავი სწრაფად მოედო თეატრალურ მოსკოვს. ინტერესი ამ ფართოდ გახმაურებული სპექტაკლისადმი იმდენად დიდი იყო, რომ იგი ხანდახან დღეში ორჯერ იმართებოდა. მიუხედავად ამისა, თეატრს გარეთ დარჩა ამ სპექტაკლის ნახვით დაინტერესებული უამრავი მაყურებელი. ერთი წარმოდგენა კი დამატებით, სპეციალურად დაიდგა თეატრალურ მოღვაწეთათვის. თუ რა შთაბეჭდილებებით სტოვებდა მაყურებელი „რიჩარდ III“-ს, ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებენ გამოჩენილ მოღვაწეთა გამონათქვამები ჩანერილი სპექტაკლების დამთავრებისთანავე:

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი **ინოკენტი სმოკტუნოვსკი**:

„რიჩარდ III“ — უაღრესად თავისებური, უჩვეულო და ჭეშმარიტად თანამედროვე სპექტაკლია. ძნელია ამ წარმოდგენას მოუძებნო სიტყვიერი განმარტება. ვიტყვი მხოლოდ, რომ შექსპირი აქ სრულიად ახლებურად არის წაკითხული, გახსნილი და წარმოდგენილი. განმაცვიფრა გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრემ და მრავალფეროვნებამ. მეორე მოქმედების ბოლოში უნებურად გავიფიქრე, რომ ამონურულია ყველა ხერხი და საშუალება და რომ მესამე მოქმედებაშიც, ალბათ, გამოყენებული იქნება იგივე სქემები, მაგრამ რაოდენ განცვიფრებული დავრჩი, ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს, როცა დაიწყო მესამე აქტი გამსჭვალული მძლავრი აზროვნებით, დიადი იდეით, ღრმა ფსიქოლოგიით... გაოგნებული ვარ. ეს საოცრებაა, ნამდვილი საოცრება! ამ შთაბეჭდილების ტყვეობაში კიდევ დიდხანს ვიქნები.

ჩვენ გვიანახას ბევრი კარგი შექსპირული სპექტაკლი. ჩვენც ვმონანილებოდით



უნდა წავიდეთ, თუ როგორ უნდა წავიდეთ... რით“.



**რუსრ დამსახურებული არტისტი სერგეი იურსკო:**

„წარმატების უპირველესი და უტყუარი გამოხატულებაა ის მქუხარე აპოდისმენტები, შეუწყვეტელი ოვაციები, რომლებიც მცირე თეატრის დარბაზში იმართებოდა „რიჩარდ III“-ის ყოველი სპექტაკლის შემდეგ. ეს სპექტაკლი წამდვილი სასწაულია. პირადად მე ამ წარმოდგენამ, უპირველესად ყოვლისა, მომაჯადოვა თავისი სილამაზით. შექსპირი ამ პიესაში ძალიან მკვეთრად, ძალიან მძაფრად ამხელს ბოროტებას. სტურუას სპექტაკლში ბოროტება კიდევ უფრო მეტად არის გამოკვეთილი და გამაფრებელი, რასაც მსახიობები აღწევენ თავიანთი პერსონაჟების არა მარტო ფსიქოლოგიური, არამედ ბიოლოგიური შეგრძნებების გამოხატვით. აქ ბოროტება აბსოლუტურია, იგი მახინჯიც არის, შემზარავიც, სისხლიანიც... მიუხედავად ამისა, სპექტაკლი ალბეჭდილია გასაოცარი, ერთი აუნერელი სილამაზით. სილამაზე გამოსჭვივის ყოველი მიზანსცენიდან, მხატვარ მშველდის გაფორმებიდან... მსახიობებიც, რომლებსაც თავი უჭირავთ თავის უფლად და ღირსეულადაც, გრძნობენ და მთელი სიცხადით გამოხატავენ მიზანსცენების ყოველწუთიერ მშვენიერებას, ყოველივე ეს ქმნის ამ სპექტაკლის საოცრად ნატიფსა და ამალბეულ სტილს.

„რიჩარდ III“-ს შევარქმედი სისხლიან ბალაგანს... ეს წარმოდგენა მრავალი ელემენტისაგან შედგება. მასში ალბეჭდილია არა მარტო შექსპირის დრო, არამედ ნინამორბიდი („თეთრი და წითელი ვარდის“ ომის ხანა) და მომდევნო ეპოქებიც. სპექტაკლი გამსჭვალულია ბრუნტოსეული სტილისტიკით, მე-20 საუკუნის ექსპრესიონიზმითაც... შესაძლებელია ასეთი რამ? ვერაფერს ვეტყვი... დასაშვებია კი მისვლა აი ასეთ უკიდურესობამდე? არც ეს ვიცო, რადგან შექსპირის სულის მესაიდუმლე არ ვახლავარი. შემიძლია გიპასუხოთ მხოლოდ ერთ კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა სტილების ასეთიარირი შენაცვლებით მიღწევა აბსოლუტურად შარმონიული თეატრალური ქმედებისა? დიახ, შესაძლებელია. ვინც ვერ ამჩნევს, ვერ აღიქვამს ამას, ის ბრმაც არის და ყრუც.

ამ სპექტაკლის ერთიანობისა და მრავალმხრივობის წარმომქმნელი ღერძია რა-

ზოგიერთ მათგანში: გვიწახვს უცხოელთა სპექტაკლებიც, ინგლისელთა მიერ წარმოდგენილი შექსპირიც. მაგრამ სრულიად ცალკე დგას ის, რაც გვაჩვენა რუსთაველის თეატრმა.

შექსპირი საშუალებას გვაძლევს შევხედოთ საკუთარ თავს, დავიზახოთ დრო, გავანალიზოთ ჩვენი დამოკიდებულება სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი, ჩვენს ირგვლივ ყოფილ საზოგადოებისა და ადამიანებისადმი. შექსპირი ამიტომაც არის დიადი. ყოველივე ეს მკვეთრად არის გამოხატული რუსთაველელთა ნამუშევარში. უფრო მეტიც — მასში აღმოჩენილია შექსპირული სამყაროს მანამდე მიუკვლეველი სიღრმეები და განზომილებები. ყოველივე ამის გამო ჩვენმა ქართველმა მეგობრებმა და კოლეგებმა გამამდიდრეს სრულიად ახალი შეგრძნებებით. კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიფიქრებ ამ სპექტაკლზე, მის ატმოსფეროზე, რეჟისურაზე, მსახიობთა თამაშზე, შესანიშნავ მონაბოვარზე. აქ ყველაფერი იმდენად მკვეთრია, იმდენად ზუსტია და მიზანმიმართული, რომ განცვიფრებისაგან მხოლოდ ხელებს ვშლი და ვამბობ: გმადლობთ, მეგობრებო! თქვენ გვაჩვენებთ გზას, თუ საით



მაზ ჩიკვაძე. უკიდურეს ბოროტებას რომ ანსახიერებს და თავის ვეებერთელა ტალანტს სრულიად ახალი მხრიდან გვაჩვენებს.

ავთანდილ მახარაძე კი საოცარი არტისტიკობით გამოხატავს ამ ბოროტებისაგან მიყენებული ტანჯვის მრავალფეროვნებას...

გოგი ხარაბაძის კლარენსი კი წარმოდგენილია ერთ ფერში, ერთ ტონალობაში... ერთი სიტყვით. თვითელი მსახიობი თავისებურად მონაწილეობს ამ ურთულეს სპექტაკლში: ისინი ასეებენ, ერწყმინან ურთიერთს და ემსახურებიან აბოლუტური ჰარმონიულობის წარმოქმნას.

რობერტ სტურუას — ამ საოცრად უშიშარი, ვაჟაკური ბუნების რეჟისორს — თეატრი მიჰყავს მაღალი მწვერვალებისაკენ, თავისი მაგარი, შტკივი ხელით იგი ამკვიდრებს საკუთარ სტილს, ჰკრავს ურყევი თანამშრომლობის რკალს...

ვამაყობ ქართული თეატრით, ქართველი კოლეგებით!

ვილინუსის ახალგაზრდული თეატრის მთავარი რეჟისორი დ. ტამულიაჩუტე:

„ვილინუსიდან ჩამოვედი, რათა დავსწავლიოდი რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს. რამდენიმე წლის წინ ვნახე „კავკასიური ცარცის წრე“ და უმაღლეს რუსთაველის თეატრის მსურველ თაყვანისმცემელი, მისი გულშემატიკივარი გავხდი. ბევრი რამ მამენია „რიჩარდზე“, მაგრამ ასეთ საოცარ სპექტაკლს მაინც არ ველოდი. ასეთი შექსპირის არსებობა ვერ წარმომიედგინა... ეს სპექტაკლი განსაკუთრებით საჭიროა ახალგაზრდებისათვის, სპექტიკურად რომ არიან განწყობილი კლასიკისადმი, — დღეს ისინი თეატრსაც აღმაცვრად უყურებენ.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს კი, პირველ რიგში, ესწრებოდა ახალგაზრდობა, იგი აღფრთოვანებული თვლებით შეჰყურებს სცენას და სპექტაკლების შემდეგ უჭირს თეატრის დატოვება.

მანციფრებს რუსთაველის თეატრის (სტილისტური დიპაზონის სიფართოვედ) ამას მოწმობს ორი ახალი სპექტაკლი — „რიჩარდ III“ და „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ — ერთმანეთისაგან ასე მკვეთრად რომ განსხვავდებიან რეჟისორული და აქტიორული ხელოვნებით, თეატრალური ფორმებით, სტილისტიკით... ამ ბოლო სპექტაკლში გამაყვირვა ახალგაზრდა მსახიობმა თ. დლოძიმე — თანამედ-

როვე გოგონას რომ ანსახიერებს ასე ძალდაუტანებლად, თავისუფლად, თავისებური არტისტიკაში... მისი სახით რუსთაველის თეატრს საინტერესო ინდივიდუალობის მსახიობი ჰყავს...

თუ წინათ აღფრთოვანებით ვუყურებდით ქართულ ფილმებს, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა კინოს საუკეთესო ნიმუშებს, დღეს აღტაცებით ვესალმებით ქართულ თეატრს, რომელსაც ვერ უსწორებს თვალს ვერც ერთი თეატრი“.

კრიტიკოსი ვიტალი ვულფი:

„ძალიან მოხარული ვარ, რომ დავესწავრი სპექტაკლს — „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. საქმე ისაა, რომ ამ წარმოდგენამ მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია, განსაკუთრებით კი ყოველთვის პოლემიკურად განწყობილთა წრეში. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არავის ყური არ უნდა დაუგდო... ვნახე ბრწყინვალე რეჟისორული ნამუშევარი. რობერტ სტურუამ შექმნა უნიკალური სანახაობა და განმაცვივრა სკრუპულოზური რეჟისორული ოსტატობით. ამ სპექტაკლს ახასიათებს მაღალი კულტურა, რაც საერთოდ დაბახასიათებელია რ. სტურუას თეატრისათვის...

საერთოდაც, მახარებს რუსთაველის თეატრის უზარმაზარი წარმატება. იგი ერთნაირად ხიბლავს და აჯადოვებს ინტელექტუალურ თეატრალულსაც და ფართო მასობრივ მასურებელსაც. ამ შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობს რეკლამა ან ლეგენდა რუსთაველეთა სახლვარგაველ წარმატებებზე. არა, წარმატებას განაპირობებს მაღალი ევროპული კლასი ამ თეატრისა. სამწუხაროა, რომ ამას იშვიათად ვხედავთ ჩვენს თეატრებში.

ამ გასტროლებმა უზარმაზარი სიხარული და სიამოვნება მიანიჭეს ყველას, ვისაც უყვარს თეატრი. ამაში რ. სტურუასთან ერთად დიდ როლს იმუძღვით შესანიშნავ მსახიობებს, უნიჭიერეს კომპოზიტორს გია ყანჩელს, რომლის მუსიკა მზიხლავს თანამედროვე ულერადობითა და ინტონაციური მრავალფეროვნებით. მაღლობა რუსთაველის თეატრს!“

რუსს რ სახალხო არტისტი მიხეილ კაზაკოვი:

ვნახე რუსთაველეთა სამივე სპექტაკლი, სასვე ვარ შთაბეჭდილებებით, ფიქრებით, განცდებით... ვიტყვი მხოლოდ. რომ ეს არის ისტორიული მნიშვნელობის გასტ-





როლები, ძალიან იშვიათად ვყოფილხარ ასე ალტაცებული. მსგავსი შეგრძობები და შთაბეჭდილებები განმიცდია მხოლოდ პიტერ ბრუკისა და ჟან ვილარის თეატრების გასტროლების დროს. რუსთაველის თეატრში ყველაფერი მაღალ დონეზე დგას — რეჟისურა, სცენოგრაფია, მუსიკა, აქტივობა ხელოვნება. ამ თეატრის კულტურაზე, მის გაქანებაზე მეტყველებენ არა მარტო მთავარი, არამედ პატარა როლები — შემსრულებლებიც. ამას მონიშნავს სამივე სპექტაკლი — „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, სადაც ცნობილი არტისტების რამაზ ჩხიკავაძის, იზა გიგოვილის, გურამ სალარაძის, გიორგი გეგუჭკორისა და სხვა წამყვანი მსახიობების მიერ შექმნილი მაღალმხატვრული სახეების გვერდით ცოცხლობენ მკვეთრი და შთაბეჭდავი პატარა როლებიც...


ამ შესანიშნავმა დასმა ღირსეულად მოიპოვა მსოფლიო აღიარება.

პირადად ჩემთვის, რუსთაველის თეატრი თავისი შემოქმედებითა პრინციპებით, მსოფლმხედველობითა და ფილოსოფიით — ეტალონია თანამედროვე თეატრისა.

ამაღლევა სპექტაკლმა „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. თ. ჭილაძის პიესამ დამინტერესა თავისი პირობუქებით, ფილოსოფიით, ეროვნული და ამვე დროს ინტერნაციონალური თემატიკით. დარბაზში იმიტომაც არავინ დარჩა გულგრილი, რომ სპექტაკლის დევიზია: „აღამიანებო, იყავით ფრთხილად, ადამიანებო, გაუფრთხილდით ერთმანეთს!“ ეს უაღრესად მნიშვნელოვანია საერთოდ და მნიშვნელოვანია მით უფრო, რომ ეს აზრი დრამატურგსაც, რეჟისორსაც და შემსრულებლებსაც მაყურებლამდე მიაქვთ ძალზე დახვეწილად, ემოციურად, მაღალმხატვრულად...“

მოსკოვში ასე ბრწყინვალედ ჩატარებული გასტროლების შემდეგ რუსთაველის თეატრი გაემგზავრა საბერძნეთში, სადაც წარმოადგინა ორი სპექტაკლი: ბრესტის: „კავკასიური ცარცის წრე“ და შექსპირის „რიჩარდ III“. — ამ გასტროლებმაც დიდი წარმატებით ჩაიარეს.

სცენა სპექტაკლიდან „რიჩარდ III“  
სცენა სპექტაკლიდან „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, უჩა — გ. სალარაძე, ანო — თ. დოლოძე  
სცენა სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“



# ბობოქარი დღემების გამტანელი

ბ. ლაპრენიშვილის „რღვევა“ მოზარდ მაცურებელთა ქართულ თეატრში იწყება განცხლებული პერსონაჟით. მას მეფარნე ჰქვია. მისი პირდაპირი მოვალეობაა ქუჩის ლამპიონებს მოუაროს. მაგრამ მეფარნე ამით არ იფარგლება. ის სპექტაკლის კომენტატორიცაა და მისი სარკასტული ღიმილი მხოლოდ მოქმედების პროცესში ხდება საცნაური. სადაოს არაფერს ამბობს, ახდენს ფაქტების კონსტატაციას, გვაცნობს პერსონაჟებს, მოქმედების ადგილს. ინტონაცია კი მისი ნებაა — უნდა სერიოზული ექნება, უნდა ირონიული, არც იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ხელში ხან ეიოლინო უჭირავს, რომელსაც ლირიკულ კილოზე აჟღერებს, ხან ურიკას დაგაგორებს, რომელშიც დაღუპულთა წამოსასხამები თუ სურათები ყრია, ხან კი საყვირს ჩაბერავს და შემინებული კულისებში გაუჩინარდება. დაუფავთ, რომ მოვლენების და პერსონაჟთა ცხოვრების ეს უტყვი მოწმე ზოგჯერ თავს ირთობს, რათა სცენაზე არ მოიწყინოს. ერთი კია, იგი ბოროტი, გნებათ კეთილი აწრდილივით თავს დასტრიალებს ყოველივე იმას, რასაც ადამიანები ამბობენ, ან აკეთებენ, ყველაფერს ორპირადად და ეჭვის თვალთ უყურებს, და, არცთუ იშვიათად, თავისი ხმოვანი ინსტრუმენტის შემწეობით ამხელს ამ მოვლენებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას. და, რაღა თქმა უნდა, მსახიობის, ლადო მექვაბიშვილის დიდი დამსახურებაა ამ რთული ქვეტექსტების მაცურებლად ფოსდენი სიმსუბუქითა და დახვეწილად მოტანა.

ხოლო ყველაფერი ის, რაც სცენაზე ხდება, ათასნაირად შეიძლება იყოს კომენტირებული, ვის-ვის და ბერსენევევის ოჯახს მართლაც სჭირდება მოვლენების არსში გარკვევა. რევოლუციის ქარიშხალს ისინი გაშლილ ზღვაში გაუტაცნია, ამიტომაცაა გაფაციცებით რომ ეძებენ ნაცსადგურს, თუნდაც პატარა ყურეს, სადაც შესაძლებელი იქნება ლუზის ჩაშვება და ფეხზე მყარად დადგომა.

მაგრამ გზის ყოველი მაჩვენებელი მოშლილია და გაუქმებულია, რის გამოც მად ისღა დარჩენიათ, ან მხოლოდ ინტუიციას ენდონ, ან უბრალო ბიოლოგიურ თავდაცვით ინსტინქტს აჰყვნენ და სინამდვილეს

მერაბ გეგია

შეგეტონ. ეს კი არცთუ ისე იოლია მოზარონე ადამიანისათვის...

მათ მიღმა კი აქაფებული, მოგუგუნე ტალღებია. ეს ტალღებია ძველის ნგრევის იდეით შეპყრობილი რევოლუციის ჯარისკაცებისა, რომელთა წინამძღოლი ბოლშევიკი გოდუნი მტკიცედაა დარწმუნებული რევოლუციის გარდუვალობაში. რევოლუცია უნდა მოხდეს, თუნდა მან ათასობით, მილიონობით ადამიანი შეინიროს, ყოდაც იგი არასწორი საზოგადოებრივი ყოფის უარყოფის ლოგიკითაა ნაკარნახევი.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მთავარმა რეჟისორმა შალვა განჯერელიამ დაკვირვებისა და შემცენების მთავარ ობიექტად ნანარმოების ფილოსოფიური შრეები აქცია. ამიტომ ჩხრეკს ასე გულმოდგინედ პერსონაჟების სულიერ სამყაროს, ამიტომაც, რომ თითოეულ მათგანში ააშკარავეს ფარულ მამოძრავებელ იმპულსებს. ისინი კი ქვეცნობიერებაში საკმაოდ ღრმად მიმაღლან და უკვე გამომზეურებულინი, არცთუ მიმზიდველად გამოიყურებიან.

„რღვევის“ დამდგმელ რეჟისორს არა მარტო რევოლუციური სულისკვეთებით განმსჭვალული რომანტიკა აინტერესებს, არამედ ის სიტუაციებიც, რომლებსაც ჩვეულბერივი, სოციალური კატაკლიზმები იწვევს.

შემინგუვის ცნობილი გამოთქმა—რევოლუცია კათარზისია — აქ უკუახსნას ექებს. ყოველი ამბოხი შეიძლება იყოს კათარზისი, ნაგრამ მას რევოლუციას ვერ ვუწოდებთ, თუ არ დაყრდნობა მისების შეგნებას. მხოლოდ ამ შემთხვევაშია განართლებული მსხვერპლი, რომელიც თან სდევს რევოლუციას. და ამის საილუსტრაციოდ, რეჟისორი სწორედ მსხვერპლზე ამახვილებს ყურადღებას, როცა გვერდიგვერდ აყენებს სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებს და ასახავს მათ შუნიღბავ ანტაგონიზმს. აქედან გამომდინარე, სპექტაკლში ერთმანეთს უპირისპირდება რევოლუციის სტიქიონი და ინტელიგენტების ერთი ოჯახი, რომლის წევრების დაბნეულობა კარგად მოჩანს ერთ-ერთი პერსონაჟის, ბერსენევის მუდღის, სოფია პეტროვნას სიტყვებში — „რატომ ხდება ეს? რისთვის? ვისი გულისათვის?“ და მისი ქალიშვილის, ტატიანას პასუხში — „ამას ვერავინ გეტყვის, დედა!“ თუმცა ოჯახის მამას, კაპიტან ბერსენევს ეს პრობლემა იოლად გადაუწყვეტია. ამ სიტუაციაში იგი აკეთებს იმას, რასაც პატრიოტული და პროფესიული მოვალეობა კარნახობს, რასაც ვერ ვიტყვით მის სიძებზე, ლეიტენანტ ლეოპოლდ ფონ შტიტზე, რომელიც დაბნეულობისაგან მთლიანად პარალიზებულია.

მაგრამ გმირების ცხოვრებას მხოლოდ

პრობლემები როდი წარმართავს. ასე რომ იყოს, ყველაფერი უფრო იოლად გადაწყდებოდა და რევოლუციური ატმოსფერო სპექტაკლში ადამიანთა ირაციონალური სულიერი სანყისის გამოვლინება აღარ იქნებოდა. ბერსენევის ოჯახის დრამას გრნობათა და ვნებათა ჭიდილიც ბადებს, რომლის წიაღში საკმაოდ ნათლად იკვეთება სასიყვარულო სამკუთხედი — შტუბე — ტატიანა — გოდუნი. რა თქმა უნდა, ვნებათაღელვანი ზოგჯერ გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს გმირების ქცევაზე. ლაუნეროვმა მხოლოდ მიანიშნა შტუბეს, ტატიანას და გოდუნის სასიყვარულო სამკუთხედში, წიაღსვლებს იგი მოერიდა, რადგან მრწამსთა შეჯახება უფრო აინტერესებს, ვიდრე შეყვარებულთა მეტოქეობა.

შ. განჯერელიამ სხვა ამოცანა დაისახა. მისთვის შტუბესა და გოდუნის იდეოლოგიური ბრძოლა, მზისკვეთიში ადგილის დამკვიდრებისათვის ბრძოლაცაა და სატრფოს გულის მოპოვებისათვის ჭიდილიც. ეს გარემოება ახალი ქვეტექსტებით მოსავს მათ მოქმედებას. არც ეულად დარჩენილი და ერთი შეხედვით ნეიტრალური პოზიციის გმირები არიან მშვიდად. ბერსენევის მუდღემ ახლახან შეიღო დაასახლავა და კიდევ, ღმერთმა უწყის, რას ელის მომავლისაგან. რაც შეეხება ბერსენევის უმცროს ქალიშვილს ქსანას, რომელიც, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით — ჯერ არ აყვავებულა და უკვე ჭუნება — გარეშე გამღიზიანებულს უპირისპირებს პასურობას, როგორც უკუპასუხს. ამით იგი ფარავს თავის პროტესტს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც მის ირგვლივ ხდება. ქსანას პრობლემა სპექტაკლში „დაკარგული თაობის“ გამოცხადება და ყოველივე ამის მიღმა „უდიდესი ექსპერიმენტი“ — რევოლუციის ლანდი იკვეთება. ამ ექსპერიმენტმა ქსანას ახალგაზრდობის შეწირვა მოითხოვა. „მე ყვავილებს მხოლოდ ჩემი ტოლების დასაფლავებაზე ვხედავ,“ — ამბობს ქსანა ერთ-ერთი ეგზალტირებული აღსარების დროს და ეს სიტყვები თითქმის ექნა „ორმოცდამეერთესი“, რომელშიც ლაუნეროვმა იგივე სიტყვები ათქმევინა ქსანას მსგავს მსხვერპლს — გოგორუნა-ოტროვს.



ლაერენიოვმა ქსანას სახით ფსიქოლო-  
გიურად რთული პერსონაჟი შექმნა. დაპი-  
რისპირება ქსანას ფუქსავატური, გარეგ-  
ნული სიმზიარულია შინაგან ტრაგიზმ-  
თან, რომელიც მოულოდნელად იჩენს თავს,  
ორმაგ ეფექტურ ზემოქმედებას ახდენს.  
სპექტაკლში თ. ლოლაშვილის ქსანა მოაზ-  
როვნე გმირია, ამიტომ მსახიობი ნაწილო-  
ბრივ დასცილდა დრამატურგის მიერ შემო-  
თავაზებულ პერსონაჟს და თავისი ინტერ-  
პრეტაცია მოგვანოდა. თ. ლოლაშვილი-ქსა-  
ნას ქცევა თავიდანვე პროტესტის ნიშნები-  
თაა აღბეჭდილი, ასე რომ, ფინალში ფარუ-  
ლი პროტესტის გადაზრდა ტრაგიზმში  
სრულიად ლოგიკური გვეჩვენება.

და ამ მშფოთვარე გმირების ფონზე, ყვე-  
ლაზე თავდაჭერილი მანინ სოფია პეტრო-  
ვანა. ეს იმ ტიპის რუსი ქალია, რომელიც  
ყველა დროს და ყველა გაჭირვებას შეეგუ-  
ება. ეს რაღაც მარადიული ძალაა, რომლი-  
სთვისაც არ არსებობს ბრძოლა განყენბუ-  
ლი, ან, თუ გნებავთ, კონკრეტული ამოცა-  
ნებისათვის. მის ყოფას შუადგენს სიყვარუ-  
ლი მოყვასისა და ეს მისი უდიდესი თავდა-  
ცვისუნარიანობაა. იგი მარტოც რომ  
დარჩეს, ალბათ, იცხოვრებს იმისთვის, რომ  
ახლობლების საფლავებს მოუაროს. ამ  
დიდ ოჯახში იგი ერთადერთია, რომელიც  
არ ექვემდებარება „უდიდესი ექსპერიმენ-

ტის“ რკინის მარწუხებს, თუმც გარეგნუ-  
ლად ყველაზე დაბეჩავებული ჩანს. რეჟი-  
სორმა და მსახიობმა ლემურა ჯაყელმა  
სწორედ ასე გაიაზრეს ეს გმირი.

ახლა მეზღვაურები... როგორ შეიძლება  
არ მოგვხიბლოს მათმა სიცოცხლის ხალის-  
მა და ენერჯიამ, გაცხადებულმა სიძულვი-  
ლმა მზაგერგლებისადმი და უხეშმა პირდა-  
პირობამ. რეჟისორი აქაც სმარობს ირონი-  
ულ საღებავებს. ასე მაგალითად, მათი  
წერთნა გემბანზე იწყება არა სამხედრო  
მანევრებით, არამედ იმ სიმღერების რეპე-  
ტიციით, რომელიც შესანიშნავად გაუზეპი-  
რებით. მათ შეუძლიათ იმდრონ ინტერ-  
ნაციონალი, მარსელიოზა, და თვით „უფა-  
ლო ჰფარვიდე მეფეს“ — ეს უკანასკნელი,  
რა თქმა უნდა, ირონიული ქვეტექსტით. და  
ამ თავზეხელაღებულ, ყოჩაღ ბიჭებს აერ-  
თიანებთ არა მარტო რევოლუციური შეგ-  
ნება, არამედ რევოლუციური გამოცდილე-  
ბაც, რომელიც მათ მეზღვაურთა წინა თა-  
ობამ უანდრძა. თუმც მათ რიგებშიც არი-  
ან სხვადასხვა მრწამსისა და მიადრეცილების  
აღმნიანები. ასე მაგალითად, მეზღვაური  
წვაჩი, რომელსაც მსახიობი გ. რევაზიშვი-  
ლი ანსახიერებს, სრულიად განსხვავებულ  
გზას იჩრევს. მას ღალატით სურს დანიწ-  
ურდეს. ლაერენიოვს არ აქვს დასაბუთებუ-  
ლი შვაჩის ღალატის მოტივები, და მსახი-

სცენა სპექტაკლიდან „რლევა“.





სვენს სექტაკლიდან „არღვევა“  
 სოფია პეტროვნა — ლ. ჩაყელი,  
 ბერსენევი — რ. თავართქილაძე,  
 ტატინა — მ. აბაშიძე.

ობის დიდი დამსახურებაა, რომ ამ მოტივებს იგი თვით შეაჩის ხასიათში პოულობს და ჩვენც გვარწმუნებს, რევოლუციის ქარიშხალში ასეთებმაც შეიტანეს თავისი „წვლილი.“ რეჟისორი არ ფარავს, რომ ეს მეზღვაურები წინამძღოლის გარეშე შეიძლება მცდარი გზით წავიდნენ. მათ აუცილებლად სჭირდებათ ბერსენევი, მათთვის აუცილებელია გოდუნი.

რევოლუცია გარდუვალი იყო. ასე ფიქრობს ლავრენიოვი, და ამავე აზრს მისდევს რეჟისორიც. იგი თვლის, რომ რევოლუცია გამოიწვია არა ჩაგრულთა ემოციურმა ალტკინებამ, არამედ გარდუვალმა აუცილებლობამ. ყველაფერი, რაც არ ექვემდებარებოდა ამ აუცილებლობას, არ იყო რევოლუციური. ეს სექტაკლის იდუარმახტურული გააზრების ერთი მხარეა.

ყველა ისინი, ვინც შეგნებით იყვნენ რევოლუციონერები, კარგად ესმოდათ, რომ გადაებული მსხვერპლი მხოლოდ მაშინაა

გამართლებული, თუ შენარჩუნებულია მისი ბა რევოლუციის მონაპოვარი. და ამაზე პასუხს აგებენ არა მარტო ისინი, ვინც ქმნიდა რევოლუციას, არამედ პასუხს ვაგებთ ჩვენც, რევოლუციის შთამომავლებიც. ეს არის სწორედ სექტაკლის ძირითადი სათქმელი.

ლავრენიოვის პიესაში ოჯახურ ინტიმს მეზღვაურების რომანტიკა ცვლის. ისინი თითქმის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. რეჟისორმა გრძობათა ეს ორი სამყარო გააერთიანა და აქცია ერთი და იმავე მოვლენის საპირისპირო პოლუსებად. აქედან გამომდინარე, თითოეული პერსონაჟის ბედი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი რევოლუციასთანა დაკავშირებული. რეჟისორი მთლიანად გაჰყვამ კვალს და უარი თქვა იმ ეპიზოდებზე, რომლებიც არ ემსახურებოდნენ ამ ჩანაფიქრს (ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალშისაცემია გემბანზე გათამაშებული ეპიზოდების შეკვეცა). შესაბამისად ყურადღების ცენტრში მოექცა პერსონაჟთა ურთიერთობა და ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს მათ პასუხს გარემო გამღიზიანებლებზე. ამან გამოიწვია ის ფსიქოლოგიური ანალიზი, რომელსაც ყოველთვის მიმართავს რეჟისორი, როცა მოქმედ გმირებს ახასიათებს. ასე, მაგალითად, ლეიტენანტ ფონ შტუბეს, ტრადიციულად, უარყოფით გმირად სახავდნენ. შ. გაწერელიამ ამ როლის შემსრულებელ გ. ცხვარიან-შვილთან ერთად გმირი განარჩია ყოველგვარ რადიკალიზმს. ფონ შტუბე აზროვნებს, მაშასადამე, აუცილებელია მოვეუსმინოთ მას. ასეთმა გადაწყვეტამ შესამჩნევად გაამდიდრა როგორც პიესის შინაარსი, ასევე მთლიანად დრამის მექანიზმი და კონფლიქტმა იდეური წაღისკენ გადაინაცვლა. მსახიობ გ. ცხვარიან-შვილის მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი დამაჯერებლად გადმოსცემს პერსონაჟის სულში მიმდინარე რთულ ფსიქოლოგიურ პროცესებს. რეჟისორის ინტერპრეტაციით, ლეიტენანტი ფონ შტუბე რღვევის ერთ-ერთი უმთავრესი მსხვერპლია განა. თავისი ქცევითა და საუბრით, შტუბე საკმაოდ შინაარსიანი და დადებითი პიროვნების შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ შტუბე არ ჩადგა რევოლუციის სამსახურში, რადგან მას ხელი შეუშულა კლასობრივმა ზიზღმა დაბალი ფენებისადმი. მან ვერ გაუგო რევოლუციის მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეუძლია პარტიზონორებად იცვლოს მისი ყოფილი ხელქვეითნი, რომელთაც ნახევრად პირუტყვებად მიიჩნევს. ამიტომაც, რომ შტუბე ვერ



გრძნობს განახლების სუნთქვას, რომელიც ახალ დროებას მოაქვს.

კაპიტან ევგენი ბერსენევი ორი შემსრულებელი ჰყავს — რევას თავართქილაძე და ნოდარ ცერცვაძე. ინტერპრეტაციის იგივეობის მიუხედავად, ისინი განსხვავებული საშუალებებით ანახაიერებენ ამ გმირს. ო თავართქილაძის მიერ შექმნილი ბერსენევი მეკაცი და პედანტურია, ღრმად სჯერა თავისი სამართლიანობა და სისწორე. ყოყმანი, შეყოვნება გადაწყვეტილების მიღების დროს მისი წამიერი სისუსტეა.

ნ. ცერცვაძის ბერსენევი შედარებით სუსტი ნებისყოფის ადამიანია. მისი პედანტიზმი ზრდილობის შედეგია, ხოლო ყოყმანი თითქმის თანდაყოლილი თვისება. იგი ლოიალური ადამიანია და ხშირად უჭირს ვინმეს გამტყუნება.

ორივე მსახიობის მიერ განსახიერებული ბერსენევი შორსაა იდეალიზაციისაგან. რეჟისორი ბერსენევის არ მიჩნევს იდეალად იმეტომ, რომ იგი ნაწილობრივ ბრმად ემსახურება რევოლუციას და არ გააჩნია ჩამოვალბებული რევოლუციური მრწამსი.

სპექტაკლში საინტერესოდ გამოიყურება ტატიანას სახე. მსახიობმა მ. აბაშიძემ სიხსლასავად გადმოსცა გმირის ვნებათა ჭიდილი, მისი გაუცნობიერებელი ლტოლვა რევოლუციისაკენ და შეუნიღბავი სიძულვილი მეუღლის ინერტულობისადმი. საკმარისია ითქვას, რომ ამ სიძულვილმაც მიიყვანა ლეოპოლდი საბედისწერო გადაწყვეტილებამდე — აფეთქებისა ეტერბურგისაკენ მიმავალი რევოლუციონერთა გემი, რომელზეც იმყოფებოდნენ კაპიტანი ბერსენევი და გოდუნი.

სპექტაკლში გოდუნს მსახიობი ოთარ ბალათურია ანსახიერებს. გოდუნი ის ძალაა, რომელიც უპირისპირდება ბერსენევის ოჯახს, რომელიც ირღვევა. მსახიობი ამ გმირის დახასიათებისას არ ერიდება მუქ საღებავებს, შუქ-ჩრდილებს, უხეშ შტრიხებს. მიმართავს მისი სხვადასხვა თვისებების პედალიზაციას, რათა გოდუნის რელიეფური სახე შექმნას. ო. ბალათურიას გოდუნი მრავალმხრივი პიროვნებაა. იგი დაჯილდოებულია მახვილგონიერებით და სიტუაციისი გარკვევის დიდი უნარით. ბერსენევის ოჯახთან დაახლოებამ გოდუნი კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ მალაღიწრის წარმომადგენლებს ისეთი ღირსებები აქვთ, რომელთა შექმნა შესაძლებელია. ამიტომ გულმოდგინედ ისწრაფვის განათლებისაკენ. მეორეს მხრივ, იგი გრძნობს თავის უპირატესობასაც, რომლის შექმნა არცთუ იოლი საქმეა — ესაა აღსრულების ძალა და

სიცოცხლისუნარიანობა. რეჟისორი არ მალავს, რომ გოდუნში ჯერ კიდევ ცოცხლობს კლასობრივი „კომპლექსი“, რითაც ჯარკვევით გვეუბნება, რომ უარყოფითად მიაჩნია მათი ნებისმიერი გამოვლენა.

ო. ბალათურია ქმნის უაღრესად დასამახსოვრებელ გმირს. მისი დახვეწილი ტექნიკა, სხვადაცვევის უნარი, გააზრების სიღრმე ხშირად აღტაცებას იწვევს.

ამრიგად, რეჟისორმა დაგვიხატა ცოცხალი ადამიანები და შიშველი, შეუღამაზებელი რეალობა. აქედან გამომდინარე, სპექტაკლი სულაც არ არის რევოლუციის ანტიპრიმიტივიზმული პანეგირიკი. პირიქით, ყოველი მოვლენა, ყოველი ეპიზოდი თუ დეტალი ნიშნული რევოლუციური პერიოდი-სათვის ანალიზის სისწორეზეა დამყარებული და მხოლოდ შემდგომ ამეტყველებული. თუმცა მათ მიღმა აშკარად იკითხება რეჟისორის რწმენა, რომ ადამიანთა საზოგადოების გონებისმიერი მოწესრიგება შესაძლებელია. სწორედ ეს აძლევს სპექტაკლს თანამედროვე ჟღერადობას, სწორედ ამიტომ ვგრძნობთ, რომ რეჟისორს წარსული თანადროულობის პოზიციებიდან აინტერესებს..

სპექტაკლი მთლიანად პირობით პლანშია გადაწყვეტილი. შიშველი სცენა ბერსენევის ოჯახის ამსახველი ფოტოსურათების ჩარჩოში ზის (მხატვარი მ. ჭავჭავაძე). არავითარი რეკვიზიტი არ მოგვაგონებს ჩვიდმეტ წელს, თუ არ ჩავთვლით პიტერის ლამპიონებს, რომელთაგან რამდენიმე კულისების გასწვრივაა განლაგებული და მხოლოდ ერთი მათგანია წინ გადმოტანილი, რათა ხელოვნურად შექმნილ პროსცენიუმზე ეპოქის განწყობილება წარმოშვას. რეჟისორი ამ სივრცეში, როგორც მხატვარი სუფთა ტილოზე, წერს სპექტაკლის თითოეულ ეპიზოდს. ამ შემთხვევაში პროსცენიუმში ასრულებს „მხვტილი პლანის“ როლს და გამოყენებულია მხოლოდ მაშინ, როცა რეჟისორს ამა თუ იმ მოვლენის კურსივი ესაჭიროება. ასეთია, მაგალითად, გოდუნის მონოლოგი პირველ და მეორე მოქმედებაში, ბერსენევისა და შტუბეს, შტუბესა და ტატიანას სცენები. რეჟისორი აქაც უშვებს გამონაკლისს, უფრო სწორად, მიმართავს ირონიულ შტრიხს, როცა ამავე პროსცენიუმზე გამოჰყავს ბერსენევის ოჯახის მოახლე გლაშა სამოვრით ხელში, რომელიც გულწრფელად განცვიფრებულია იმით, თუ რატომ სვამენ ყველანი ახდენ ჩაის. ამ როლის შემსრულებელი მსახიობი მ. მარ-





იძე ზუსტად გადმოსცემს რეჟისორის ჩანაფიქრს.

სპექტაკლში გამოყენებულია რევოლუციური ატმოსფეროს ამსახველი ყველა ატრიბუტი—სროლა, ჩოჩოლი, შიშით გათანჯული და ბროლის წყურვილით ანთებული სახეები, სისხლისმღვრელი შეტაკებანი, მარში. მაგრამ ყველა ისინი რეჟისორის მხატვრულ-მეტაფორული საღებავებია და თავისი იდეური ფუნქცია აკისრიათ. მაგალითისათვის ერთი სცენური ეპიზოდის გახსენებაც კმარა: ქუჩიდან ისმის სროლის ხმა. სადაღაც იმსხვრევა ფანჯრის მინები, პერსონაჟების სახელსინათლე ქრება. ჩვენ გვრძნობთ, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი ელექტროავარია. სინათლის ჩაქრობა რევოლუციის ტალღამ გამოიწვია. სცენაზე იქმნება ამდაგვარი სიტუაციისათვის დამახასიათებელი დაბნეულობა. მოქმედებაში პაუზაა. სიჩუმის ზონა მრავალმნიშვნელოვანია. შტუბე ისე გარინდულა, თითქოს უხარია ჩაბნელება. შორიდან მოისმის ოჯახის დიასახლისის სოფია პეტროვნას სასონარკვეთილი ხმა — „ლეოპოლდ! სად ხარ?“ ლეოპოლდი გამოერკვევა. მისი ყურადღება ახლა ოჯახის დიასახლისისკენ წარიმართა. იგი უკიდებს ასანთს. სოფია პეტროვნა მოიჩქარის სინათლის წყაროსაკენ. უკვე მოსული, თითქოს ეფიცება სინათლეს. იბადება მეტაფორა — სოფია პეტროვნას შტუბეს ხელში ასანთის მოკიდებული ღეროა დაჩენია იმედად. მეორეს მხრივ, ეს იმედის ერთი ნაპერწკალთაგანია, რომელსაც შტუბე ფლობს. ეს მეტაფორა სხვაგვარადაც შეიძლება იქნას წაკითხული. ფიქრობთ, ყველა შემთხვევაში, რეჟისორმა შესძლო მხატვრულად განეზოგადებინა სცენაზე წარმოშობილი ვითარება.

სპექტაკლში არის ერთი მელოდია, რომელიც შეიძლება აღვიქვათ როგორც რეჟისორული ჩანაფიქრის კონტრასტუქტი. ესაა ტანგო, რომელიც სწორედ მაშინ ევლინება სცენას, როცა უხილავი დირიჟორის ჯოხის ბრძანებით, პერსონაჟები ერთ ტაქტში იწყებენ ცეკვას. ოღონდ ეს არ არის ცეკვა პარდაპირი ვაგებით, ესაა უხილავი შიშნობით გამოწვეული ქვეშეცემული როკვა, რომლის გავლენის ქვეშ მოქცეულ გმირებს არ შეუძლიათ არ აყენენ ამ მუსიკას, როგორც დროის „ფეხის ხმას“. (სპექტაკლის კომპოზიტორია დ. ტურიაშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის დ. გურგენიძეს, ქორეოგრაფია ი. ზარეცი).

პირობით-მხატვრულ ორგანიზაციას ექვემდებარება დადგმის მიზანსცენებიც. გა-

ვისენოთ ერთი მთვანი. შინ ბრუნდება კაპიტანი ბერსენევი. მის მოსვლას წინ უხსნრებს „პრელუდია“ ზემოსცენებულ ტანგოს სახით. პერსონაჟების რიტმული როკვა მთავრდება. სცენაზე იმართება გაცხარებული დიალოგი ბერსენევსა და შტუბეს შორის. გაისმის რევოლუციური მარში. ორივე კულისიდან მწყობრად შემოდინ შეიარაღებული მებრძოლები, ავანსცენაზე ჩამწკრივდებიან, დაცლიან ფანებს და, იმავე მარშის ხმაზე, კვლავ კულისებში გაუჩინარდებიან. მათი სხეულით დაფარული სცენა თავისუფლდება და ჩვენ ვხედავთ სიახლეს — სცენის შუაგულში, სავარძელში ზის ბოლშევიცი გოდუნი.

აღნიშნული მიზანსცენით რეჟისორმა მთლიანად მოხაზა სიტუაციის შინაარსი. გოდუნის ამდაგვარი „სავიზიტო ბარათი“ ჩვენთვის საცნაურს ხდის მისი მოვლინების საფუძველს და ხვედრით წონას.

ამრიგად, რეჟისორი სპექტაკლის სხვადასხვა კომპონენტების შემთხვევით, გამოკვეთს მისეული ინტერპრეტაციის კონტურებს. და ეს მხატვრული პლასტები ერთმანეთში ჩანწული, ქმნიან სპექტაკლის „თამაშის ნებს“.

რეჟისორული პარტიტურის სირთულის მიუხედავად, ურთიერთგადამკვეთი სიუჟეტური თუ იდეური სახეები ნათლად იკითხება. რეჟისორი მათ დაპირისპირებაში ხედავს სპექტაკლის ზამოცანას. ყველაფერი ინტელექტუალური დამოს პრინციპზეა აგებული. შედეგად, სპექტაკლში აღძრული პრობლემები ჩვენგან მოითხოვენ პასუხს. რეჟისორს სწამს, რომ თეატრი ტრიბუნაა, სადაც პრობლემები უნდა აღიძრას და არა კათედრა, საიდანაც ისინი მზამზარეულად უნდა იქნას მონოდებული. „რღვევის“ დადგმით მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უნარი შესწევს ურთულესი თეატრალური აზროვნების გზით გრძნობათა და აზრთა მღვლეარება გამოიწვიოს, დააფიქროს მყურებელი და როგორც ესთეტიკური, ისე შემეცნებითი სიხარული მიანიჭოს.

51491

ქ. შარკის ს.ხ. ს.ქ. სსს  
სსსკლშიფიო. სსსულოცა.



ა. შარლენია  
ა. ბლოკის  
პორტრეტი

# ინგელიგენსია და რევოლუსია

## ალექსანდრე ბლოკი

„რუსეთი იღუპება“, „რუსეთი აღარ არსებობს“, „სამარადისო სხონა რუსეთს“ — მესმის ირგვლივ.

მაგრამ ჩემს წინაა რუსეთი: ის რუსეთი, რომელსაც შიშის-მოშვებულ, წინასწარმეტყველურ სიზმრებში ხედავდნენ ჩვენი დიდი მწერლები; ის პეტერბურგი, რომელსაც დოსტოევსკი ჰედავდა; ის რუსეთი, რომელსაც გოგოლმა მიმჭროლივით სამცხენა უწოდა.

რუსეთი — ქარიშხალი. დემოკრატია „ქარებით გასაღებულ“ მოდისო, ამბობს კარმელი.

რუსეთს ტანჯვა-წამების, დამცირების, დაქუცმაცების ატანა უწერია; მაგრამ იგი გამოვა ამ დამცირებიდან, გამოვა ახალი და ახლებურად დაიბა.

ფიქრთა და წინაფარწმობათა იმ ნიაღვრიდან, რომელსაც ამ ათი წლის წინათ შეიკერა, ერთმანეთში იყო ათქვეფილი რუსეთის სხვადასხვაფერი განცდა: სევდა, ძაწოლება, სინანული, იმედი.

ეს ის დრო იყო, როცა მეფის ხელისუფლებამ უკანასკნელად მაილწა იმას, რაც ეწადა: ვიტიმ და ღურწივუმ რევოლუციკა გააკოცეს; სტოლიპინმა ეს თოკი მაგრად დაიხვია თავის ნერვიულ თავდადანარსურულ ხელზე. სტოლიპინის ხელი სუსტდებოდა. როდესაც ეს მოხიკანა იმ სოფლით გარადვიდა, ძალაუფლება, ერთი ყრბად დიდი მოხელის გამოქოქით, „მედლეურების“ ხელში გადავიდა; მაშინ კი თოკი შესუსტდა და იგი იოლად თვითონვე მოწყდა.

უველაფერი ეს ხულ რამდენიმე წელიწადს გრძელდება. მაგ-

რამ ეს რამდენიმე წელიწადი მზრებს დაუსასრულო, უძილო, მოწინებებით აჩილებულ ღამედ დააწვა.

— რასკუტინი — უველაფერია, რასკუტინი — უველგანა: ნიღა-ახილი და ნიღაბაზუბდელი აწეფები; და ბოლოს, ევროპული სახაკ-ლაოს წლები; ერთი გაუფიქრება ვიფიქრეთ, რომ იგი პაერს ვაწუენდ და; ჩვენ, გადაპარბებულად მგრძნობიერ ხალხს, გავეანა ახე. სინამ-დვილში იგი აღმოჩნდა საკადრისი დაგვირგვინება იმ სიცრუისა, ჭუჭუისა და სისაძაღლისა, რომელთა მორტყმით ცურავთა ჩვენი სამშობლო.

რა არის იმი?

ჭაობი, ჭაობი, ჭაობი — თავზე ზალახადასული თუ თოვლით მოწაქრული; დასავლეთში უფერფერო გერმანული სოციალური დამით ღამემდე ფათურობს ცაში; შიანია დლით ჩნდება გერმანული ფოკერი; იგი გულჭიუტად მიფრინავს ერთი და იმავე გზით; თითქოს ცაში კი შეიძლება ზილიკის ბეჯი და გაბიწურება; ფოკერის ირგვლივ ბოლქვები იბღუქება! თეთრი, რუხი, მოწითალო (მოწითალო მაშინ, როცა ჩვენ ცეცხლს ვუშენთ ხოლმე, ოკონდ, თითქმის ვერასოდეს ვერ ვახვედრებთ; გერმანელებისა არ იყოს — ისინიც ათასში ერთხელ გვახვედრებენ); ფოკერი ზვანხვალოს, ირ-უცვა, მაგრამ მაინც ცდილობს თავის მოშხამულ გზას არ გაუასცდეს; ხანდახან შეთოდურად ყრის ბოძებებს; მაშხადამე, აღცელები, რომ-ლებსაც იგი უმწინებს, რუქებზე დაჩხვტილია ათობით ეგრძანე-



ლი შტაბის ოფიცირის ხელით; ბოში ზოგერ სხასელარ ეცემა, ზოგერ სპორტის გოგა, ზოგერ — ადამიანის; უფრო ხშირად კი, ჩახკვირდება, კარბში ვარდება; ენას ხალხის უთუთილო, ქაბში ჩაყრილი ათასობით მენტი.

ადამიანები შესტყვიან ყოველი ამას, მოწყენილობისგან გული უწყობი, უსპობიბგან ხელით ექვაებო, ოპამეული ბინების მოელი სისასიადელი — დალატი, ბანის თამაში. დღითობა, დავიფარაბა, ქრატო პირწინად გადმოქრდა ომის აქეთ.

ევრამა შეიშლა: კაცობრობის მშვენიება; ინტელიგენციას ხიაპეე წყლობი ზის კარბში, გულახტინადაა (ეს ხიბოლო ხომ არა?) გაწოლით წრალ ათავებრსიან ზოლზე, რიშლის სახელიც „ფრონტია“.

ნამეტა, ციქნა ადამიანები და უსპამარაი მოქა სისულებდა, თითქოს მსოფლიო ომი თვალთ აგრე კარგად ჩანდეს, ხულ პატარა ნაკეთი, ტუბისორი, ახო ახოთი ადამიანის და ცენის გვახს ოტეს. შერე, ურ, რადენი გვახს ეტევა პატარა ორბოში, რომელსაც წაღო ზაბახი დავარჯან ან ოთელი მოფიქვქეპი აი, ერთ-ერთი ხელ-შესახები მიწეხ იმისა, რომ „დაიდა ევროპული ომი“ ახე უსადრეო რაბაა.

გნული სათქმელია, რა უფრო გულსაზრგია: ეს სისხლისღვრა თუ ეს მშველამბლიმდარბაშს, ეს მოქაშენილ(რბა ბუ ეს უსპამეტა); სახელი ერთისაც და მეორისაც არის „დაიდი ომი“, „სამამული ომი“, „ომი ჩაგული ერებს გასთავისუფლებდა“ თუ კიდევ რა ბქევა არა, ამ ნიშნით ვერაფერ ვერ გაათავისუფლებს.

და, აი, ქუქუხისა და ხაპარტახის სახელობის, კეკელიშვილელი მოწყენილობის და უსპო უსპარობის უღლით ადამიანებულა ადამიანები როგორღაც დაიხნენ, გაორბუნენ და თავიანთ თავიანთ დარჩნენ: თითქოს ხუფში სტედას, საღვანე პაგის განწყევტებდა ტუბავანი, აი, ქეპმარტად, როდის ხებრებულა „კაპობრობა და უსპარად, — აი, როდის ხებრებულადნენ რუსი პატარიტები.

წინაფრენობა ნიაღვრის, რომელიც ჩვენსაგან მავანს და ზავანს თაგულ გადავიარა ორ რევოლუციას შორის კანკალი სერბილოში, მისხსტა, მიქრა, საღვანე მიწაში მიქარტა, ვუტირობ, 1909-1918 წლებში მარტო მე არ ვყოფილობა ადამიანთობის ოპ მოწყენილობის განილდ მოსპრობობა. ახლა, როცა მთელი ევროპული პატრი სახეივლილია რუსეთის რევოლუციით, რომელიც ოპუტკრლის დღეების „სისხლის ადლით“ დაიწყო და მისხსანე, შერტეკილედ მიწეებს წინ, ზოგერ გჯონია, რომ ის, მანამედილა, არაშორებო და მანც ასე შორებოა წლები არცა იოლია: მიწაში ჩაკარგული, უფსკრულსა და წევარბში ურუმბად მიმდინარე ის ნიაღვარი კი აგრე, ისევ გუღუნებს და მის გუგუნში ახალი მუსკა იმისი.

ჩვენ გვიჯვარდა ეს დიხანანები, ის გუგუნე, ის ხმები, ეს მოულოდნელი გადასვლები... ორტეტბო. მავრამ თუ ჩვენ სალიბის შემდეგ მოღურ თორტელურ დარბაზში ჩვენი ნეტების დაწმარება და ავტობობით, არაჩედ ნამშვენილად გემიშვარდა ის დიხანანები, ის გუგუნე, ის ხმები, ის მოულოდნელი გადასვლები. — მთი ჩვენ ახლაც უნდა ვუხსნიოთ, ახლაც უნდა გვიჯვარდეს ის ხმები, ახლა, როცა ისინი მსოფლიო ორტეტბოდან გამოვარდნილია, უნდა ვუხსნიოთ და უნდა გავისარჩაიოთ, რომ ეს ხმები რაზეც იყო, ისევ იმაზეა, ისევ და ისევ იმაზეა, იმაზე.

შესეკა ხომ სათამაშო არაა: ის ბმბმბმბ კი, რომელიც მუსიკას სათამაშოდ მიიჩნედა, გაიჭრებოდა ირტება: ოთისი, ქეპმარობის, თავის აქლადილებას დაქაქალებს.

ჩვენ, რუსებს, გავაგდა ემოქა, რომელიც სიდადიით ხხვა რაქვლამე ემოქა მენდალ თუ შეტკობება, გავახტედება ტიტეტების სიტყვები:

«Блажен, кто посетил сей мир,  
В его минуты роковые,  
Его призвал и всеблагие  
Как собеседника на пир,  
Он их беседы зрелищ зритель...»

შხატრის საქმე არაა გავატიციები უსპროს, თუ როგორ ისხაშხ ხორცს ჩანაფიქრი და თავი იტვრის იმაზე ფიქრად, აღზრდებოდა ეს ჩანაფიქრი თუ არ აღზრდებოდა. შხატრისთვის უველადერა — ყოფილი, ცხოვრებისელი, სწავლად წარმატალი — თავის გახმაზაბებლობას ჰპაუხს შემდეგ, რაცა დრო უკვლავის თავის ქრახისა გადატრებს. ჩვენგან ისინი, ვინც გადატრებს, ვისაც მეწყერი ქვე არ დატანს, აურატებულ სულიერი საგანძურის ბატონ-სარგისი აღზრდებთან. მთი დაუფლები, ალბა, მხოლოდ ახალი გენია, აშშ-ის არიონი შესტლებს; იგი, ტაღისგან ნაპირზე გამოიყოფილი, უწინდელ ჰიმნებს „იღებრებს და „ზეზე, კლდის ძირას“ გააშრობს თავის სველ ნაზობებს.

შხატრის საქმეა, შხატრის მომალეშება დაიხიოს ის, რაც ჩავიჭრებოდა უფრო უდალს იმ მუსიკას, რომელიც ქებს „ქარისგან დაფლეთილ პატრში“ (გოგოლი).

შხატრის საქმეა, შხატრის მომალეშება დაიხიოს ის, რაც ჩავიჭრებოდა უფრო უდალს იმ მუსიკას, რომელიც ქებს „ქარისგან დაფლეთილ პატრში“ (გოგოლი).

ნოქალაქევი — არქეოპოლისი დიდი მნიშვნელობის ძეგლია. მისი გათხრები მომავალში წარმოიხერხება არაერთ საყურადღებო მასალას, რომელიც ნათელს მოკფენს ჩვენა წარსულის ისტორიას.

**შენიშვნები:**

- 1 ს. ყუხნიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წ. 1, თბ., 1948, გვ. 188.
- 2 ლენტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ს. ყუხნიშვილის შედგენილი, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 24.
- 3 ჯანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 235.
- 4 „ნოქალაქევი“, „ნაქალაქევი“ მგერული ფორმაა, რადგან საქართველოში ბევრი „ნაქალაქევი“, განსხვავებულ ეტოვებში „ნოქალაქევი“.
- 5 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა ეგრისის ქვეყნისა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 777.
- 6 ს. ყუხნიშვილი, გეორგია, ტ. II, 1965, გვ. 33-6.
- 7 იქვე, გვ. 101.
- 8 გეორგია, ტ. II, გვ. 182.
- 9 იქვე, გვ. 180, 186.
- 10 იქვე, ტ. III, გვ. 179-181, 209-233.
- 11 იქვე, ტ. IV, I, გვ. 21-34.
- 12 იქვე, გვ. 105.
- 13 ს. ჯანშია, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 367-368. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 288.
- 14 გეორგია, IV, I, გვ. 107.
- 15 იქვე, გვ. 107-114.
- 16 ჯანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235.
- 17 იქვე.
- 18 ვახუშტი, აღწერა ეგრისისა ქვეყანისა, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 777.
- 19 Г. Н. Чубинашвили, Вопросы истории искусства, ტ. 1, 1970, გვ. 93-103.
- 20 ი. ციციშვილი, ბიჭვინტის საეულტო ნაგებობათა კომპლექსი, დიდი ბიჭვინტი, II, თბ., 1977, ფურც. 9.
- 21 იქვე, სურ. 16.
- 22 პ. ზაქარაია, ვ. ლევიანიძე, გულდავში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის, III, თბ., 1974, სურ. I.
- 23 პ. ზაქარაია, ნაქალაქარ გრემის არტიმეტურა, თბ., 1975, გვ. 82-91.
- 24 პროკოპი ექსარიელი, გეორგია, ტ. II, გვ. 189.
- 25 Г. Н. Чубинашвили, Вопросы истории искусства, გვ. 96.



3550

სარაჯიშვილი

## დიდი, განუეორებელი, უკვლავი!

ზურაბ ანჯაფარიძე

დრამ ვანო სარაჯიშვილის სახელი ლეგენდად, მშვენიერ საიდუმლოდ, სრულქმნილი ხელოვნების სიმბოლოდ გადააქცია.

ვანო თვით პანგია, გამსჭვალული ქართული არტისტიზმით, ვაჟკაცობით, ტემპერამენტით, კეთილშობილებით, აღსავსე სიყვარულითა და სილამაზით...

ვანოზე ღრმად, ვანოზე სავსედ, ვანოზე უკეთ, ალბათ, ვერაინ იგრძნობს, ვერაინ გამოხატავს ქართული სიმღერის ეშხსა და ძალს.

ამიტომ არის იგი — დიდი, განუმეორებელი, უკვდავი. ამიტომვე შეიყვარა ასე მშობელმა ხალხმა, რომელმაც ვანოს სიციცხლეშივე დაადგა დიდების გვირგვინი...

სწორად მიფიქრია — მაინც როგორი უნდა იყოს ვანოს ქანდაკება, რომლის დადგმა აჭამღე ვერ შევძელით? რატომღაც მგონია, რომ მხოლოდ პორტრეტი ვერ გამოხატავს იმ მაღალ პოეზიას, მის ნათელ არსებაში რომ იყო ჩამდგარი. მას უნდა მიეფიქვნათ ალეგორიული ძეგლი „სიმღერისა“, რომელშიც გაციოხლდება ვანოსეული სითბო და გზნება, ამეტყველდება მისი ბოზოქარი სული...

# ლაბანდარული მოვლარალი

მანანა ახმეტელი

დღითიდღე ფერმკრთალდება კაშკაშა შუქი, რომელსაც ათეული წლების მანძილზე აფრქვევდა ვანო სარაჯიშვილის ცეცხლოვანი არსება. თანდათან თითქოს ბინდში იძირება ამ უნიკალური ტალანტის ოდესღაც მკვეთრი და მრავალფეროვანი კონტურები, ქრება ვანოს მგზნებარე არტისტული ხასიათის ნაკვთები, იშლება მისი დაუდებარი შემოქმედებითა ცხოვრების ნახნაგები..

როგორი იყო ვანო? როგორი პქონდა ხმა და ტემპერი, როგორ მღეროდა? რა თვისებებით გამოირჩეოდა ცხოვრებასა თუ სცენაზე? რითი ხიბლავდა ასე სწრაფად, ასე ერთბაშად ყოველ მსმენელს თუ ათასობით ადამიანს?

დღეს ეს თითქმის არავინ იცის... თითქმის აღარავის ახსენს ვანო — პიროვნება, ვანო — მიმღერალი, ვანო — არტისტი!

ამს აკეთებს დრო, რომელმაც ვანო სარაჯიშვილს განსაკუთრებული განაჩენი გამოუტანა: დრომ თითქოს იმისათვის მოსპო ცხოვრებისეული საყრდენები, მენსიერების კვალი, იმისათვის მოშალა რეალური წარმოდგენების რკალი, რათა შთამომავლობისათვის ქართველი ხალხის უსაყვარლესი მიმღერალი მიუნვიდომელი, ამოუხსნელი, ხელშეუხებელი ხატება გამხდარიყო, რათა სული მისი ღვგანდარულ საბურველში გახვეულიყო, სახელი გაღმერთებულიყო, სინამდვილე ზღაპრად ქცეულიყო...

დრომ აიყვანა ვანო მარადიული არსებობის მაღალ კორცხლბეკზე, რომლის წინაშე დღესაც ქედს იხრის მაღლივი ქართველი ხალხი, რომლისკენაც მიჯაჭვულია შთამომავლობის ალტაქუბული მზერა. მიმართულია ცნობისმოყვარე თაობებს ოცნება, ფიქრი, ლტოლვა.

დღეს, ყოველი ჩვენგანი ვანოს ხედავს და აღიქვამს სხვადასხვაგვარად. თვითელს შექმნილი აქვს თავისი ხატი, თავისებურად გაპოეტურებული წარმოდგანა.

მეც მყავს ჩემი ვანო სარაჯიშვილი მოვლენილი საკუთარი ფანტაზიის ჩიყნიდან, წარმოდგარი ქართული საოპერო ხელოვნების უმდიდრესი მატრიანედან, ამოკითხული ვანოს ბიოგრაფიის ბრწყინვალე ფურცლებიდან თუ მისი ცხოვრების ცალკეული, გაბნეული სტრიქონებიდან.

ჩემს წარმოდგენაში ვანო სარაჯიშვილს აქვს ორი სახე, ორი ხასიათი. ერთი ვანოა — გულგახსნილი, მჩქეფარე, სიცოცხლითა და ხალისით: საღვ, მეორე კი — გულზათხრობილი, სევდიანი, დაღონებული. ორივე განცდებს ეძლეოდა მთელი ძალით, მთელი არსებით, გამოხატავდა მკვეთრად, მძაფრად, მღელვარედ. გრძნობებს აყოლილი არც უკიდურეს გამწვავებებს ერიდებოდა: სიხარულის დროს იყო ლაღი და ექსპანსიური, მწუხარებაში ეგზალტაციაზე მიდიოდა. ცხოვრების ყოველ წუთს ისე გრძნობდა და ისე განიცდიდა როგორც ჭეშმარიტი პოეტი, როგორც ნამდვილი რომანტიკოსი.

პოეტურ ნებებს, რომანტიკულ უკიდურესობებს გამოხატავდა არა მარტო რთული და წინააღმდეგობრივი მსოფლშეგრძნებით, უაღრესად მგრძნობიარე რეაქციებით, არამედ თავისი არსებობის წესითაც: ისეთიანი ვახელებითა და გაჭმატებით ეწაფებოდა ცხოვრებასა და შემოქმედებას, ისეთი შთაგონებითა და თავდავიწყებით ეძლეოდა სიმღერას, თამაშს, (აკვას, თითქოს დიდი ხნის ჭინს, ოცნებას, დიდი ხნის წყურვილს იკლავსო. ასე: წუთებიც თავდაუზოგავად იქცეოდა — თვითგამოხატვის დაუცბრომელ მოთხოვნილებას მსხვერპლად სწირავდა ალტკინებამდე დაჭმობულ ნერვებს, ანაიკოვებად სულსა და გულს, თავის მზურგელ ტემპერამენტს..

ყველგან — სცენასა თუ სინამდვილეში, ჭირსა თუ ლხინში, ერთის მხრივ, სტიქიურობას, მეორეს მხრივ, კი მაქსიმალიზმს იჩენდა.

და მე მჯერა, რომ ვანო, პანგებში ზრიალსხმული ესოდენ მძაფრი, ნატიფი და მრავალფეროვანი შეგრძნებებით, მოზღვავეული გრძნობისმიერი ენერგიით, ვნებათა მოულოდნელი აფეთქებებით, უაღრესად ხალასი, გულუხვი და ალამართალი არტისტული ბუნებით ერის დაპყრობას, ადამიანების მოკვადობას შესძლებდა, მაკიორ შემოქმედებასაც მოახდენდა, წარუშლელ კვალსაც დასტოვებდა.

ამბობენ — ვანოს ყოველი გამოჩენა ირგვლივ ყველაფერს აცოცხლებდა, ალაზნებდა, მისი ყოველი ბგერა მზის სხივივით სწავდა, ათბობდა, ანათებდა. ჩემს წარმოდგენაშიც, ალბათ, აქიდან იაიბება ვანოს სინათლით სახეც, ცეცხლოვანი შუქივანარი ხატება. ამიტომვე მგონია, რომ მის ხმას, სიმ-



ღერას, არტიტულ იერს სამხრეთული მხურვალება მსჭვალადა. მისი ტემბრიდან გამოერთოდა მშობლიური ცის სილაფვარდე, ქართული მიწის ზარქა. ამგვარი ორხატოვნება კი სიკვერიცა და ჰაეროვნების, ძალ-ღონისა და ხვეწდოვანი სირბილის საკვირველ ნაერთს ქმნიდა, რაც ვანოს კასიკოსნებულ ლირიკულ ტენორს განსაკუთრებულ ხასიათს, თავისებურ ემსს, განუმეორებელ კოლორიტს აძლევდა.

ამ ორხატოვნებას უფრო მეტად აძლიერებდა პოეტურად გამაძფრებელი ოპტიმიზმი და მეღაწქოლია, ვანოს არსებაში ერთად რომ ცოცხლობდნენ, ერთმანეთს რომ ავსებდნენ და სიმღერის დროს ერთბაშად ჰკრავდნენ მრავალხატოვანი იმპულსებისა და სწრაფ-ნარმაველი წიაღსვლების წრეს. განწყობილებების ამ ფარულ ძეტებს თუ მკვეთრ გადახვევებს ვანო გამოსხატავდა მთელი ძალით, მთელი სისხლსით, ძალზე თავისებურად გააზრებული, თავისებურად წარმოქმნილი ინტონაციით, რომელიც აბეტქდილი იყო ხან სისხლსავსე, ცხოველმყოფელი ეტრებით, ხან ნაზი და გაფერმკრთალებული საღებავებით. აი, ასე, ლამის ყოველ წუნს იბადებოდნენ განუმეორებელი ვანოსეული ნიუანსები, ასე ვითარდებოდნენ ჟღერაღონის თანდათანობითი გაძლიერებისა და შექსუბუქების, ხმოვანების უეცარი გავარჯარებისა თუ დაბინდვის ხერხები, გამოსატულებას რომ პოულობდნენ შუქ-წრდილების შეწყვეტელსა და მრავალფეროვან თამაშში, რისი მიღწევაც ვანოს შეეძლო არა მარტო ერთი ფრაზისა თუ რელიკის, არამედ ერთი ბგერის, ერთი ინტონაციის ფარგლებშიც.

როგორც ჩანს, ვანო ამჟღავნებდა მიდრეკილებას უაღრესად დახვეწილი და მღერპობიარე სტილის, დეტალიზებული რომანტიკული სიმღერისაკენ... მაგრამ ამ სტილს იგი ანვითარებდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში — გმირთა ინტიმური განკიდების გამოსხატვისას — ლირიკული ვნებათა ლეღვის, სუ-

ლისმიერი სიფაქიზის გამჟღავნების წუთებში, განსაკუთრებით კი კამერული მუსიკის ნაწარმოებთა სირეუტებისა და რომანსების — შესრულების დროს.

საკონცერტო ესტრადაზე იგი, ალბათ, ასე მღეროდა „ურმულს“ ან. ნ. სულხანიშვილის „დაიგვიანეს“, ამდაგვარადვე შეასრულებდა მალხაზის „თავი ჩემის“ საოპერო სცენაზე... წარმომადგენია, რა საოცარი სინატიფითა და მღელვარებით ამჟღავნებდა იგი ამ ნაწარმოებთა კავშით მოსევადებულ ჩუქურთმებს, იდუმალებით სავსე თრთოღებებს, სულისმიერ ტკივილებს! რა საოცარი გატაცებით მიეცემოდა სველით ფრთაშესხმულ ფიქრებს! რატომღაც მგონია, რომ ვ. სარაჯიშვილის სიმღერის დეტალიზებული რომანტიკული სტილი სწორედ ამ ნაწარმოებებში მიადნეწედა ამოთოვს, თორემ სხვა მსგავსი მაგალითების მოყვანა ვანოს უმდიდრესი რეპერტუარიდან, რა თქმა უნდა, შეიძლება კიდევ და კიდევ...

და მაინც მგონია, რომ ფილიგრანული და ვირტუოზული სიმღერის ეს სტილი, რომელიც მისთვის, შესაძლოა, ყველაზე ახლობელი, ყველაზე მშობლიური ყოფილიყო, გამოსხატავდა ვანოს ორხატოვანი ბუნების, მისი მრავალწინაგოვანი შემოქმედების მხოლოდ ერთ მხარეს. თქმა არ უნდა — ასეთი მდიდარი სულის ხელოვანს, უთუოდ, გააჩნდა სხვა არანაკლებ მაღალპოეტური კატეგორიები, არანაკლებ მნიშვნელოვანი განზომილებები, რომელთა შუქზე უფრო ნათლად ამოვიკითხავდით, უფრო მეტად ჩაწვდებოდით ვანოს ესთეტიკური აზროვნების სიღრმეებს.

მჯერა და მწამს, რომ ვანო ასევე თავისუფლად, ასაკი ვირტუოზულად ფლობდა ვოკალიზაციის სხვა პრინციპებსაც. კერძოდ კი, მასშტაბური რომანტიკული სიმღერის სტილს, რომელიც უფრო ფართო, უფრო განზოგადებულ აზროვნებას მოითხოვდა. თუ დეტალიზებული რომანტიკული სიმღერის დროს ვანო ეკრდნობოდა ნიუანსირების უდახვეწილეს ტექნიკას

1. სარაჯიშვილი — ნადირი  
(„მარკალიტის მადიდებლობა“)



2. სარაჯიშვილი — რაული  
(„სუვენიტები“)



3. სარაჯიშვილი — ჩაღამესი  
(„აიდა“)



და თვითმულ ინტონაციას რაღაც განსაკუთრებული სანოვინებით ტვირთავდა, აქ იგი უფრო მსხვილი შტრიხებით იაზროვნებდა და უპირატესობას მიანიჭებდა ფართოდ გაშლილ კანტოლენურ ზრახირებას. ამის შესაბამისად იზრდებოდა ვანოს ხმის ძალა, ენერგია, მოცულობა, სიწრცე, ფართოდებოდა მღერადობის ნაკადი, მისი დინების, გავრცელების, გაქანების არე. ეს შინაგანი გარდაქმნები ზემოქმედებას ახდენდნენ მისი ხმის ტემპრზეც, რომელსაც მხურვალეობასთან ერთად ელვავრებაც ემატებოდა. ასეთიანი სიმღერაში უსათუოდ იპოვინდა გამოსავალს ვანოს არსებში დაგროვილი და მოძალებული ვაჟკაცური შემართება, გზნება, ძალ-ღონე...

თუ პირველ შემთხვევაში — დეტალიზებული რომანტიკული სიმღერის დროს — ვანო აღწევდა უნატიფესი ლირიკული განწყობილებების სერვას, ისეთი გასაიდუმლოებული იმპულსებისა თუ ინსტიქტების განსახიერებასა და კონკრეტიზაციას, როგორც არის ფიქრი და ოცნება, შეფერადებული სხვადასხვაგვარი განცდით — სევდა, წუხილი, კეთილი, დარდი, სასონარკვეთა... მეორე შემთხვევაში — მასშტაბური რომანტიკული სიმღერის დროს იგი მთელი ძალით, მთელი სისასხით გამოხატავდა სიცოცხლით ტკობობას, სულისმიერ აღმადრენას, შინაგანი ჰარმონიის გრძნობას, ფრთაშესხმულს ისეთი არანაკლებ ეფემერული თუ ილუზორული განცდებით, როგორიცაა — ბედნიერება, აღფრთოვანება, სიხარული... საოპერო სცენაზე იგი, ალბათ, ასე იმღერებდა აბესალომის არიოზოს „მე ბანი ბანად გეძებდი“, ან კავარადოსის პირველ არიას, ამდაგვარადვე შესრულებდა „ინდი-მინდისა“ თუ „ორველას“ საკონცერტო ესტრადაზე... ცხადია, ამ შემთხვევაში შეიძლება ბევრი სხვა მსგავსი მაგალითის მოყვანა.

მთელ ამ საოცრად მრავალსახოვან ვრძობისმიერ სამყაროს კი ბიძგს აძლევდა და შთააგონებდა ჯან-



ნატო ვაჩნაძე და ვანო სარაჯიშვილი კინოფილმში „მამის მკვლელები“

გ. სარაჯიშვილი — ლენკი („უფენი ონეჯინი“)

ვ. სარაჯიშვილი — აბესალომი („აბესალომ და ეთერი“)







სახლი მამაკაცური საწყისი, ცხოველყოველი მამაკაცური ვება, ვანოს არსებობა მუხუცეულები რომ ვუთქვამდა და რომელსაც ორივე შედიოდა ვანო — თოღოლოლი, ვანო — არტისტი ნამდვილ შემოქმედებით ეესტაზიადე მიჰყავდა. აღტაცებული თხანადროვიდით, ალაბთ, ამიტომ ამოიადიუ ხოლმე: ვანო სულ ეხთო, იხვად, გიგივიადიო! უფროლო ხალხი კი, ესოდენ მკვეთრად გაძომატული ობსატონეის გავო, ადარებდა მას ხან მხეს, ხან მთვარეს. ასეთხარი ასოციაციები თუ მეტაფორები გასაკეთო რეაბილ ყურადღებას იმსახურებდა არა მარტო იმიტომ, რომ გვაძლევენ ვანოს შემოქმედების ამოსახსელს გასაღებს, აიამედ იმიტომაც, რომ მათი წყალობით, ჯერ კიდევ ვანოს სიცოცხლეშივე, შემზადდა ხიადგი მისი სათელის გაღმერთების, ღვთაებადღეცვისთვის...

რომანტიკული ვოკალიზაციის ესოდენ ფართო და მრავალფეროვანი პრინციპების ვირტუოზობა ფლონა, როგორც ჩანს, ვანოს სამომღერლო პოტენციას, მისი ხმის ძალას, ენერგიას, ტემპერამენტსა თუ დინამიკას ისეთხარად ახანილებდა, ისეთხარად აწონანსობებდა და თანაბრებდა, რომ მას ლირიკული გავრცობის გვერდით თავისუფლად შეეძლო ურთოდესი დრამატული პარტიების შესრულება. ისეთ სექცილებში, როგორიც არის „კარმენი“, „ტოსკა“, „აიდა“, „აბესალომი და ეთერი“, „პიკის ქალი“ თუ „ჰუგენოტები“, ვანო სარაჯიშვილი უფოდე გაეთრთიხედა დეტალიზებული და მასშტაბური სიმღერის სტილად, მათი ესთეტიკური თავისებურებებიდან წარმომდგარ ათასხარ ხერხებს და საშუალებებს, რაც მხატვრულ სახეთა დრამატიზაციის საუკუევეს შექმნიდა და ვანო — მომღერალს, ვანო — არტისტს აზიარებდა ტრაგიკული განცდის სიღრმეებს, სიმძაფრეებს, ტკივილებს. წარმომადგენია, რა საოცარი გზნებითა და მხურვალეობით დაატრიალებდა იგი აბესალომის, ხოხესა თუ კავარადოსის საბედისწერო დრამებს, რა საოცარი სინაზთა და აინწავით გამოაჩენდა რომანტიკულად აღტკინებული ტრაგიკული განცდების ნაირ-ნაირ ფსიქოლოგიურ წილანვლებს... ეს სახეები ისევე, როგორც ალფრედი („ტრაგიატიკა“), ნადირი („მარგალიტის მაიხილები“), ჟურჯიკი („რიკოლეტო“), ლენსკი („ეგვანი ონგინი“), ვასოცი („ფაუსტი“), მალხაზი („დაისი“) ქმნიდნენ ვანოს შემოქმედების მწვერვალებს.

ვანოს ბავშვობიდანვე გამოჰყოლია ორი ლტოლვა, ორი გატაცება — სალაპური და ჩელო, რომელთა ჰანგებში აწრობდა სულსა და გულს, ჰპოვებდა შევებს, ნამდვილ შემოქმედებით სიხარულს. ამ საკრავებშია გაკვალეს ვანოს შემდგომი ცხოვრების გეზი, რადან ბუერი რამ აგრძნობინეს, გაავებინეს, ასწავლეს ვანო — მუსიკოსს, ვანო — მომღერალს, მხატვარს და პოეტს.

ამ საკრავების შემნობით ვანომ ადრევე შედგა ფეხი ორი მაღალი მუსიკალური კულტურის სამყაროში — თავიდანვე და თითქმის ერთდროულად დაწაფა ქართული ხალხური საშემსრულებლო ხელოვნებისა და ევროპული მუსიკირების ტრადიციები.

და მაინც, ვანოს შემოქმედების მთავარ მასაზრდობელები წყარო იყო მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერა-საგალობლები, რომლის წილად იწვა, განვითარდა და ჩამოყალიბდა მისი დიდი თვითმოყვადი ნიჭი. ხალხური მუსიკირების ატმოსფეროში, სადაც მან გაატარა მთელი თავისი ბავშვობა და ყრობა, ვანომანროო ვიღეს არტისტიზმი, მუსიკალური აზროვნება, ოსტატობა, კულტურა. უპირველესად, სწორედ აქ ეზიარა იგი ტემპირატ სამომღერლო პროფესიონალიზმს.

შემდეგ კი, როცა დაწაფა თავისი შემოქმედების მეორე მასაზრდობელებ წყაროს — ევროპულ საოპერო ხელოვნებას, ამ მყარ საფუძველს მან დააყენო შესანიშნავი მონაპოვები იტალიური სამომღერლო სკოლა, რომლის უდიდეს მიღწევას ზელ კანტოს ხელოვნება წარმოადგენდა. ზელ კანტოს ესთეტიკას კი ვანო არა მარტო შესანიშნავად დაუფლდა. არამედ შემოსა ეროვნული ელფერით, თავისებურად გაიხზრა.

ერთი ისტყეით, ვანო უნიკალური ტალანტით დაჯილდოებული ევროპული დონისა და მიმართულების პირველი, ტემპირატად ქართველი მომღერალი იყო. ამამოი მისი ძალა, უდიდესი ისტორიული დამსახურება.

ვანოს სახით ქართულ სცენაზე გამოვიდა ახალი ტიპის, ახალი შემოქმედებითი ფსიქოლოგის საოპერო მომღერალი, რომლის ძარღვები უაღრესად დახვეწილი, კეთილშობილი და ტემპერამენტისანი თანამედროვე ქართველი ინტელიგენტის სისხლი დუღდა, რომლის არსებას თანამედროვე ქართველი ინტელიგენტის მაღალი იდეები შთააგონებდა...

ყოველივე ამის წყალობით ვანომ ეროვნული კულტურის წინაშე ბრწყინვალედ შეასრულა ორი დიდი როლი, ორი დიდი მისია: იგი იყო ქართული სამომღერლო ესთეტიკის ფუძემდებელი, იყო ნოვატორი ეროვნული საოპერო ხელოვნებისა.

გავიდა დრო... ჩაქრა კაჰჰაჰა შუქი, რომელსაც ათეული წლები მანძილზე აფრქვევდა ვანო სარაჯიშვილის ცეცხლოვანი არსება. თანდათან ბინდში ჩაძირა ამ უნიკალური ტალანტის ოდესღაც მკვეთრი და მრავალფეროვანი კონტურები, გაქრა ვანოს მგზნებელი არტისტიკული ხასიათის ნაკვეთი, წაიშალა მისი დაუდევარი ცხოვრების წახნაგები...

ვანო კი ცოცხლობს, იცოცხლებს ყოველთვის, იცოცხლებს მზარდ, რადან ვანო — სკოლა, ტრადიცია, გზა... ამ გზას მიჰყვებიან, აგრძელებენ უნიკალური ტალანტით დაჯილდოებული შესანიშნავი ქართველი მომღერლები, რომელთა შემოქმედებაში ვანოსეული გენია არა მარტო ცოცხლობს, არამედ ვითარდება — თავისებურად, შეუწყვეტლად, სხვადასხვაგვარად...

უკვადებაც ხომ ამის ჰქვია...



# მღვთნება

სიმონ ბოლქვაძე



ვანო სარაჯიშვილი და თამარ ბოლქვაძე

ფოტოსურათში, რომელზედაც აღბეჭდილია ვანო სარაჯიშვილი და კინომსახიობი თამარ ბოლქვაძე გადაღებულია 1923 წელს, წალკერში. მაშინ ათი წლის ვიყავი, ჩემს დას თამარს და მის მეგობრებს ყველგან უკან დაგვიდვი — მთავე წყლებზე, ციხის ნანგრევებზე, ტიმოთეს უბანში. ისინი მხიარულად ატარებდნენ დროს, საინტერესო ამბებს ყვებოდნენ, ლექსებს კითხულობდნენ.

ერთ საღამოს, როცა ყველანი პარკში ვიყავით, ბორჯომის მხრიდან მომავალი ეტლი შეენიშნეთ, იგი პარკის კართან გაჩერდა. ეტლიდან გადმოვიდნენ ვანო სარაჯიშვილი და რუსთაველის თეატრის მსახიობი გიორგი სარჩიმელიძე, ნაცნობები მათ აღტაცებით შეეგებნენ.

გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ ვანო ბორჯომში ისვენებდა. იგი მაღალი, შავგერემანი, უზიანი კაცი იყო. თმა ავადმყოფობისას გადაეკრიჭა. ღია ნაცრისფერი ტილოს ხალათი ეცვა, იმავე ქსოვილის ქუდი ეხურა, ხელში ეჭირა ბორჯომული ჯოხი.

ღამე იყო, სახლამდე რომ მიგვაცილეს. გზის პირას ხის მორეზზე ჩამოვსხედით. ვანოს სთხოვეს, ემღერა...

... და აი, გაისმა პანგი, რომლის მსგავსი ამ ადგილებს არასოდეს სმენია. ვინ იცის რამდენ მეურმეს ჩაუვლია აქ და დაუკუნესია „ურმული“, მაგრამ ვანოს „ურმული“ სხვა იყო, მასში ვანოს ხმის მაღლთან ერთად გამოკრთოდა ფალიაშვილის ნიჭიც. თანდათან სულ უფრო იზრდებოდა, ფართოვდებოდა ქართველი ხალხის წინაშე ჯერ არნამღერი ურმული „ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ, შენ მზეო ამომავლო“...

ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ ჯერ არ იყო დადგმული, ვანო მხოლოდ მაშინ ემზადებოდა მალხაზის სამღერად. 1923 წლის 19 დეკემბერს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე მან პირველად შეასრულა მალხაზის პარტია, რომელიც იწყება ურმულით „ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ, შენ მზეო ამომავლო“...



# ფრაგმენტები კომპოზიტორ თეარ ვახანისვილის ღლიურებიდან

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის, კომპოზიტორ თეარ ვახანისვილის არქივში დაცულია მრავალი საყურადღებო მასალა, მათ შორისაა მისივე დღიურები, რომლებიც შექმნენ ქართული თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების მრავალ საინტერესო ფაქტსა და მოვლენას, ამდიდრებს ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების შემოქმედებით პორტრეტებს.

ამჟამად ვაქვეყნებთ თ. ვახანისვილის დღიურებს

იმ ფრაგმენტებს, რომლებშიც აღწერილია ენო სარაჯიშვილის დაკრძალვა.

აქვე ვთავსებთ თ. ვახანისვილის მიერ 1920-22 წლებში გადაღებულ ფოტოსურათს, რომელზედაც აღბეჭდილია ენო სარაჯიშვილი და ვიოლანტისტი ენო კაბელიცი.

რადგანაც ეს ენო სარაჯიშვილის უცნობი სურათია, საჭიროდ მივიჩნით მისი გამოიკვეთება.

ნათელა ჯაპახიშვილი.

1924 წლის 11 ნოემბერი.

ამ დღით, ავადმყოფობის შემდეგ, პირველად გადავწყვიტე მუსიკალურ სახელოვნებო წავსულიყავი. ქუჩაში სვიმონიშვილმა გამაჩიარა: „რომ იყო დღით, რა მოგვივიდა — ენო სარაჯიშვილი გარდაიცვალა“. შიშბრა და ატირებულმა განავრძო ვა. მეც შინ დაბრუნდი.

საკვირველია, ავადმყოფობის დროს, როცა ჩემთან ზეზა და დიოდონე ამხანაგბო თეატრიდან, მუსიკალური სახელოვნებოდან,

მიოდონენ დათიკო ჩემი და იგივე დღით სვიმონიშვილი, არც ერთს არ წამოსცდენია, რომ ენო სიკვდილის პირას იყო...

1924 წლის 14 ნოემბერი.

ენო მწერალთა სახლში დაახვეწეს. დაკრძალვის ვაფორებმა მარჯანიშვილმა იცხრა. ამ საღამოს პირველი სამოქალაქო პანაშვილია. პაოლო იაშვილი რომ არა, მაჩაბლის ქუჩაზე ვერ მივალწუდი. მთელი ახლამახლო ქუჩები ხალხით იყო გაუქვდილი. მწერალთა სახლი წალკოვად გადაქციათ. ყვავილები... ყვავილები... ჩვენს განოქულ

მეგვიანეს, მისა მამულაშვილს მთელი ოაგისი ოსტატობა მოეშვე-  
ლიებინა, ხაგზე გატეხილი ხალამური დეგს. ეკარცხლბეკი მალაღი  
კი არ არის, როგორც ჩვეულებრივ, არამედ სულ დაბალია. ასე რომ  
კუბო თითქმის იატაკზე დგას, ვანისთვის ფრაკი ჩაუტყევიათ, თითქმის  
სულ არ შეცვლილა, ის კი არა, ბორჯომში რომ ენახე, უფრო ყვი-  
თელი მეზენა „ბატონო კოტე, მათაშაშთ თეგრის რილა თქვენს  
პანტოწამაში. ღმერთმაღი, არ გავაუტეგებ“. თითქმის გუწნს იუ.ო.  
თუქცა რა, მართლაც გუწნს იუ: შარშან ზაუხუღს.

ვიღაცამ მხარებზე მომხვია ხელი. მოციხედ —მარჩანიშვილი.

— აქ რას აკეთებ? შენ ხომ ავად ხარ. წდი ჩქარა აქედან.

მეზობელ ოთახში გმიუყვანა. ამთავალიტრა და ჩაიბეჭდღან: „ხა-  
ზიზღრად გაიბიყურები“. მერე კიდევ უფრო აუწია ხმას: „რა ჭან-  
დაბა გინდოდა, აქ რომ მოდიოდა? სულ ერთია, ვერაუტრამ ვერ  
უშველი, ვერ გააცოცხლებს... ვერ გააცოცხლებს ვერც შუა, ვერც  
შე, ვერც თქენი ნაქები პროფესორა“

ყველამ ჩვენენე მოიხედა. ამ ოთახში იყვნენ მწერლები, მსახი-  
ბები, რომლებიც პანაშვილზე მოდიოდნენ, და ისინი, ვინც ერთმა-  
ნეთს ცვლიდა საპატოე ყარაულში...

1924 წლის 17 ნოემბერი.

...გუწინ დავკრძალეთ ვანო სარაჯიშვილი. დავკრძალეთ ოპერის  
თეატრის მარჩენა სკვერში. დამკრძალვე კომისიის თუქელაშარედ  
მარჩანიშვილი დაინიშნა. ყველაფერი მის ხელთ კეთდებოდა და  
ამიტომ ყველაფერი შესანიშნავად გამოვიდა. ზუსტად 12 საათზე  
მწერალთა სახლში შეიკრება მთავრობა და ყველა ის პირი, ვისაც  
საზეი მჭონდა, ამისდამიუხედავად არ ყოფილა კულებტა. არიკინ არ  
მიიწვედა წინ. მარჩანიშვილმა მილიციას სხივცა მიემართა ხალ-  
ხისათვის, მათთან ერთად დეცვათ წესრიგი. მათ ბევრა გაუმეზა-  
ურა: სტუდენტები, მოსწავლეები, მეშუბი და დაქრძალვის დროს ხანი-  
მუშოდ იცადდენ წესრიგს. პანაშვილზე სურგუნოვბა, ბროლციმ და  
კაბელიციმ შესასრულეს ჩაიკოვსკის ტრაო, ხოლო საგატროლოდ  
ჩამოსულმა პიანისზე გროვიცმა შოკენის საქოლოვიარო მარში.  
ყველაზე შესანიშნავი ხანაზამა მაინც კქრებში იყო: გეგონებოდათ,  
მთელი თბილისი კი არა, მთელი საქართველო გამოვიდაო ქუჩებშია  
და მოედებზე. მწერალთა სახლიდან ოპერის თეატრამდე, სათელეზო-  
დან ჩამოედდენ დედეგაციები, უბრალო მშრომლები, რათა გა-  
მოხიფებოდნენ საუყარედ მომღერალს. კიდებოლი ხანაზამა იყო:  
კაშკაშია შუე, შავწითლი დროშები, ვანის პორტრეტები და ყვა-  
ცადლები. კუბოზე ოპერის თეატრის დროშა იყო აღაჯარუებული.  
რჩივობიში გამოდიოდა სამხედრო ორკესტრი და რამდენიმე სა-  
გუნდო კოლექტივი. მთელი ეს პრიცესია განადიოწულო, კუბური  
ოპერის ფინალს წაყვავდა. ოპერის შენობასთან, ზედა ფოვია ტე-  
რასაზე, ორკესტრი უტრავდა და მსახიობმა ვ. პომოვამ უწინასკენლად  
დაატრია თავის პარტნიორს, შესასრულა მარის ტრილი „კოსიოდან“.  
ოპერის ატორი, ზაქარია ფაბიშვილი, გულაშოსკინილი კვითი-  
ნებდა, მასთან ერთად ტრილა მთელი ხალხი.

1924 წლის 22 ნოემბერი.

ეს-ეს არის დავკრუნდი ოპერიდან. გამართეს „აბესალდი და ეთე-  
რა“ ვანო სარაჯიშვილის ხსოვს პატეხაცყად. ვინაიდან ეს ღად-  
გმა მარჩანიშვილს იეუთენის, მასვე ხსოვს რაიმე ისეთი მოეგო-  
ნებინა, რომ უფრო გამოეჩინა სექტეაღის მგლოვიარობა. დღიზათ  
მარჩანიშვილმა მითხა: „წამხხვად? ზამინ თეატრში გამოვიარე“.  
წასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი. ამვიოტარის  
ბილო რიგში დავხხხდიო. კოტა ხანში დ. კანდელაკი მწავიქცა.




ვანო სარაჯიშვილი და ემილ კაბელიცი

თეატრი ხალხით იყო ხაგზე, მაგრამ ჩვეულებრივი გამოცოცხლება არ  
იგრძნობოდა. ყველა წუხდა, რომ ვეაპაროსდეს ხილავდ: ვანოს  
აბესალდოს.

შესარდელს უეტრტორუა, ეთერმა იმღერა თავისა პირა, იზლა აბე-  
სალდისი — ქუმხიშვილის გამოხელაა მაგრამ ეს რაღა — ქუმხი-  
შვილი არ გამოდის. აბესალდოს მავირად სცენაზე გამოჩნდა პრო-  
ცენტორის ხეის, მის პარტის კი ჩელოზე აბრულეს კაბელიცი.  
კაბელიცი შესანიშნავად უტრავს, მაგრამ ხშირად აკარებებს ხოლმე,  
უეყვარს ოაგის მოწინება. დღეს კი კაბელიცი თავის სენს პირა-  
პირ გულზე უხვამა ყველა დამწერს, უკლებივ ყველანი, ქოლები-  
ცა და კაცები გულამოსკინლი ტიროდნენ, ცრემლს არავი მ-  
ავდა და ასე იყო სექტეაღის დამთავრებამდე: ხხვი და ჩელოს  
ქვითინი. ენით აუწეოელი ხედვის, მესიციხა და სინათლის სხივით  
შობილი რაადე ნათელის შტგრძენბა.





სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა. 1905 წლის ფოტო.

## არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი

თენგიზ კვიციანი

ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე, 1917 წლის 26 ნოემბერს, ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ ქართული გიმნაზიის შენობის აგებამ ქართული უნივერსიტეტის დაარსების ამოცანა სანახევროდ გადაწყვიტა. გიმნაზიის (დღევანდელი თბილისის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი) პროექტის ავტორი და მშენებლობის მეთვალყურე იყო ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი. ახალგაზრდა და ჯერ შედარებით გამომოუცდელი ქართველი არქიტექტორის მიწვევა გიმნაზიის პროექტის ავტორად იმ დროს, როდესაც თბილისში საკმაოდ გამოცდილი და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეული სპეციალისტები მოღვაწეობდნენ, მეტად ყურადსაღები და ნიშანდობლივი ფაქტი გახლდათ. ამ არჩევანით ქართველი საზოგადოება ხაზს უსვამდა მშენებლობის დიდ ეროვნულ მნიშვნელობას.

სიმონ კლდიაშვილი იმ მოღვაწეთაგანია, რომელთა სახელს წინ უძღვის ხოლმე საპატიო ეპითეტი „პირველი“. იგი პირველი ქართველი ხუროთმოძღვარია, რომელმაც საგანგებო აკადემიური (ვახტანგ ბერიძის თქმით „ევროპული ტიპის“) არქიტექტურული განათლება მიიღო.

სიმონ კლდიაშვილი დაიბადა 1865 წლის 2 თებერვალს სოფ. ქვიშეთში, სამხედრო პირის გრიგოლ კლდიაშვილის ოჯახში. ცხადია, მის სულიერ წრთობაზე დიდი გავლენა იქონია გარემოცვამ და, უპირველეს ყოვლისა, ოჯახმა. სიმონის დედა, ეფროსინე კლდიაშვილი (ყიფიანის ქალი) საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მის ინტერესთა სფეროში განსაკუთრებული ადგილი ეკავა თეატრცოდნეობასა და ლიტერატურას.

სცენასთან იყო დაკავშირებული სიმონის დაც — მარიამი (ძნელაძე), რომელმაც

ერთ-ერთმა პირველთაგანმა ქართველ ქალთა შორის მიიღო უმაღლესი მუსიკალური განათლება. სიმონის ერთი ძმა — ანდრია, ტექნიკოსი, საცხოვრებელ სახლებს აპროექტებდა და აშენებდა; მეორე ძმა — ალექსანდრე ქიმიკოსი იყო და იდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. ამგვარად, გრიგოლ კლდიაშვილის ოჯახი კულტურის მოღვაწეთა ერთი კვრათაგანი იყო.

სიმონმა ქუთაისში მიიღო საშუალო განათლება და სწავლა გააგრძელა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. 1895 წელს იგი ამთავრებს მოსკოვის „ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელს“. ვერცხლის მედალთან ერთად, ლებულოვს არქიტექტორის საკლასო მხატვრის დიპლომს.

საქართველოში დაბრუნებამდე სიმონ კლდიაშვილი ერთ წელს მუშაობდა კოსტრომაში. 1896 წლიდან 1899 წლამდე იგი სოხუმში ქალაქის არქიტექტორია. კავშირი სოხუმთან მას არც შემდგომ გაუწყვეტია. უკვე თბილისში მოღვაწეობისას უფასოდ შეადგინა სოხუმის ქართული ეკლესიის პროექტი.

თბილისში ს. კლდიაშვილის დამკვიდრება უშუალოდ იყო დაკავშირებული ქართული გიმნაზიის შენობის მშენებლობასთან. 1899 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე, იგი ძირითადად თბილისში მოღვაწეობდა.

სიმონ კლდიაშვილის შემოქმედების იმ დროის თბილისელი არქიტექტორების მოღვაწეობისაგან განცალკევებით განხილვა ცალმხრივი იქნებოდა, რადგან იგი თავისი დროის ტიპური წარმომადგენელია.

საქართველო ჩართული იყო რუსეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და, ბუნებრივია, რომ თბილისის არქიტექტურაში სულ უფრო ირეკლებოდა იმ დროის რუსეთის (და ევროპის) ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე პროცესები. იმ დროს კი ევროპისა და რუსეთის არქიტექტურაში ეკლექტიკა ბატონობდა. სტილისტური აღრევა მხოლოდ სხვადასხვა ნაგებობებში როდი შეინიშნება. სტილითა შეგუების ცდებს ერთიდაიგივე შენობის ფსადაზე და ინტერიერშიც ვხვდებით. ეს ეკლექტიკა არც თბილისს ასცდენია. ამაში იოლად დარწმუნდებით, თუკი გაივლით სოლოლაკში, მთაწმინდის ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე, პლეხანოვის პროსპექტზე და მათ მიმდებარე უბნებში. ნაირსახიანი სტილი-

ზაცია ამოკითხება როგორც საზოგადოებრივი, ასევე საცხოვრებელი სახლების ფასადებზე. რენესანსი, ბაროკო, როკოკო, ცრუ გოთიკა, „მავრიტანული“, „აღმოსავლური“ არქიტექტურა მეზობლობენ ერთნაირი მოტივების სტილიზაციის ცდებთან. XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ფეხს იკიდებს ახალი არქიტექტურული სტილი — „მოდერნი“. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ამ დროს აშენდა მოდერნული არქიტექტურის საკმაოდ საინტერესო ნიმუშები, რომლებიც მაღალი პროფესიული დონით გამოირჩევიან. იმ შენობათა შორის, სადაც კლასიციზმური (ძრითადად რენესანსული და ბაროკალური) კომპოზიციური ხერხები და ფორმები გამოყენებული, არის მეფისნაცვლის სასახლე (ამჟამად პიონერთა სასახლე), ქალთა გიმნაზია ამჟამინდელ კეცხოველის ქუჩაზე, საჯარო ბიბლიოთეკის პირდაპირ, სასტუმრო „ორიანტი“, სასტუმრო „მაჟესტიკი“ (თბილისი), თბილისის „კრუჟოკი“ (ოფიცერთა სახლი), მუსიკალური სასწავლებელი (კონსერვატორია) და ა.ა. „მავრიტანული“ მიმართულების დამახასიათებელი შენობებია: ოპერის თეატრი, ქალაქის საბჭო. ბევრი არქიტექტორი ვერ აცდა ცდუნებას შეექმნა ე. წ. „აღმოსავლური“, „ეგვიპტური“ შენობები ისლამური და მავრიტანული არქიტექტურის ატრიბუტების (შეისრული თალი, სტალაქტიტები, კოშკურები, მაილიკა) გამოყენებით. ამ სტილიზაციის ქარავსლები და საცხოვრებელი სახლები დიდი ჯგუფი იყო „რამპეტოვინაც“, ე. წ. „რუსული სტილის“ შექმნის ცდებში (მეაბრეშუმეობის სადგური მუშაიდაში, სასულიერო სემინარია ვაკეში, რუსული ეკლესიების რიგი). მოდერნის თბილისში წარმომადგენელნი სახელმწიფო ბანკის შენობა კიროვის ქუჩაზე, ფოსტამბო პლეხანოვის პროსპექტზე, ოფიცერთა ეკონომიური საბჭოს შენობა (უნივერსიტეტი მარჯანიშვილის თეატრი), საცხოვრებელი სახლები სოლოლაკში, პლეხანოვის პროსპექტზე, რუსთაველის პროსპექტსა და ელბაქიძის დაღმართის კუთხეში (ყოფილი მელიქ-კახარიანის სახლი) და ა. შ. ქართული ეროვნული ფორმების აუღერების ცდებში (რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ვერ გასცდა მდარე სტილიზაციას) განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება საფლასწავლო უწყისის ღვინის სარდაფს მელიქიშვილის ქუჩაზე (დღეს ქარხანა №1) და სათა-



ვადაზნაურო ბანკს (ახლანდელი საჯარო ბიბლიოთეკა).

ისიც აღსანიშნავია, რომ ცალკეულ ავტორს, თუნდაც ნამდვილ პროფესიონალს, არ გააჩნდა მტკიცე შემოქმედებითი კრედიტით შემოქმედებაში დიამეტრულად სანინალამდეგო პრინციპებს წააწყდებით. დაზნახსათებელია ცნობილი არქიტექტორის ლეოპოლდ ბილფელდის მოღვაწეობა იგი სამთავისის განუმეორებელი ხუროთმოძღვრებით ხელმძღვანელობს და აპროექტებს ქვაშეთის ეკლესიას. ამავე დროს, სრულიად თავშეუკავებელი ელექტივიზმის თვალსაჩინო ნიმუშია მისივე დაპროექტებული ვეტცელის (შემდგომში „რუსთავის“) სასტუმრო პლენხანოვის პროსპექტზე, რომლის ფასადი ვერ იტყვის ბუტაფორულ (თუმცა კი პლასტიკურ) ბაროკალურ ფორმებსა და მოტივებს. იგივე ითქმის ალექსანდრე ოზეროვზე, რომელიც ბევრს აშენებდა თბილისში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მან დააპროექტა ამჟამინდელი ღვინის ქარხანა №1, სადაც სცადა გამოეყენებინა ქართული ხუროთმოძღვრული მოტივები. ამავე დროს, თბილისშივე, ბევრი საცხოვრებელი სახლი აქვს აგებული, სადაც მიმართავს გუთურ ელემენტებს და მოდერნულ ფორმებს.

ვინ მოღვაწეობდა თბილისის არქიტექტურულ სარწმუნოებულ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან რევოლუციამდე?

ალექსანდრე შიშკევიჩი, ეროვნებით პოლონელი; მის მიერ აგებულ შენობათაგან გამოირჩევა დღევანდელი რუსთაველის თეატრი — ტატიშჩევთან ერთად, კონსერვატორია, სასამართლოს შენობა, საცხოვრებელი სახლები; პავლე შტერნი, წარმოშობით გერმანელი, დააპროექტა ქალაქის საბჭოს შენობა, პროფკავშირების სახლი, საცხოვრებელი სახლები; ალექსანდრე ზალცმანი, თბილისელი გერმანელის შვილი, ავტორი ბევრი საცხოვრებელი სახლისა, კათოლიკეების ეკლესიისა კალინინის ქუჩაზე, ქალთა გიმნაზიისა; ოტო სიმონსონი, წარმოშობით შვედი, მრავალი პროექტის ავტორი კავკასიაში, თბილისში — აწინდელი პიონერთა სასახლის, კომუნარების ბაღის; ლეოპოლდ ფილფელდი (გერმანელი), კორნელი ტატიშჩევი (ავტორი რუსთაველის თეატრისა — შიშკევიჩთან ერთად, საცხოვრებელი სახლებისა), ალექსანდრე როგოსკი (საცხოვრებელი სახლები, სასულიერო სემინარიის ვაკეში, ამჟამინდელი უნივერსიტეტის მარჯანიშვილის ქუჩაზე, საბჭოთა ინსტიტუტი ლენინის ქუჩაზე), მიხეილ ნებრინცევი (სომხური სემინარია არსენალის მთაზე, ცენტრალური ტელეგრაფი, რეალური სასწავლებელი ამჟამინდელ უშაგვი ჩხვიძის ქუჩაზე), მიხეილ ოზანჯანოვი (ახლანდელი მარჯანიშვილის თეატრი, ფინანსთა სამინისტრო, ბანკი კიროვის ქუჩაზე), გაბრიელ ტერ-მეჩელოვი (საცხოვრებელი სახლები, სასტუმრო „თბილისი“) და სხვები.

დასახლებულ არქიტექტორთა უმრავლესობა სათავადაზნაურო გიმნაზიის მშენებლობის დროისათვის საქაოდ გამოდილი და მალაღობი ორფის პროფესორები იყვნენ, რასაც მოწმობს თუნდაც მათ მიერ თბილისში აგებულ შენობათა ნუსხა. მშენებლობის კომისიას, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ნიკო ცხევედაძე, სათავადაზნაურო გიმნაზიის, მომავალში ქართული უნივერსიტეტის, შენობის აგება დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდა და აშკარაა, სიმბოლური მნიშვნელობას არ იყო მოკლებული ის ფაქტი, რომ უპირატესობა პირველ ქართველ დიპლომატიურ არქიტექტორს — სიმონ კლდიაშვილს მიაკუთვნეს.

სათავადაზნაურო გიმნაზიის გარდა, სიმონ კლდიაშვილმა თბილისში მრავალი ორ-სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლი დააპროექტა. იგი, ისევე როგორც იმ დროის სხვა არქიტექტორები, მიმართავდა ორგორც კლასიციზტურ მოტივებს (გენეზანსული თუ ბაროკული ხასიათისა), ისევე მოდერნს. როგორც აღვნიშნეთ, 1900-იანი წლების დასაწყისში თბილისში მოდერნის სტილში აგებული სახლები საქაოდ მაღალი პროფესიონალიზმის ნიშნებს ატარებენ. სიმონ კლდიაშვილისათვის დამახასიათებელია ყოფილი არშაქუნის სახლის ნაწილის (ამჟამინდელი სამხატვრო აკადემიის კორპუსისა გრიბოედოვის ქუჩაზე) არქიტექტურა — აქ მოდერნული ხასიათის ფორმებთან მეზობლობენ კლასიციზტური ელემენტებიც (სანდრიკები, კარნიზი და სხვ.). ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ სიმონ კლდიაშვილი აპროექტებს საცხოვრებელ სახლებს ილია ჭავჭავაძისათვის (ერთსართულიანი სახლი ორჯონიძის ქუჩაზე) და გიორგი ერისთავისთვის (ორსართულიანი სახლი ავჭალის ქუჩაზე).

და მაინც, სიმონ კლდიაშვილის მიერ განხორციელებულ ნაგებობათაგან უმთავრესია სათავადაზნაურო გიმნაზიის, შემდგომში უნივერსიტეტის, შენობა.

გიმნაზიის მშენებლობის კომისიამ, ნიკო ცხევედაძის თავმჯდომარეობით, 1898 წელს შეიძინა ექვსი დესეტბა მინა ვარაზის ხევის გაღმა, ვაკეში. ნაკვეთი იმდროინდელი თბილისის საზღვრებს გარეთ იმდებარებო-





და, რამაც თბილისის საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. 1899 წელს დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, 1900 წლის 14 ოქტომბერს კი შენობას საზეიმოდ ჩაუყარეს საძირკველი.

უნივერსიტეტის მთავარი შენობა ვაკეში დღესაც გამოირჩევა მის გარემომცველ განაშენიანებაში. ადრე კი იგი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შენობა იყო. გეგმით დე მოცულობათა წყობით იგი სიმეტრიულია. სიმეტრიის ღერძი, ბაღისკენ მიმართული, მთავარ შესასვლელზეა ხაზგასმული. იგი აღნიშნულია სფერული გუმბათითაც. ბაღში გაშავდა კორპუსს თანაბარ მანძილზე განლაგებული სამი ფრთა უერთდება.

გიმნაზიის ოთხი სართული შემდეგნაირად იყო გამოყენებული: ქვედა ცოკოლის სართულში ავტორმა დაგეგმა ვრცელი სასაბილო დარბაზი, სამზარეულო, ბუფეტი, კანცელარია, არქივი, ხელსაქმის კლასები. შუაზედ ფრთაში, გაფართოებულ ნაწილში ტანვარჯიშის დარბაზი განთავსდა. პირველი სართული ძირითადად დაეთმო ადმინისტრაციას, მასწავლებელთა კაბინეტებს, დასასვენებელ დარბაზებს, აუდიტორიებს ცხრა კლასისათვის. ცხრა კლასი განთავსდა მეორე სართულზეც. ამასთან, მეორე სართული, ძირითადად მაინც, საერთო საკრებულო ხასიათს ატარებდა, თუნდაც იმით, რომ აქ იყო სააქტო დარბაზი და ეკლესია, რომელიც საკმაოდ ვრცელი იყო. იგი 800-მდე კაცს იტევდა. ამჟამად ეკლესიის სივრცე იარსებდა არის დანაწევრებული, ადრე იგი ვესტიბიულის თავზე იყო განთავსებული. ახლა კი ზედა ნაწილში სამკითხველოა მოთავსებული. ამავე სართულზე განლაგდა სამეცნიერო კაბინეტები და მუსიკალური კლასი. მესამე სართული მთლიანად დაეთმო 300 ადგილისათვის განკუთვნილ პანსიონატს.

უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის გარე მხატვრული სახე ქართული ინტელიგენციის რამდენიმე თაობისათვის ზედმიწევნით ნაცნობია. ავტორი აქაც გვევლინება თავისი ეპოქის არქიტექტურის „ელჩად“. ამჯერად სიმონ კლდიაშვილმა მართებულად მიმართა იმ დროს გაბატონებულ ხერხებს და დროის ტრადიციებს არ გადაუხვია. კლასიცისტური (რენესანსულ-ბაროკული) მოტივების ხაზგასმული გამოყენება გარკვევით ააშკარავებს შენობის ოფიციალურ და საქმიან ხასიათს. ამავე დროს, იგრძნობა არქიტექტორის მისწრაფება ერთგვარად საზეიმო ხასიათი მიანიჭოს შენობას. :

უნებლიედ გებადება სურვილი გიმნაზიის ეს შენობა დაუპირისპირო იმ დროის სხვა

ამგვარ შენობებს. მეტიც, რომ შეადარო ქართული გიმნაზიის სათავსების რაოდენობა, მათი ფართობი და სხვა მონაცემები თანამედროვე, 800 მოსწავლისთვის გათვალისწინებული სკოლის, „საპროექტო მოცემულობას“ (სადაც არქიტექტურა ზუსტად არის განსაზღვრული მრავალი პარამეტრით და მათ შორის კლასების, კაბინეტების, რეკრეაციის ფართობით და მოცულობით), აშკარად გვეცნობა თვალში აბსოლუტური შეუსაბამობა. ქართული გიმნაზიის შენობა მეტრამეტად „ხალავათა“ იყო დაპროექტებული და აშენებული.


ამასთან დაკავშირებით, სრულიად მართებულია აკადემიკოს ვასტანგ ბერიძის აზრი: როგორც კლასების, ისე დერეფნების ზომა სკოლისთვის გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ მშენებელს ამ მხრივ თავი არ შეუზღუდავს. ამ საქმის მეთაურს ნიკოლოზ ცხვედაძეს — როგორც ეს წერილობითაა დადასტურებული — არაერთხელ უთქვამს, აქ ოდესმე ჩვენ უნივერსიტეტი მოთავსდება<sup>1</sup>.

ამრიგად, ქართული გიმნაზიის დაგეგმარების პრინციპები მომავლისკენ იყო გაშიზნული.

XIX საუკუნის ბოლო პერიოდი აღინიშნება ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის აღმავლობით. ნიშანდობლივია ძვრები თბილისის კულტურულ და მეცნიერულ ცხოვრებაში. არსდება ახალი მეცნიერულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და მათ შორის კავკასიის არქეოლოგიური კომისია, მუსიკალური საზოგადოება, თბილისის მხატვართა საზოგადოება, სამხატვრო სკოლა, ქანდაკებისა და ფერწერის სკოლა, არტისტული საზოგადოება, რამდენიმე გიმნაზია და პროფესიული სასწავლებელი, სამასწავლებლო ინსტიტუტი და მრავალი სხვა. სიმონ კლდიაშვილის შემოქმედების მნიშვნელობა მის მიერ აგებული შენობებით თუ შედგენილი პროექტებით როდე ამოიწერება. იგი მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა, წევრი იყო რამდენიმე საზოგადოებისა (მათ შორის — ქართველ ხელოვანთა და საისტორიო საზოგადოებისა), დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ისტორიული ძეგლების რესტავრაციისადმი. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა აბსტრაქტის ტაძრის, მცხეთის ჯვრის, სვეტიცხოვლის შემკეთებელ კომისიებში.

სიმონ კლდიაშვილი გარდაიცვალა 1920 წლის მაისში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

<sup>1</sup> ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წლები, ტ. II, 81.



# ვიქტორ დოლიძე

მირა ფიჩხაძე

ვიქტორ დოლიძე ქართული მუსიკის ისტორიაში შევიდა მხოლოდ ერთი, მაგრამ უქნობი საოპერო ნაწარმოებით — „ქეთო და კოტე“. ამ ოპერით მთავრდა მან სახელი, აღიარება, ხალხის სიყვარული. კოტა ვინმე თუ იცნობს მის სხვა ქმნილებებს: საფორტეპიანო ფანტაზიას „ივირიადა“, რომანეტს, ოპერებს „ლეილასა“ და „ცისანას“. „ქეთო და კოტემ“ კი პოპულარობა მოიხვეჭა მთელს საქართველოში, ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთაც — მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევისა და სვერდლოვსკში, ტაშინსა და ერევანში, ტაშკენტსა და რიგში... იგი წარმტებით იდგმებოდა ბულვარებში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში...

აქედანაც ჩანს, პირველი ქართული კომიკური ოპერის წარმატება და აღიარება.

მან იმთავითვე მიიჭია ყურადღება, რუსული პრესაც პრემიერისთანავე წერდა: „ვ. დოლიძემ დიდი სამსახური გაუწია მშობლიურ ხელოვნებას: იგი პირველი იუმორისტია, რომელმაც ახალი ფორმები, ახალი გზები გახსნა ეროვნული მუსიკის წინაშე“. ვ. დოლიძემ აღმოაჩინა ახალი გზა, მაგრამ ეს გზა სათავეს წარსულში იღებდა. „ქეთო და კოტეს“ ნიადაგი შეუმზადანს ეროვნულმა მუსიკალურ-თეატრალურმა ტრადიციებმა, კერძოდ კი ქართულმა კომედიამ და კოლედილმა, სადაც დიდი ადგილი ეთმობოდა მუსიკას.

ამ მხრივ მისი უშუალო წინამორბედი გამოჩენილი კომედიოგრაფის ავსტრიელი ცაგარელის „ხანუმა“, გამსჭვალული ცეკვითა და სიმღერით. ამ კომედიას ახასიათებდა შინაგანი მუსიკალობა. თითქმის ყოველ პერსონაჟს გააჩნდა მუსიკალური დახასიათება წარმომდგარი ქალაქური სიმღერებიდან. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვ. დოლიძემ „ხანუმას“ მიმართა. ამასთან ერთად, მთავარი იყო ცაგარელის პიესის მწვევე სატირული სიუჟეტი. რეალისტურად ასახული ყოფა, სახეების პორტრეტული სიმკვეთრე, სიტუაციების მრავალფეროვნება... ამ თვისებების გამო „ხანუმა“ ზუსტად პასუხობდა კომიკური ოპერის სტრუქტურასა და ეანრობრივ თავისებურებებს. ვ. დოლიძემ დანახა ყოველივე ეს. მუსიკალური თეატრის სპეციფიკას იგი იმდენად კარგად გრძობდა, რომ არ დასჭირებია ლიბრეტისტის მიწვევა. მან მაქსიმალურად შეკვეცა სიუჟეტი, ამოავდო რამდენიმე ეპიზოდი, რომელიც კომპოზიტორის აზრით ანელებდა საოპერო მოქმედების დინამიკურობას. ამასთან ერთად, სოციალურ-მამხილებელი იდეა ოსტატურად შეაქსოვა ქეთო და კოტეს პოეტური სიყვარულის ლირიკულ ხაზს, რომელიც საგრძნობლად გააღრმავა და გაამდიდრა. მართლაც, ეს ხაზი დამუშავებულია ტრადიციული ხერხებით, ზოგ შემთხვევაში მუსიკალური ენაც ნაკლებად

ორიგინალურია, მაგრამ მაინც სასოვნანია და შიამბეჭდავი. ვ. დოლიძის ნიჭი უფრო მკაფიოდ სახასიათო პერსონაჟებისა და ქანთულ-ყოფითი საწყისების გადმოცემაში გამოვლინდა. ბუფონურ-კომედიურმა და ლირიკულ-სატრფიალო საწყისებმა შეავსეს ერთმანეთი, რამაც ოპერას შინაგანი სიბოთ, მჭკნუარება და მომხიბვლელი მახეზა. მსმენელი გულიანად იცინის, ინტერესით ადევნებს თვალყურს პერსონაჟებსა და ინტრიგებს, თანაუგრძობს ახალგაზრდა შეყვარებულთა წყვილს და მასთან ერთად ზეიმობს სიკეთისა და ბედნიერების გამარჯვებას.

თავის ოპერას ვ. დოლიძემ შემთხვევით არ დაარქვა ორი მთავარი ლირიკული გმირის ქეთო და კოტეს სახელი. ცაგარელის პიესისაგან განსხვავებით სონა ქეთოდ იქცა, მიკიჩ ტყუილკატრანაი — მაკარ ტყუილკატრანა-შვილად, მაკარანალებს ხანდამ და ქაბატუას დაარქვა ბარბაღ და ბაბუსი, თავად ვანს — ლევანი, მის და თეკლეს — მარო, ხოლო აკოფის ნაკვალავი ჩანდნენ მხიარული სიკო და საქო, რომელთა გაუღებების სიტყვები იოსებ გრიშაშვილმა შეთხზა. ვ. დოლიძე მის ხშირად ხედებოდა ოპერის წერის პროცესში. მისი ყოველი შეხვედრა გრიშაშვილთან — ძველი თბილისის, მისი ლიტერატურული ბოპქმის საუკეთესო მცოდნესთან ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. გ. რა და სიკოსა და საქოს კუბილებსა, გრიშაშვილს კუბუნის ლექსი რომანსისა „რა კარგი ხარ, რა კარგი“.

ისევე როგორც ცაგარელის „ხანუმა“ თავისი დროის ეროვნული კლასიკის დამატურების მწვერვალი იყო, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ ქართული მუსიკალურ-კომედიური ჟანრის კლასიკური ნიმუში გახდა. ამ ორ ნაწარმოებს ამორებს ერთმანეთისაგან სამი ათეული წელი. ორივე შეიქმნა როგორც კანონზომიერი შედეგი ქართული მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების ხანგრძლივი და საინტრიგო განვითარების პროცესისა. კომედიებისა და ვოდევილებისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეები და სიტუაციები გადმოვიდა დოლიძის ოპერაში და ახალი თვისებები შეიძინა. აშკარაა ისიც, რომ აქ კომპოზიტორმა გამოიყენა კლასიკური ოპერეტების ელემენტებიც, რასაც მთელ რიგ ეპიზოდებში ვხვდებით. ერთი სიტყვით, აქ ერთმანეთს შეერწყა, ერთის მხრივ, ტიპური თვისებები ქართული კომედიისა მუსიკით, გადმოქართულებული ვოდევილისა სიმღერით, და მეორე მხრივ, საოპერეტო ტრადიციები.

ვერც ერთმა ქართველმა კომპოზიტორმა ვერ განახორციელა ეს სინთეზი ასეთ მხატ-

ვრულ დონეზე ასე ნიჭიერად, როგორც ვიქტორ დოლიძემ. ლირიკულ-კომიკური ოპერის „ქეთო და კოტე“ შეიცავს ეროვნული ოპერეტის იმ ნოშანდობლივ თვისებებს, რომლებმაც წინადაგი შეუღზადეს ქართული მუსიკალური ხელოვნების ამ ახალი ჟანრის დაბადებას.

სიყრმის წლები ვიქტორ დოლიძემ თბილისში გაატარა. მან ათევისა და შეისისხსოვრცა ძველი ქალაქის თვითმყოფადი კულტურა, მისი წარმფორიანი პოეტური და მუსიკალური ფოლოკორი. მართალია, ეს უკვე ცაგარელის ეპოქის თბილისი აღარ იყო, ყოვლისშემძლე ხანდამს დრომაც გაიარა, მაგრამ ქალაქი ბევრი რამ შემორჩა ძველებური, მასში ჯერ კიდევ წარსულის სული სუფევდა. ქალაქი შენდებოდა და იზრდებოდა, მაგრამ თბილისი წარმფრდენელი იყო ძველი, იწორი ქუჩების, პაერში გადმოვიღებული კოწიწა ხის აივნების, მხიარული, სიკოცხლთი სავსე სიმღერების გარეშე. ძნელი წარმოსადგენი იყო თბილისი ლამაზი ბაღების, ხმაურიანი ბაზრის, საყოველთაოდ ცნობილი გოგრიდინი აბანოების, განუმეორებელი ლიტერატურული ბოპქმისა და სახალხო პოეტების ხაზირის, გივიშვილის, სკანდაროების, იეთიმ გურჯის, ბეჩარას გარეშე. ძველ თბილისში ერთდროულად ისმინდა ქართული სიმღერა და აზერბაიჯანელ აშულთა მულაშები, აღმოსავლური ბაიათები და ოტალიური საოპერო არიები, რუსული რომანსები და სომხური მელიოდები. ახალგაზრდა ვიქტორ დოლიძეს ამ პანეგით შეხვდა თბილისი — მხიარული, კეთილი, მრავალსახოვანი. მომავალ კომპოზიტორს ძალიან უყვარდა ძველი ქალაქის ქუჩებში ხეტობა, სადაც მას დახედნენ ყარაიოლელები, კინტოები, თავისი კოლორიტული, იუმორით სავსე სიმღერებით, გაბღენილი ვაჭრები, გაკორტებული ქართველი თავდაზნაურები, რუსი ჩინოვნიკები და ის მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც მოუთმენლად ელოდა ახალი დროის მოსვლას. ვ. დოლიძე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა თავისი მომავალი ოპერის პერსონაჟებს. მრავალი წლის შემდეგ ისინი კვლავ გაცოცხლდნენ მის მესხერებაში: „სულ მალე ძველი თბილისი დაიწყებს მისეცებას ვანა დასანანი არ იქნება, რომ იგი მუსიკალურ ნაწარმოებში არ აისახოს“. — სინანულით ამბობდა იგი კივიდიან დაბრუნების შემდეგ, სადაც მან ერთდროულად კომერციული ინსტიტუტი და მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა.

„ქეთო და კოტე“ ძალიან მოკლე დრამა შეიქმნა. კომპოზიტორი მას დიდი ბატყებ-



თა და სიყვარული წერდა. პრემიერა შედგა 1919 წლის 11 დეკემბერს. წარმებება არანახული იყო. მეორე დღეს ოპერის მელოდებს მთელს ქალაქში მღეროდნენ. მახსენდება ამ სპექტაკლის რეჟისორის ალექსანდრე წუწუნავას ნამუბობი: „პრემიერის საღამოს, პირველი მოქმედების დამთავრებისთანავე, დარბაზში მყოფი უამრავი მამკენელი საღაროს მოაწყდა, რათა მომავალი სპექტაკლისათვის ბალეტები შეემჩინათ“.

„ქეთო და კოტე“ მუსიკა ქალაქური ფოლკლორის საფუძველზე აღმოცენდა. ამ თვის თამოყვანა, მუსიკალურმა კულტურამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართულ პროფესიულ მუსიკაზე.

შეყვარებულთა წყვილი ქეთო და კოტე — ანეითარებს ოპერის ლირიკულ ხაზს. მათი მუსიკალური დახასიათებისათვის კომპოზიტორი მიმართავს ტრადიციულ საოპერო ფორმებს—არიებს, არიოზოებს, დუეტებს. ინტონაციური წყარო სთავებს იღებს, ერთის მხრივ, იტალიური საოპერო მუსიკას მელიოდური სტილიდან, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართული რომანსისა და ლირიკული სიმღერიდან. ამ ორ ლირიკულ პერსონაჟთა შორის ქეთო ბევრად უფრო გამოკვეთილი და ქმედითი. მისთვის დახასიათებულია ლირიზმი და რომანტიკულობა, სითამამე და სიკეკულუცე, სინაზე და სიკუცხე, სათავეს რომ იღებს ქართული კლასიკური კომედიებისა და გადმოქართულებული ეოდევილების ქალთა სახეებიდან.

ქეთოს დახასიათების ცენტრალური მომენტია მეორე მოქმედების არია „ერთი საღამოს“. ეს არის ადვილ გაშლილი სცენა რამე-ღამე მთავარი გმირი, გამომგვემს რა თავის რომანტიკულ განწყობილებებს, იმყოფება კომედიურ-ბუფონური პერსონაჟების გარემოცვაში. სიტუაციათა ობობი და სიმწევე კიდევ უფრო აღრმავებენ ქეთოს სახის რეალიზმს.

ეს სცენა იწყება სიკოსა და საქოს სახარტი, ცოცხალი გულბრწყვილი დიალოგით, რომელიც მნიშვნელოვან დრამატურგიულ როლს ასრულებს. — ერთის მხრივ, აგრძელებს მხარულ კონტრების დახასიათებას (მათი ცნობილი კუბლეტების შემდეგ), ხოლო, მეორეს მხრივ, აწვადებს ოპერის ამ ერთ-ერთ ცენტრალურ ეპიზოდს, სადაც იკვრება სცენური ინტრიგის პირველი კვანძი. ქეთოს ჭირვეული, თამამი რუბლიკები ეწინააღმდეგება სიკოსა და საქოს დახვეწულ წამობისილებს. დაბნეულობას კი სცელოს გაცემა გამოხატული ფართო მელიოდური სვლებით. ეს რეჩიტატიული სცენა ქეთოს ლამაზ არიაში გადაიზრდება. ნათელ, ზეაწეულ საორკესტრო შესავალს მსმენელი შეჰყავს შეყვარებულთა

წყვილის რომანტიკულ სამყაროში — მაკარის სახლში თითქოს კაშვავა მზემ შემოანათათ. ქეთო იწყებს თავის ნამუბობს.

მოქმედ პირთა დახასიათებისას ცაგარელი „ხანუმაში“ მიუთითებდა: „სონა ევროპულად არის ჩაცმული, კარგად აღზრდილია“, ე. დოლიძე აღნიშნავს ამ დახასიათებას და ანიჭებს თავის პერსონაჟს ინტელიგენტური განათლებული, ემანსიპირებული ქალიშვილის თვისებებს. ამ თვისებების გამოხატველი მუსიკა ხან ნაზი, თბილი, კანტინულია (პირველი მონაკვეთი), ხან ეყრდნობა მკვეთრ მოტივს, ენერგიულ ინტონაციებს, რომელსაც ახლავს მღელვარე საორკესტრო აკომპანემენტი. თუ პირველი ეპიზოდის მუსიკა თავისი ხასიათით უსალოგებოდა იტალიურ არიოზულ სტილს, შემდგომ ეპიზოდებში აშკარა ინტონაციური კავშირი ქართულ ქალაქურ რომანსთან და ლირიკულ სიმღერასთან. ამ არიაში ლირიკული სათინება გამოხატულია ფაქიზი მელიოდით, რომელიც მოწოდებულია გარეგნული ეფექტებისა და შესამაზების გარეშე. თემატური მასალა სადაა. პირმინიული. ენა—ნათელი. ამ არიიდან გამოსკვივის გრანობათა სიწმინდე და უმანკოება.

ქეთო მხოლოდ ლირიკული პერსონაჟი როლია, მისთვის არც ეანრუფოფითი თვისებებია უცხო. კომპოზიტორს შემთხვევით როდი შემოჰყავს ამ სცენაში მკვეთრი კომედიური პერსონაჟები—სიკო, საქო, ბარბაღე, რომლებიც ამწყავებენ სიტუაციას. ამ ანტუაჟეით ე. დოლიძე გროტესკულ ელფერს აძლევს ოპერის ამ საკვანძო მომენტს. ქეთოს ეოკალური პარტიის ვირტუოზული ფიორიტურები, ეფექტური მელიზმატიკა კი იგი თხება, როგორც სატრია იმ დროის მოდურ იტალიურ სიმღერაზე. რომელიც გავრცელებული იყო მაღალ საზოგადოებაში. მაკარიც მოდეს რომ არ ჩამორჩეს, ევროპულ ყაიღაზე ზრდის თავის ქალიშვილს.

ოპერის კომედიური საწყისის გამოხატველი არიან ორი კნტო და ორი მუკავალი, რომელთა მუსიკალური დახასიათება გამსკვალულია თბილისური მუსიკალური ფოლკლორის თავისებური ეოლოკვებით. უკლებრია ის ძირითადი ფორმა, რომლითაც კომპოზიტორი სარგებლობს ამ პერსონაჟთა პორტრეტების შექმნისას. ქართული ყოფითი კომედის ეს აუცილებელი ატრიბუტი კუბლეთი „ქეთო და კოტეში“ განსაკუთრებულ სახიერებასა და რელიეფურობას იძენს. ისევე, როგორც ცაგარელის კომედიის, ე. დოლიძის ოპერაშიც მოქმედების დამოძრავებელი ლერქს ქმნის გამჭირაბი და მოზრტებული ბარბაღე (ხანუმა). და თუ ბაბუსის მუსიკალური დახასიათებისას ე. დოლიძე განზრახ იზრულება კუბლეტური ფორმით და იყენებს



ერთხელ ნაპოვნ თემატკურ მასალა, ბარბარის დახასიათება ბევრად უფრო მრავალმხრივია და მდიდარი. ბარბალე დღას მნიშვნელოვანი საკვანძო ანსამბლური სცენების ცენტრში, მისი მუსიკა ჭმედითაა და მოუსვენარი. თავბრუსმომხვევი ტემპი, მკვეთრი რიტმი, მოჭნილი მელიოდური მონახაზი, სხარტი რეპლიკები ხაზს უსვამენ გმირის ხასიათს.

ვ. დოლიძემ მკვეთრი მუსიკალური განსხვავლება მისცა ციკარლის კომედიის ერთ-ერთ ძირითად მოკვანძო — ორი ფენის ეპოტრებელი თვადანაწარობისა და გამდიდრებული ვაქრების დაპირებების. თვადი ლევანი და ვაქარი მკვარი ანზოვადენე თვანი-თი სოციალური წრის ტიპურ თვისებებს. სცენაზე ჯერ არც კი ჩანს ლევანი, პატარა საორკესტრო შესავალი კი, რომელიც წინ უძღვის მის ცნობილ სიმღერას „ღვინო, ბანჭო და ქალები“ უკვე ხატავს მის პორტრეტს. ვაისმის ფართო, დარღმინდული ხასიათის მხიარული მელიოღია, რომელიც იმდენად ზუსტად ძერწავს მის სახეს, რომ უტყქსტითაყ ნათლად შეიძინდება მისი უფარდელი ხასიათი. ასევე მკვეთრად არის წარმოდგენილი ლევანის საწინააღმდეგო სახე — ვაქარი მკვარი, რომლის არიით „ფულები არის ჩვენი გამხარებელი“ იწყება მეორე მოქმედება. მათვე, მცოკარი სეკუნდების რკაღში, შეზღუდულ დიაპაზონში ჩამწყვედული მელიოღია ზღაზუნით მიიწვევს მაღლა. ეს მელიოღია ყოველი ეპილოტის შემდეგ ბანის ერთი და იგივე დაბალ ბგერას ძერუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვარის ფიქრები მხოლოდ ფულების გარშემო ტრიალებს. ორივე პერსონაჟი — ლევანიცა და მკვარიც — ვ. დოლიძის ოპერაში მოვიდნენ ქართული კლასიკური კომედიებიდან. მათი პროტოტიპები მაყურებლის იტყებდა გ. ერისთავისა და ხ. ანტონოვის პიესებში.

მოქმედება „ქეთი და კოტეს“ ცოცხლად, დინამიკურად ვითარდება, კვანძი, ჯერ კიდევ პირველ აქტში რომ იკვრება სულ უფრო იხლართება შემდგომ ეპიზოდებში, სადაც მოქმედება ელვის სისწრაფით მიჰქრის კულმინაციისაკენ, რომელიც მეორე მოქმედებაში მკვიდრდება. მხიარული, თავბრუსმომხვევი საქორწილო მარშის ფონზე ვადამილია ძველი თბილისის მკვიდრთა ჭრელი და მრავალხაზოვანი ვალსერეა. ყოველი, სულ პატარა, ეპიზოდური პერსონაჟისათვისაც კი კომპოზიტორის მონახული აქვს ზედმიწევნით ზუსტი ინტონაცია, ტიპური შტრიხი, რეპლიკა.

„ქეთი და კოტეს“ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მისმა სცენურმა ინტერპრეტაციამ. ოპერა ბრწყინვალედ დანდა აღქვანდრე წუწუნავდა, რომელიც უმაღლეს შეაფასა ვ. დოლიძის ხალასი ნიჭი ჯერ კიდევ მამ-

ინ, როდესაც ახალგაზრდა, სრულიად უცნობი კომპოზიტორი გვიყვანდა დაბრუნდას ცნობილი რეჟისორის თავისი კლავირი ვადასცა.

წუწუნავამ დიდი გემოვნებითა და გამოგონებლობით დანდა პირველი ქართული კომიკური ოპერა. მან გამოავლინა ძველი თბილისის ყოფის საუბეოი ცოდნა. მუსიკა და სცენური მოქმედება ორგანულად შეერწყა ერთმანეთს. ყოველი პერსონაჟი ცხოვრებისეული სინამდვილით იყო წარმოდგენილი. ამ ტიპებმა საოპერო თეატრის სცენაზე შემოიტანეს მამილიბლური პათოსი. ა. წუწუნავას სპექტაკლმა გაუძლო დროის გამოცდას, დღეს იგი კლასიკურ დადგმად არის მიჩნეული. ა. წუწუნავამ „ქეთი და კოტეს“ მკვარი სადადგმო ტრადიციები შექმნა. მით უფრო დასანანი, რომ ეს დადგმა მისამხამ მავალითად არ იქცა საპტოთა კავშირის სხვა თეატრებისათვის. სავალლოა, რომ საქართველის ვარეთ, საპტოთა კავშირის ზოგიერთ თეატრში თვითნებურად მოექცნენ ოპერის შინაარსი, მის მულ იკას, რომელშიც ჩასვეს სხვა კომპოზიტორთა მიერ დაწერილი მუსიკალური ნომრები, რამაც დაამახინჯა ოპერის სიუვეტური ფაბულა, დაარღვია მუსიკალური დრამატურგიის ლოგია.

ალბათ, დანდა დრო უფრო თამამად გამოცხატოთ ჩვენი დამოკიდებულმა ასეთი მიუტევებელი თვითნებობის წინააღმდეგ, რათა „ქეთი და კოტეს“ უქნობ პარტიტურას დაუბრუნდეს მისი პირველქმნილი სახე და ხასიათი. დადგა იმის დროც, რომ უფრო ღრმად და საფუძვლიანად იქნას შესწავლილი ვიქტორ დოლიძის მექვედრეობა. ამ მორიდებულმა, თავდაპირველმა პიროვნებამ დღე უფროსად ნიჭიერმა კომპოზიტორმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ მუსიკას. მან შექმნა პირველი ნიმუში ქართული საფორტეპიანო კონცერტისა, მისმა რომანსებმა, მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის რომანსებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ ვნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ვ. დოლიძის კალამი ეკუთვნის პირველი ქართული ოპერა რეველუციური თემაზე — „ცისანა“. მან დაამუშავა ორასზე მეტი ოსტური სინდერა, რის საფუძველზე ოპერა „ზამირას“ წერა დაიწყო. ასევე ვასაუდებელი დეწლი დასდო აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკასაც, საფუძვლიანად შეისწავლა მისი ნიმუშები და შექმნა სიმფონიური ნაწარმოებები — „აზერბაიჯანი“. როდესაც ვიქტორ დოლიძის მამა ვასო დოლიძემ — უარტესად განათლებულმა, კეთილმა ადამიანმა ვადიმეცა კომპოზიტორის არქივი და როდესაც ამ არქივის მასალებს გულისყურით ვაგვიანო, კიდევ ერთხელ დავრწმუნდები, რომ ვ. დოლიძის შემოქმედება სერიოზული კვლევის საგანი უნდა გახდეს.

# გალაკტიონ ტაბიძის „ეშემპრა“

ჯანსუღ ღვინჯილია

„ეშემპრას“ კითხვისას ისეთი განცდა ჩნდება, თითქოს უზარმაზარ სივრცეზე გრივადი გრივადი ენაცვლებოდეს და ჩვენ ამ კოსმიური მოძრაობის ბედნიერი შემსწერი ვიყოთ, ბედნიერი, რადგან უჩვეულოს, თითქოს არაადამიანურს გვაზიარა ბედმა. შინაგანად აფორიაქებული, მშფოთვარენი ვღვაერთ სივრცის წინაშე და არ გვტოვებს ბედნიერების განცდაში შერეული მწარე მოლოდინი წალუკისა. „ეშემპრა“ ვნებათაღელვა წარდგინდა თუ წალუკის განწყობილებას მართლაც წარმოშობს. ლექსის მასშტაბები უსაზღვროდ ზოგადია, მისი თემა კი კონკრეტული. ერთი შეხედვით აუხსნელიც არის ასეთი შეთავსება. მაგრამ ჭეშმარიტი პოეზიის საიდუმლოება ამაშიც მდგომარეობს, თავდაპირველად ავგადგინოთ ლექსი მთლიანად, რათა მისგან აღძრული ფიქრების რეალურობა უფრო საგრძნობი გახდეს.

ცხენთა წევიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები  
პროდენენ ეფემერული და ფერადი ქარები,  
ივანენ საუკუნენი, მაგრამ მე ვისხენები  
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.  
ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწვრია  
ჩემი გზა და ახალი ლაღის კართავებები.  
ბედი ქროლვის — გარეშე — ჩემთვის არაფერია,  
ჩემთვის უკუდაფერია ისე ლურჯა ცხენები.  
მე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება  
ძახილით: გალაკტიონი და ძნელია მიგნება.  
სადაც ახლა ჭავარია და გვიანი ბეტენები,  
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება.  
რამდენი ქარავანი, მთებზე გადამართული,  
გაიშლება — მცნობელი მღვრი უღმარეობის,  
წყვიტი სისხლის არ არის ჩემში არკართული,  
მაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.

ო, რამდენი დაცრება შურიანი თვალები,  
რომ მარად იმარჯებენ იღუმალი მშვენებით  
ლექსთა შეჯიბრებაზე — მხოლოდ ინტეგრალები,  
ცხენთა შეჯიბრებაზე — ისევ ლურჯა ცხენები  
ამა, შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნე  
ელვა ელვას გაეჭრა დაფლუცა ცას ღვარი,  
გაქრა, როგორც ღუმელი, ცოდავით გადაბუგული,  
უკანასკნელ ძენათა სედვანი საზღვარი.  
კიდები შეშლილი, ღამეებ ველური  
დატვირთონ წამებით, ღამე მთავარს მოეხას.  
სულს სწუხრია საზღვარი ისევ ეფემერული,  
სულს სწუხრია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.  
სოკვი, რას ნიშნავს ზენიტზე მღვარი შორი პალმები?  
წინ იმ უსაზღვროებაში მწუხარებას აიტან.  
ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივხალაშები,  
უკველ მზრივ სივრცე იყო, შველა კი — არსაიდან.  
ო უბრალო ხმებისთვის არასდროს არ შეცვალა,  
დაისტრა მსოფლიო გამოცნობ წულუღებით.  
კოსმებს სიზმართისას ნისლი გადაეცვალა  
და იქ მიქანება სული გაწარღულიებით.  
ნეტაც ჯოჯოხეთისა დარღმა გამყოლოოს,  
სადაც ვარდებს ბაღისა მათისა უქრება,  
მძიმე ქვების ქუსლებით დავერდნობი პოლოუსს,  
როცა ქარი მოსვდება და ცას შეიფურქება.  
როგორც უხვი მემკვიდრე, ვისკრი ხასხე პეშვებით  
ფანტასტიურ მველოლებს და ოცნებს მკათათვის,  
წარსულში, მომავალში წყველით გადავვებები,  
რომ ძველები ავართო მღვრიე მშვენებათათვის.  
თქვენ შეხედეთ: პირველი ჩნდება მერიდიანი,  
ვეებ ისევ დაღუპვას და დავიანი სიბერეს,  
წარსული სწუხდება ფოთლების წყება იმედიათ,  
შემოდგომის ქარებმა გზები გადამიფრეს.  
დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული.  
იყოს მზეთა ორგა და მგავა მთავარისა,  
ვიყო ამ ღრინაცული მარად ხელაღმართული,  
ღანდი — არაქვეყნიურ დარდით ვადამწვარისა.  
დამარჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ენებაში,



ეფემერა მომეცეს, როგორც ღამეს ენებო.  
ცხენთა შეჯიბრებაზე ცხენთა შეჯიბრებაზე  
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენები!

ქართული სულის დამოკიდებულება მეოცე საუკუნის მსოფლიო მოვლენებთან — ეს არის „ეფემერას“ კონკრეტული თემა, ქართული პოეტური აზროვნების მიმართება უდიდეს სივრცესთან, უდიდეს მასშტაბებთან, მისი ადგილი გარემომცველ უსასრულობაში და, რაც ყველაზე მტივიანულია, მისი მიმართულების პოეტური განსაზღვრის ცდა. ყველაფერი ეს კონკრეტულია. პოეზიაში კონკრეტული მეტად არ წვრილმანდება, სხვაგვარი კონკრეტულობა, მაქსიმალური დაზუსტება რომ გულისხმობს, უკვე დაწერილობანებას მოასწავებს და პოეზიის გარეთ დგას, პოეზიის საბურველი აკრავს მხოლოდ და ილუზიას კვებავს. დაწერილობანებულ ხედვას და ასინუსტეს“ ქეშმარიტი პოეზიის კონკრეტულობასთან არაფერი აქვს საერთო.

ამიტომ სხვა გააზრებით უნდა შევხედოთ გალაკტიონის ლექსებში ადგილ-ადგილ საკუთარი „მეს“ შესახებ ლაპარაკს, ჩვენს თვალში გენიოსის ყოვლად გამართლებულ „ეჭვნად“ რომ აღიქმება (აგწუხავ, ერთადერთი ვარ... „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“, „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და...“). როგორი რეალურიც არ უნდა იყოს ამ კატეგორიული განცხადებების ამოსავალი წერტილი, როგორი ბიოგრაფიულიც არ უნდა გვეჩვენებოდეს ის, სულერთია, უკვე შეძენილი აქვს ზოგადი აზრი და მიზიუებული აქვს სულ სხვა ფუნქცია. გალაკტიონი პოეტური ფენომენია და ლაპარაკი ამ პოეტურ ფენომენზე არ ნიშნავს საკუთარ თავზე ლაპარაკს. ეს საკუთარი ისევე გათქვეფილი მასში, როგორც ბარათაშვილის სული „მერანში“, ადამ მიცეკვიჩისა — „ფარისში“, რუმოსი „მთერალ ხომადღში“ და ასე შემდეგ. ყველაფერ ამას გალაკტიონთან „ლურჯა ცხენები“ ცვლის. გალაკტიონის ფენომენია და ლურჯა ცხენები ერთი და იგივე პოეტური სულია, უსასრულობაში შეჭრილი და მარადიულად მოხეტიალე.

„ეფემერა“ პოეტური ენერჯის მიზანმიმართული დემონსტრირებაა. შედევრებს აქვთ ერთი გამორჩეული თვისება: წარმოუდგენელია, რომ ისინი არ დაწერილიყვნენ. ეს არის გარდუვალობის შეგრძნება შედევრის კითხვისას. მას უთვლიდ უნდა გამოერღვია არყფენის გაზის და სრულქმნილი სახით წარმომდგარიყო ჩვენს წინაშე. „ეფემერას“ არსებობა ქართულ პოეზიაში ამ აუცილებლობის შინაარსით არის დამუხტული. ქართული პოე-

ტური გენია, ალბათ, ვერ მოისვენებდა ამ ლექსის სათქმელის გაუცხადებლად.

დაეაკვირდეთ პირველ ორ სტროფს თავდაპირველად ამ თვალსაზრისით. პოეტური გენიას თითქმის ფენებდ აწევს საუკუნეების ტვირთი და გამოცდის წინაშე აყენებს: შეიძლება თუ არა ამ ფენების ამორღვევას, შეიძლება თუ არა ახალი სიტყვის თქმას, მოსდევს თუ არა საჭირო ენერჯია. თუ ენერჯია და სათქმელი იმ პოეტისთვის არ იქნება კოლოსალური ტვირთის მოერიოს, მაშინ ამოწურული ეროვნული პოეტური გენი, მაშინ იგი ღირსია დაიწრიტოს და იმ ფენებს შორის დაიძარხოს. ამ დიდი ტვირთის საოცარი განცდაა ეფემერას პირველ ხუთ სტროფში. გალაკტიონი განსაკუთრებულად დიდ ანგარიშს უწევს მას. მისი ნათელი პოეტური გენია ნიუანსებში გრძნობს დიდი მემკვიდრეობის, დიდი ტვირთის სიმძიმეს. ვაცნობიერებელია ამ ტვირთის არსი, შეგრძნობილია სიმძიმის სიდიადე. ვაცნობიერებლად ტვირთთან შევიდება ბრმა ინტუიციის ილუზიას ძალუქს მხოლოდ. იგი არ განიცდის ტვირთის სიმძიმეს და თამაშად ეცილება სათქმელს, მაგრამ ვერც იმას გრძნობს, რომ ადვილდანი ვერ ძრავს ეროვნულ სიტყვას, რომ ცარიელ წრეებდა ხაზავს თვითქმაცხოვრული და ბედნიერი. საუკუნეების „ინტელექტუალური სიმძიმეს“ კი მხოლოდ ვაცნობიერებელი დამოკიდებულება განსაზღვრავს სრულყოფილად. ამ სიმძიმის ვაცნობიერების შედეგს აქვს აზრი შევიდებასაც. ვაცნობიერების შემდეგ საკუთარ თავში ამ სიმძიმის ასაწვეად საჭირო ენერჯიის აღმოჩენას ეთქმის ეროვნული ბედნიერება. ენერჯიის ახალი ერთეულის აღმოჩენად ცხადდება იგი. გალაკტიონის უკანასკნელ ნიუანსამდე აქვს ვაცნობიერებელი ის დიდი სიმდიდრეს, მსოფლიო და ქართული პოეზიის საღაროდ რომ იწოდება. დიახ, ეს გახლავთ სიმდიდრე, თავისი კოლოსალური სიდიადის წყალობით ტვირთად რომ გარდაისახება ერთ მშვენიერ დღეს. ეს გახლავთ სიმდიდრე-ტვირთი, რომელიც ან ახალ სივრცეებს გადაშლის ეროვნული პოეტური კულტურის თვალწინ, ან დამარხავს უკვდავი ფენის ქვეშ. ამ ვაცნობიერებულ ტვირთთან შევიდება ვაცნობიერებელი „შეჯიბრებაზე“ ლურჯა ცხენების ქროლვას ჰქვია. ეს დიდი შეჯიბრი, ეს დიდი სრბოლა, უსასრულობის სივრცეზე გამართული, გალაკტიონისაგან განიცდება, როგორც ქართული პოეტური სულის შესაძლებლობის დადასტურება. იგი თავის თავში — გალაკტიონის ფენის ფენების ხედვას ამ ენერჯიის დადასტურებას უბრუნებლად ყოვლისა.

„ივენერს საუკუნეინი... წამით პაუზას აკეთებს გალაკტიონი. აქ იგრძნობა სწორედ ღრმად განსჯილი მემკვიდრეობის დამამუხტებელი სიდიდე, მაგრამ იგრძ-



ნობა სხვა რამეც, ასე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ჩვენთვის. შინაგანად გამარჯვებული, სინდლებების შიშისაგან განთავისუფლებული პოეტური ფენომენის ნათქვამი ორი სიტყვაა — იყენე საუკუნენი. უკვე გაღალატული ამ ფენომენში დიდი ტირითის სიმძიმეც, უკვე დაქერილია გამოცდა, უკვე გასულია ომის. პოეტურ ენერჯის უკვე ამოურღვევია ყველა ფენა და დაუფლებია სივრცეს.

**იყენე საუკუნენი, მაგრამ შე ვისხენები  
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.**

ყველაფერი თითქოს თავიდან იწყება, როცა დიდი სიახლე ჩნდება! როცა ახალი პოეტური ქვეყანა ამოღლის გალაკტიკაზე. თითქოს ერთგულ პოეტური გენია ახლა იწყებდეს თავის მარადიულ ქროლვას, თითქოს აქამდე არაფერი არ ყოფილიყო. განთავისუფლებული პოეტური ენერჯის განწყობილება აქ გამოხატულია, ამბავის და თავმოყვრის. მან სულის ზემო სულიერი მდგომარეობად დაიმტკიცა. ეს არის გენიოსის განცდა, როდესაც იგი თავის სივრცეს, სხვათათვის მიუწვდომელს და სხვათაგან დაუღაშქრავს მოიპოვებს. ის სიბრტე ერთგულ პოეტური კულტურის ახალ სივრცედაც გვევლინება ამავე დროს.

ენერჯია, პირველ ყოვლისა, სინდლით იქცევა ყურადღებას, ასევე განიცდება იგი — „მაგრამ შე ვისხენები გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით“. შენარჩუნებულია დასაწყისის სურნელი და მოუღლელი მუხტი, შეურყენელი რიტმი. მკრეხელობა იქნება სხვა რამის წაკითხვა ამ სტრუქტურებში, მისი დაწვრილმანება — იმგვარად წარმოდგენა, თითქოს გალაკტიკონ ღაბიძე სხვაზე თავის უპირატესობას უმტკიცებდეს მკითხველს. არა — გალაკტიკონის, როგორც ახალი პოეტური ფენომენის, დიდ დასაწყისზე აქ ლაპარაკი, ახალი პოეტური ქვეყნის პირველი წყების ნიაგარებზე მითითებაა.

**წყუხვარა ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწვრია  
ჩემი გზა და ახალი ლლის კართავენება.**

ახალი პოეტური ფენომენისაგან თავისი ერთადერთობის, თავისი „დიდი მარტოსულიობის“ განცდაში უჩვეულო არაფერია. ყველაფერი ბუნებრივია და უშუალო. გალაკტიკონის პოეტური ფენომენი გარსმოჭარული პოეტური სამყაროების რკალს იგვრებს, ღრმად დარწმუნებულ იმავში, რომ მის არსს თავისი წილი ქვეყანა, ახალი სივრცე ეკუთვნის. ეს ზეცის ბეჭდი დღასტურებული სინამდვილეა მისთვის, შეუვალი და ნადი.

დანტეს, გოეთეს, შექსპირის, ბაირონის, შელლის, რემის, ვერლანის, შოთას, ვაეს, აკაის, ილიას, მსოფლიო პოეტური გონისაგან გამოვლილი გზის შესხენება ხშირია გალაკტიკონის ლექსებში.

ისინი თითქოს სალტებად განიცდიან როგ შემთხვევაში და გარღვევას საჭიროებენ. გალაკტიკონის პოეზიაში დგას ამგვარი შეგრძნება. ამიტომაც კატეგორიული მისი განცხადება: „და ზეცაზე სწვრია ჩემი გზა და ახალი ლლის კართავენება“. კატეგორიულია ეს განცხადება, რამდენადაც თავის შესაძლებლობაში ღრმად დარწმუნებული ახალი პოეტური ფენომენი ამბობს. რაც მთავარია, ამ განცხადების აუცილებლობაში გვარწმუ-

ნება პოეტი. რაღაც სახელდაუბრუნებელი გეგმებისადმი ხოცს ამის განცხადებას, რაღაც არ ანებებს უმტკიცეს საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი პოეტური სინდლი და გამოცდილება სერიოზულ დამოკიდებულებას ავალებს. მას მარტოვად ვერ გადალახავ, როგორც ბაირონი, მთავარი იმედ პოეტურ ენერჯის უკვე მონღება: „ბედი — ქროლვის გარეშე — ჩემთვის არაფერია“. გამუდმებულად ხშიანებს „უფემერას“ სტრუქტურებს შორის ეს მოტივი, იყენენ საუკუნენის“ შემდეგ გალაკტიკონის ფენომენის სულიერი მდგომარეობა ასეთად დარჩა: „ბედი — ქროლვის გარეშე — ჩემთვის არაფერია“. პირველყოფილი პოეტური ენერჯის, დაუხარჯველი პოეტური ენერჯის უქმარობა თავის სიტყვებს ამბობს. თითქოს მოულოდნელი უნდა იყოს ამოდენა გზის გამოვლის შემდეგ მსგავსი გრძნობის არსებობა, მაგრამ სამედნიეროდ, იგი არსებობს და მერე როგორ არსებობს! დაცხრომის ნიშნის არც ერთ ტალღაში არ ახელს თვალს, აქოჩრილი ბუნება სივრცეს ითხოვს. უცმარობის ამდაგვარა შეგრძნებამ დაუქვემდებარა გალაკტიკონის სული შეგრძობის, შეკიდების უღთავიერ სურნელს: „ჩემთვის ყველაფერია ისევე ლტოვა ცხენები“, პოეტური ენერჯია არ ჩამოქვეითებულა, მერე როდის, როდესაც უკვე — „იყენე საუკუნენი“ და როგორი საუკუნენი და რამდენი!

გალაკტიკონი თითქოს კამათობს, თითქოს ვიღაცას უმტკიცებს. მასთან არ გვეხდება უშუალო ქროლვით დაწყებული სულიერი ზესლა: „მირბის, მიმადრენს უფრო უშუალო ლემე მერანია“. არა, თავდაპირველად საუეთარი მისიის გაცნობიერებაზე იხარება პოეტის ფიქრი, შეგრძობის სიდიდის გაცნობიერებაზე, აქამდე შექმნილი პოეტური ფენების გარღვევაზე, რითაც „იყენენ საუკუნენის“ შინაარსმა „ღღვარა“ ქართული პოეტური სული. გალაკტიკონის სულისკვეთება ამ ფენებიდან, ამ გარსებოდან — ვაცელის და მარადიული ქროლვის დიდი წყურვილის დამტკიცებას ლამობს თითქოს. მაგრამ იგი, შინაგანად უძლიერესი პოეტური ფენომენი, არავის და არაფერს არ ძალუმს შეაყენოს.

**მე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება  
ძახილით: გალაკტიკონი და ძნელია მიგნება,  
სადაც ახლა ვჭარია და ვგინა მტყენები,  
იქ უყვადვი მაგის მარმარილოც იქნება.**

მისი შთაგონება, მისი ძალა სივრცეებს უნდა დაეფულოს და იმდენად დღეს, მიგნება ურღეს. ჯვარცმული პოეტური სული, დაგვიანებულ მტყენებს რომ უწვდის თავისი დრო, მარად უზერებელი პოეტური მაგის წყალობით ისაკუთრებს მარმარილოს დიდებას. ეს საერთო განცდაა მეოცე საუკუნის დიდი შევილებსა: — ზარი იმის შესახებ, რომ თითქოს ყველაფერი ითქვა ამ საუკუნემდე. ბაღდეს მათში ღრმა პროტესტს. პროტესტი კი შესაძლებლობების წყალუხვი მდინარე კვებას. ბლოკოს, ელიოტის, თომას მანის, ფრანკ კაფკას, ჰერმან ჰესეს, მარკესის შემოქმედებამ ამ განცდით არის დაუმტბული. მარტო ქართული პოეტური კულტურის ლოკალური განცდა არ არის იგი. „გადაბრუნებულ სერთუკის“ ცნებაც აქნად განჩნდა და იქ, სადაც არსებობს დი-





დი შემოქმედებითი ენერგია, გალაკტიონისეული შემართება, ეს განცდა მუდამ ნაცნობი და მახლობელი იქნება და აქვე, მომდევნო სტრუქტურის იმის ის სიტყვა — გალაკტიონი რომელიც სივრცეთა ქარავნებს არის თითქმის გადარებული, ის სიტყვა, რაც გალაკტიონ ტაბიშში, ამ კონკრეტული სახელისა და გვარის ჩაჩრებში არ თავსდება. მისი ფუნქცია უსაზღვროდ არის გაზრდილი და იგი უპირველეს ყოვლისა, ახალი პოეტური ფენომენის (თანაც ახალი ქართული პოეტური ფენომენის) დამოკიდებულებას გულსიმბოზს მსოფლიოს პოეტურ კულტურასთან. საკუთარი ადგილის განსაზღვრასა და დადგინებას გულისხმობს.

გალაკტიონი დიდი პოეტური სიმდიდრე-ტვირთის განცდასთან ერთად, მის დაძლევა და გადალახვასთან ერთად, იმის აუცილებლობასაც ხედავს, რომ დამოუკიდებლობის, სრული თავისთავადობის დამკვიდრება საჭირო. ამას გვიჩვენებს მისი პოეზიის ნიუანსები. მსოფლიო ლიტერატურის ოქენებში ერთმანეთს ეხებიან, ერთმანეთში იჭებიან და წაჩირობა საფრთხე თავისთავადობის დაკარგვისა. იგი შემთხვევით როდღაც ახსენებს ლექსებში საყვარელ პოეტებს, მათ შორის ქართველ პოეტებსაც. შემთხვევითი როდღაც ლექსებში დიდი პოეტების ფრაზები და სხვები და ისინი იმგვარად შეინიშნებიან გალაკტიონის სტრუქტურებს, რომ ვეღარც კი დაეგვირებათ, თუ ოდესმე სხვას ეკუთვნოდა. გასათვალისწინებელია პოეტური კულტურების, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების, ურთიერთშეხვედრის წერილები, მერიდიანები, სადაც ყველანი ისინი, თავად არიან და სხვაც ერთსა და იმავე დროს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა დიდი პოეტისათვის მსოფლიო პოეზია უკვე მასალა ახალი ქვეყნის შესაქმნელად, რომ ამის ურვე შეიძლება ახალი სივრცის გადმოღობა არაკაცს არ უხერხდება. ამიტომ, რამდენი ქარავანიც არ უნდა „გადამიპაროს“ მთებზე შიშვით უდაბნოეთის შესაენობად, მაინც:

**წვეთი სისხლის არ არის ჩემში აჩაქართული,  
ძიღე ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.**

გალაკტიონი არის დიდი ქართული პოეტური გონის სრულყოფილი გამონათება მეოცე საუკუნეში. ამ პოეტურ გონის რუსთაველის, ვერამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აყაის, ვაჟას მაგისტრალურ გზაზე გამოსულს, მსოფლიოს სულიერ ცხოვრებასთან სრული შეხვედრით უნდა გაეცხადებინა თავისი ქართულობა. ამ შემთხვევაში მთავარია მსოფლიოს სულიერ ცხოვრებასთან სრული ზიარობის მომენტი, საგულისხმო და მთავარი ამ შეხვედრის გარეშე ქართულ პოეტურ აზროვნებას ახალი გზისა და ახალი სივრცის აღმოჩენა აღარ შეუძლია. მაშინ იგი ნივთარბი მომწყველულებით უსივრცოდ დარჩებოდა. უნდა ზიარებოდა და გაეძლო გამოცდისათვის; სხვა არჩევანი არ არსებობდა და ყოველივე ამის მერე: — „წვეთი სისხლის არ არის ჩემში აჩაქართული“. ამ სიტყვების შინაარსი მსკვალავს გალაკტიონის არსებას. სრული სიწმინდე სისხლისა და ოცნებების, ამოღენა დროის შემდეგ, ამოღენა ზიარების შემდეგ; თავისთავადობის ვებზრებს არაფერი დაკლებია. გალაკტიონი თავისი ეროვნული ანატომიით წარსდება სიმძლევების წინაშე და ქართული პოეზია იმ სი-

მალღებებს აზიარა. უფრო დიდი მწვერვალი აღარაა, სავარაუდებელი. კვლავ პოეტურ ენაზე შედგება კულტურის შეხვედრა დიდ სიმძლევზე მსოფლიოს სულიერ ცხოვრებასთან.

გალაკტიონი ცხადად გრძობდა თავის პოეტურ ძალ-მისილესს, იგი რწმუნდება თავის უნიკალურ შესაძლებლობებში და განთავისუფლებული დიდი ტვირთისაგან, დაჩრე სწევს თავის სიმდიდრეს. პირამდე აღსაქვე ენერგიით გამოდის ასპარეზზე და წინასწარ ჰერტს მოსალოდნელ გამარჯვებასაც.

**ო, რამდენი დატყბა შურიანი თვლები,  
რომ მარად იმარჯვენდ იღვამლი მწვენილი  
ღვსთა შეიბრებაზე — მხოლოდ ინტერალები  
ცხნთა შეიბრებაზე — ისევ ღურცა ცხენები!**

ამის შემდეგ იწყება დიდი სივრცის შეგრძნება, სოფლის ამაოების შინაარსის წყაიხება, საკუთარი პოეტური მისის გააზრებაც და კოსმიურ მინარებაში ადამიანის ფიქრისა და არსებობის მემორტული ბუნების სიღრმის დახანება.

გალაკტიონი ვეზიარება ადამიანური ფიქრის შესაძლებლობების მაქსიმუმს, პოეტურ ენაზე შეგახვედრებს საიდუმლოებებით მოცულ ზეციურ ქვეყნიერებას, რაც განუხაზღვრელ გავლენას ახდენს მოწერიი ყოფის მთელ შინაარსზე.

გალაკტიონი ჩვენს ფიქრს აყენებს უდიდეს განზომილებათა წინაშე, სულითა და ხორციით ვეგამდლებს იმ განზომილებათა შეცნობისს, რითაც მეოცე საუკუნის ადამიანის ფილოსოფიური აზრი არის დაყვობილი. აქედან იწყება ქართული პოეტური სიტუების ამაღლება მეოცე საუკუნეში და მოწინავე პოეტურა პოზიციის ფლობაც. აქედანვე იწყება ეროვნული კულტურის დგობა მაღალ გადსახლზე, რაც თავისთავად მოსაწვეებს პროფინციულ ორბში ეკდომისაგან დახსნას.

**გაქრა, როგორც ღუმელი ცოდვით ვადაზღუფლო,  
უქანასკნელ ძებნათა სვედიანი საზღვარი.**

ორ სტრუქტურში ადამიანის გონის მტანჯველი სედა იწერება მთლიანად, იწერება ჩვენი დროის სატყვიარი, ვარსიოჯარული საშოში მოვლენებით რომ არის ნასაზღვარი. ადამის მოდგმა, უქანასკნელი ძებნის ზღვარზე რომ შემქრწუნებულა, თითქოს სასოწარკვეთილი უნდა დაეშუს დაბლა. უქანასკნელ ძებნათა სვედიანი საზღვრის ხედვა უნიკალური პოეტური თვისებებით აღბეჭდული საზე, მაგრამ ამ სახის არსი გამოთოებით თავისი შინაარსით, მასში ჩადებული ჰემარიტებით. დასასრულის ფილოსოფია ლიტერატურული სკოლის ლოზუნგი როდღაც. იგი ადამის ძის მტანჯველი ფიქრისა და ადამიანი ამ კომპარის ებრძვის მთელი საუკუნის მანძილზე. მოჩვენებითობა დასასრულის შვის ენერგისათვის ამოანათებს ფიქრში და სივრცეებს ვაყიდებული მზერა უქან მოტოეებს „უქანასკნელ ძებნათა სვედიანი საზღვარს“, საზღვარს, სადაც ჩაიწურა წინამორბედა შესაძლებლობები, სადაც დავიც მათი ენერგის უქანასკნელი ტალღა. ზღვარი თითქოს ვაცოცხლდა, გაიშალა და თავისკენ განხმო პოეტის სული. ამ ზღვარს იქით კი იმდენი ახალი სი-





ერცე, იმდენი გაუთელავი ასპარეზი დაჩნდა, რომ მარადიულ ქროლოვით ენებამ დასვენება თხოვა:

**სულს წყურია ხაზღვარი, ისევ ეფერაული,  
ხელს წყურია ხაზღვარი, როგორც უსაზღვრობას.**

ეს, გამარჯვებული მარადიულობის შინაარსი ბაღებს ახალ სულსიკეთებას, ახალ ენერჯიას, გალაკტიონის ფენომენს, რათა „**კიდელო შემოილი, დამეგობი ვიღვარი დაიტვირთოს წამებით, დამე მოვარცხ მოებას**“.

ქარაგნის ფიქრით თითქოს კომიურ წიაღში ამოზიდალულ პოეტურ მწვერვალებს ეყრდნობა და მათგანვე ძალმოცემული ახალი სიფრცელების დალაშქვრას ესწრაფვის. მისწრაფების დაუღვრამელი სული პირველყოფილი ენების სახით ცოცხლობს: „**წინი იმ უსაზღვრებაში მწუხარებას აიტან**“. დაყენებით იღვრის მისი ფიქრი უსაზღვრობისაკენ, რაც ფიქრს ათავისუფლებს ქვეყნიური ურთივანს, განტვირთავს ყოველგვარი სისუსტიასაგან და ღვთაებრივი სიძლიერის განცდას სძენს.

**ჩემებ დიდ საიდუმლოს მე აქ მივხალამბე,  
ყოველ მხრივ ხივრცე ივოს — შელა კი არაიხად.**

დააკვირდით ენერჯიის შინაგანად დანახულ მოთხოვნას. აბსტრაქტულმა ხილვებმა ბევრი შემოქმედის ენერჯია დაფანტა ნაწარმოებში. „ეფემერაში“ მუდამ იგულისხმება ამგვარი დავანტულობის საფრთხე. კონკრეტული საგნები აქ ნაკლებ ჩნდება, მჭრობილი ფიქრის მდგომარეობა და სულიერი განწყობილება მკვიდრობს. მათი კონტრუბების განსაზღვრას ალბათ არ უნდა ვეცადოთ. მაგრამ „ეფემერა“ გვაწვდის პოეტური ენერჯიის მიმართულებას, როგორც დიდ და კონკრეტულ საგანს, როგორც ახალ გალაკტიონს თავის თავში გრძნობს და სიტყვების იდეურ შინაარსს და უფრო კარნახს, ამით იგი ვეიდასატურება ახალი პოეტური ფენომენის არსებობას და გვაესებს ძალმოსილების შეგრძნებით.

შემდეგ პოეტური მისია თავის მარადიულ დანიშნულებას განგვეცდებინებს. ადამიანის ტანჯვის ტვირთება ამ სულიერი ქროლოვის შინაარსში იგულისხმებოდა მუდამ, ვერც ერთი ტემპორალად დიდი პოეტი მისგან თავს ვერ დაიხსნა.

**დაიხრა მსოფლიო გამოცნობ წყლულებით.**

დრო ყველაზე მძაფრად ამ სტრიქონშია განცდილი. და კიდევ ერთი ასეთი სტრიქონი აქვს გალაკტიონის სხვა ლექსში: „**ჩუმად, მსოფლიო, ჩუმად!**“ თითქოს მამალმერთმა დააშოშმინა დასალუპავად აფორიაქებული ცისქვეშეთი, დაღუპვის საშიშრობითვე ამბიურბუტული, თავისივე დაღუპვის მომამწიფებელი, შემამზადებელი, გატაცა წონასწორობის ღერძი — „**ჩუმად, მსოფლიო, ჩუმად!**“ ავიაციით, რაკეტებით, მსოფლიო ომებით, განადგურების რისკით დანადგურული ქვეყნის შიში თახთახებს სტრიქონში. უზუნაესის დამამწიფებელი სიტყვები გაისმის — „**ჩუმად, მსოფლიო, ჩუმად!**“

შეოცე საუფუნის კარიბჭესთან ურბომა და ეტლით მოსული ცივილიზაცია ავტომატით, თვითმფრინავებით, რაკეტებით გაგანდა და ნახევარ საუფუნეში დაფარა მილონი წლის უბეში დაგროვილი სისწრაფე. შემფთოვება გაჩნდა, როგორც არსებობის ახალი ერთეული. წინასწარმეტყველებისა და მეცნიერთა საკნობ მან ქვეყნიერების ნერვიულ ბაღებზე გადაინაცვლა და მსოფლიო კატასტრო-

ფის შიშით დატვირთა ყველა. ომებისა და ექსპლუატაციის მისწრაფები გაცდა ნორმალურ საზღვრებს და საყოველთაო სასიომები მოიგრო. ადამიანს ფსიქოლოგიის მკვებრი ცხოვრობა მოეცა ყველაფერ ამას. მსოფლიო მართლაც დაავადდა „გამოუცნობ წყლულებით“. ილუზიების, იმელანობის ფენები სინაფილის მკაცრა შემოხედვამ დაფანტა. ამ დროს მართებს პოეტის სულს ღირსეული დგომა. ამ ატმოსფეროს გარემოცვაში მოელოლება მისაგან ხალხის შემფთოვებული სული იმედის წყაროს აღმოჩენას. თანაც ეს იმედის წყარო ისევე „**გამოუცნობ წყლულებით დასერილ მსოფლიოში**“ უნდა იქნას მიველული და აქ ჩნდება გალაკტიონის პოეტური ენერჯიის უდიდესი ძალმოსილება. ივია ღირსეული დგომის ეტალონი, რაც, უპირატევს ყოვლას, ეროვნული პოეტური ენერჯიის თვალთახედვის დადასტურება და ამავე დროს ადამიანური ღირსების სრულყოფილი გამოწონება.

**მძიმე ქვებს ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს,  
როცა ქარი მოსკდება და ეს მუხუჭებია.**

თავდაპირველად კოსმითური მასშტაბის შესტაციის ქანდაკების ხატი ჩნდება — „**მძიმე ქვებს ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს**“. ადამიანის ძალმოსილების, თანაც მარადიული ძალმოსილება ქანდაკება აღიმართება თითქოს. შემდეგ ჩნდება სიმძიმის განცდა, რაც წონასწორობას უნარჩუნებს ადამიანის არსებობას — „**მძიმე ქვებს ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს**“. თითქოს ცის მკერდს იმისგანდა ქარიც ვერ შეიძლება ძეზა უყოს მძიმე ქვების ქუსლებით ამართული ადამიანურ არსებობას. პოლიუსზე დაყრდნობაში მთელი სამყაროს ჭკვირის შესაძლებლობა ნავლისხმევი. ამ პოლიუსზე დადამიანის სამარადისოდ დამკვიდრების წამი გვაუწყვა გალაკტიონმა, დაღუბნე წამთან ნაზიარები გრძნობის მდინარეს მისცა დასაბამი. ყოველი მხრიდან ჩანს მრუხი ფერის ქანდაკება — მძიმე ქვების ქუსლებით პოლიუსს დაყრდნობილი ადამიანის გიგანტური ფიგურა. საუკუნეთა სიღრმიდან ამოზრდილი ქართული ენერჯიის თვლის ახლას ექსპრებით. ჩვენს დროში ამ ახალი ფორმით მოგვეცლინა იგი. დაუმტყარალი ენებით, დაუთარუნდა ვი გენით, უმჭარბობის გრძნობით, სივრცესთან შეხვედრის სურვილით, მძიმე ქვების ქუსლებით პოლიუსზე დავეყრდნო სულიერი წონასწორობით, რასაც ვერაფერი ვერ შეიარყებს. რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, ავაკის, ვაჟას პოეტური მდინარეებით ნასაზღვრები იგი ახალ სიმაღლეს აღმოუჩენს ეროვნულ პოეტურ გეგმას. მისი ძალმოსილებით თანხვედრა საერთო ადამიანურ ძალმოსილებას, თავის თავში იქცევის ეროვნულს, კაცობრიულს, კოსმიურს. „**მძიმე ქვებს ქუსლებით**“ გადარჩენისათვის მუხამობილი სახე არ არის, იგი ნაგრძნობი სულიერი მდგომარეობის ხატია, „შესაძლებლობების რწმენა, წინასწარმეტყველების მოასწავებს ადამიანის მარადიულ არსებობაზე. ცისქვეშეთს დამუჭრებულ ქარიშხლებს გარემოცვაში მიახინა შესაძლებელი ამგვარი არსებობა გალაკტიონის. ადამიანური ღირსებას პოეტონში ძნელად იუ ეცდას ასეთი ძეგლი.

„**როგორც უხვი მემკვიდრე**“... ქვეცნობიერის ურიცხვი შრიდან „თავისთავად“ იხადება მთავარი საიდუმლოს თავის თავში დამამარბავი სიტყვებით. ასეთ დროს ერთმანეთს ერწყმობა ღვთაებრივი შთაგონებით ნასაზღვრები



ახალი კემპარტება და საგნებთან გაცნობიერებული დამოკიდებულება. „როგორც უხვი მემკვიდრე“ წარმოსდგება ჩვენს წინაშე მეოცე საუკუნის ქართველი პოეტი, ვისაც ბედმა დააყისრა ეროვნული ენერჯის შესაძლებლობები გაეცხადებინა პოეტურ ენაზე. იგი, მემკვიდრე საუკუნეებში გამოტარებული ქართული პოეტური სულია, მიემართება ჩვენი დროის უსაზღვრო არენაზე, როგორც დასაბუთება თავისი ხალხის სულიერი შესაძლებლობებისა. მისი სტრიქონები დაუფარავად გვიმღვინებენ ფარულ და თავჩინილ პოეტურებს, რადგან დაფარვა შეუძლებელია გამზადარა, კიდევაც რომ ვინმემ მოისურვოს მსგავსი რამ. განცლებს, პოეტური დამოკიდებულების, ინტონაციების ხვევლებში იკითხება არა მარტო ერთი პოეტის სულიერი მდგომარეობა, არამედ მთელი ეროვნული სულის მდგომარეობა. იზომება მისი ქებასტრუქცილობა. „როგორც უხვი მემკვიდრე“ სწორედ უმოთაგრესი საიდუმლოს ამტკიცებს — ქართველი პოეტი დღესაც სიერკეს დახარბებული, დაუმცხრალი ვნებებით მიაშურებს ასარტება და „ცხენთა შეპირებაზე“ მონაწილეობას ესწრაფვის. ეს გახლავთ სულის ავადმყოფობამდე მისული მოთხოვნა, დაუოკებელი შინაგანი ღტლვა, რომელიც არ იცის სინამდვილესთან შეგება. გალაკტიონის გაცნობიერებული აქვს, რომ მემკვიდრე უსაზღვროდ მდიდარი სულიერი კულტურისა და ამიტომაც არის „უხვი მემკვიდრე“. ღიდი წინაპრების მხრებით მოტანილი ეს სიმღერე კვებავდა მის ფესვებს. იგი, რაფინირებულიც და შემართულიც ერთსა და იმავე დროს, დახვეწილი პოეტური კულტურისაგან აღზრდილი სულით, პოეტური არისტოკრატიულობის უმაღლეს ზღვარს ნაზიარებს, დაუმცხრალი ქარტეხილებით არის დამუხტული. ქარტეხილებს ზვირად და საგანგებოდ ასხენებს თავის ლექსებში გალაკტიონი. ლურჯა ცხენების თითქმის თავგასულობამდე მისული გაქიბრება აღიარებულ პოეტურ ფენომენებთან სხვა ახსნას ვერ პოულობს. ვინც გულდაგულ დააკვირდება გალაკტიონის პოეზიას, შეამჩნევს, როგორ თრთის მის სტრიქონებს შუა სწრაფვის ენის, მარტოოდენ უნიკალური ნიჭის საგნებთან დამოკიდებულება რომელი ილანდება. მიმსწრაფი სულის დაყინებული ღტლვა არცეც მოუსვენარა ლავსავით სტრიქონების ზედაპირს. მისი სული ვერ დაშვიდდება პოეტური სალონების ჭერქვეშ, რაც უნდა მაღალი იყოს იმ სალონების თალი. საზღვრების გარღვევის ენება ანათესავებს ბარათაშვილთან. დგას იგი პოლუსზე „მიმბეჭვების ქუსლებით“ და დემონიურს ნაზიარებს ტრეანივით სავსე პეშვებით ისერის სიერეებში „ფანტასტიურ მკვლელობებს“, „მკათაოების ოცნებებს.“ ერთ სურვილს ჰყავს ატანალი — გრიგალავით დაბრუნდეს წარსულიდან მომავალში, მომავლიდან — წარსულში. აქ იგი ამქვეყნიური არსებობის მღვრიე მშვენებას ჭკრეტს, წყველით გადასერავს გრანდიოზულ სიერეს, რათა შეაერთოს ის უმოორესი წერტილები და ძეგლები აუმართოს ოთხივე მხარეს გაბატონებულ მღვრიე მშვენებებს. ასეთია ყოფა — მღვრიე ნაკადები ავსებს მის საზღვრებს კილით კიდემდე.

ეს „გადაშვება“ გულისხმობს მოძრაობას, შექმნის ენებს, დაცხრომასთან შეუვებლობას, გზაზე გამდალი ენერჯის ახალი ერთეულის წამოზავებას. ქართული პოეტური კულტურის უხვი მემკვიდრე თითქოს დაუდევრად ფანტავს წინაპართა განძს. არა, იგი შინაგანად ლალი, შესაძლებლობებში დარწმუნებული თამამად იჭრება წარსულსა და მომავალში და მოძრაობაში მოჰყავს მღვრიე ნაკადები, ახალ მიმართულებას აძლევს მიწისქვეშა და ცისქვეშა დინებებს.

იგი შეგვასწრებს პირველი მერიდიანის გაჩენას. არავითარი სიბერე და არავითარი შეგუება სიბერესთან. მისთვის ისევე დაღუბვა სკრობს სიბერესთან შეგუებას. პირველი მერიდიანის გაჩენას უნდა ვჭკრეტდეთ, გვეგროდეს მისი.

წარსულს იმედინი ფთლავი წყდება. წარსული დიდია, წარსული უღალატო ნიადაგია. წარსული არ უსვენებს ფეჭებს, ქროლვისაგან აქვებებს.

ამ ვნებებმა განსაზღვრეს მისი მოწოდება, დააყენეს იგი გაუთელავი გზის წინაშე და ათქმეინეს:

დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქრით ბართლი,  
იყოს მზეთა ორგია და მაგია მთაბრისა,  
ვიყო ამ ღრინაცლში მარად ზღალამართული  
ღანიდი — არაქვენიურ დარდით გადამწვარისი.  
დამარჩის ეს ხალღუმლო, როგორც წმინდა ემბაზი,  
ფეფერა მომეცეს, როგორც ღამეს ენებოს.  
ცხენთა შეპირებაზე ცხენთა შეპირებაზე!  
ცხენთა შეპირებაზე გასწიო, ლურჯა ცხენებო!

ტანჯული არსება ჩაუყენება ბედს „ამ ღრინაცლში“ და ისრუტავს ამქვეყნიური ყოლის საშინელებასა და მშვენიერებას, ერთმანეთთან შენეითებულს, ერთმანეთისგან განუყრელს. იგი გულისხმობს უპირველეს ყოვლისა, კონკრეტულ ქართველ ადამიანს თავისი ისტორიული ბედითა და უბედობით, მზის ორგისა და მთვარის მაგის წრეში მოქცეულს, აქ, ქართულ მიწაზე, თავის პოლუსზე რომ დაქედოდა მძიმე ქვების ქუსლებით და ინარჩუნებს მარად სასურველ წონასწორობას — ისევე ქართული სახით, დაღარული ნაკვებით, მაგრამ დაუღლევი წყურვილით. გულისხმობს კაცობრიული და ეროვნული მისწრაფებების განივებას გალაკტიონის პოეტურ ფენომენში. ქაოსის პირისპირ არაქვეყნიური დარდით გადამწვარი დიად დას და ჭკრეტს, როგორ აფურსიგებს განგება ამ ქაოსს, რათა ჰარმონიულობისაგან მოაქციოს.

და რაოდენ ეფემერულიც არ უნდა იყოს ადამიანის ყოფა ცის ქვეშ, იგი მიანიც აღვივებს მარადიული არსებობის სურვილს და სწორედ უსაზღვროების განცდას სძენს წამერს.

როგორც უხვი მემკვიდრე, ვისვრა ხავს პეშვებით  
ფანტასტიურ მკვლელობებს და ოცნებებს მკათაოების,  
წარსულში, მომავალში წყველით გადავივები,  
რომ ძეგლები ავმართო მღვრიე მშვენებათათვის.



ცნობილი ფრანგი მომღერალი ჟაკ ბრელი ან როგორც მას ფრანგები უწოდებენ „დიდი ჟაკი“ გარდაიცვალა 1978 წლის შემოდგომაზე. ამბობენ, სიკვდილის წინ მეგობრებისთვის უთქვამს: „თუ გიყვარვართ, ჩემზე ნუ ილაპარაკებთო“. მიუხედავად ამისა, იმავე დღეს და შემდეგაც ჟურნალ-გაზეთები აივსო წერილებით: ფოტოებით, მოგონებებით, მისი სიმღერების ტექსტებით; რადიო და ტელევიზიამ სპეციალური გადაცემები მიუძღვნა; გამოიყენა ალბომები, წიგნები, ფირფიტები. ჟურნალისტები, მწერლები, პოლიტიკოსები, გამომცემლები, მსახიობები გამოდიოდნენ და ლაპარაკობდნენ ბრელზე, როგორც შემოქმედსა და ადამიანზე. მისი თხოვნა არ შესარულეს არც ცნობილმა მომღერლებმა — ტრენემ, ბეკომ, რეჯიანიმ და ბევრმა სხვამ, რომლებიც ახლოს იყვნენ ბრელთან. ყოვლ ბრასენსმა კი ასეთიანად იმართლა თავი: „ჟაკს, აბა, ასე ხომ არ გავუშვებდითო“. მხოლოდ პატარა ჯგუფმა, ბრელის რამდენიმე უახლოესმა მეგობარმა: მსახიობმა ლინო ვენტურამ, მომღერალმა ჟულიეტ გრეკომ, იმპრესარიომ მარტინიმ და კიდევ რამოდენიმემ შესარულა მისი თხოვნა ამ დიდი და ხმაურიანი ცერემონიისა და აჟიოტაჟის საწინააღმდეგოდ. მათ გლოვის ნიშნად უხმოდ ჩაიარეს და ითხოვეს „გაჩუმიდით, პატივი ეციეთ მწუხარებასო“.

„ბრელი იყო ფრანგული სიმღერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელი, ზოგიერთის აზრით კი ყველაზე დიდიც კი. ასეა თუ ისე, ერთი რამ უდავოა: ფრანგული სიმღერა მას დააყენებს უმაღლეს საფეხურზე იმათთან ერთად, ვინც ამ სიმღერას ერთგულად ემსახურება“.

„ბრელი იყო დიდი ხელოვანი, რომელიც თავისი ფაქიზი და მკაძობიარე სულით გამოხატავდა იმედისა და ოპტიმიზმის წუთებს...“

„ბრელი ფრანგული სიმღერის ნამდვილი ვარსკვლავია, თუმცა იგი ამ სახელს არ ეძიებდა, პირიქით სძულდა და გაუბრალოდა“.

ბრელი პიროვნებამ და შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდობაზე. იგი, ალბათ, მომავალშიც მოიხილავს და შთაგონებს თაობებს, რადგან ეს დიდი მომღერალი ნამდვილი ხელოვანი, მოქალაქე და ადამიანი იყო.

„ჩემი დროის ახალგაზრდობის სახელით სიმართლე მინდა ვთქვა, რადგან ამის მოვალენი ვართ ბ-ნი ბრელის წინაშე.“

ჯონი პოლიდეი, ელი მიჩელ, კლიფ რიჩარ, ჩენი შაბათიშისა და კვირეებისათვის — დღესასწაულებისათვის იყვნენ განუთვნილნი. მაგრამ არსებობდა სხვა დღეებიც, პირადი, ინტიმური საღამოები... მაგონდება, შემოდგომას, პარიზში, ჩვენ ტელფონტები, თითოეული თავის ოთახში, ლოგინზე წამოწოლილი „ვოლუაზით“

# ჟაკ ბრელი

მზია ბაქრაძე

პირობი და „დიდი მონი“! ხელში (ისინი, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ ბავშვობა), ან „უცხოით“ (ისინი, ვისაც უკვე ეგრძნო ფილოსოფიური პრობლემების სიმწვავე), ერთი ჭიკა ლუდით, ნიკაზე მიბჯენილი ხელუბით თავს ვარწმუნებდით: არავის არ ესმის ჩემი, მეგობარმა ქალიშვილმა მიმატოვა, გული მტკივა, ოპ, რა მარტო ვარ.

მაგრამ არა, არც ერთი ჩვენგანი მარტო არ იყო. იყო ერთი ადამიანი, ვისაც ჩვენი ესმოდა; ადამიანი, რომელსაც ზუსტად ისე ესმოდა სიყვარული, როგორც ჩვენ, ჰაუბერეს, რომელიც ზუსტად ისე გამოთქვამდა ამას, როგორც ჩვენ გვიჩლოდა გვეთქვა; მაგრამ ვერ ვახერხებდით.

ეს ადამიანი ჟაკ ბრელი იყო.

1 აღენ ფურნიეს „დიდი მონი“; ალბერ კამიუს „უცხო“.



დიდები უსმენდნენ ბრელს, მოსწონდათ და ტაშს უკრავდნენ. ჩვენი კი ის იყო ღმერთი. ის ღრიალებდა იმაზე, რასაც ჩვენ ვერ ვხედავდით (ან კარგად არ გვესმოდა. რაში იყო საქმე...) გვეჩურჩულა...

სასიყვარულო საჩუქრისათვის ბრელის ერთი სიმღერა 24 უმწვენიერეს ვარდს სჯობდა.

მაშინ მიღაში იყვნენ ჯემს დინი, ელვის პრესლი, პოლ ანკა... მაგრამ ჩვენ კარგად არ გვესმოდა, რას ამბობდნენ ისინი. ბრელისა კი ყველაფერი გვესმოდა. მაგრამ მას გულის სიღრმეში, საიდუმლოდ, სათუთად ვინახავდით, რადგან ის ჩვენი ნიშანიანი წუთების უახლოესი მეგობარი იყო.

ბრელს წინ უძღოდნენ ფრანსუა ვიონი და რაბლე, რუსო და ვოლტერი (არ გაგვიკვირდებოდა, მართალს ვამბობს). რემბო და ვერლენი, ელუარი და პრევერი, გაკვირვებთ ეს გენეალოგიური შტო? დამერწმუნეთ, რომ ბრელი მიუძღოდა ათასობით ჰაბუსს.

ბრელი გარდაიცვალა. მას მარკიზის კუნძულებზე სძინავს. მაგრამ ბრელი არ მომეკვარა. მისი სიმღერები დარჩა. ცოცხალია, რადგან ის არის მუსიკა და სიტყვები ჩვენი სიყვარულისა; მან სიმღერით გამოხატა ჩვენი პირველი ამბორი, პირველი ალერსი, მან მძაფრი და ენე-ბიანი ხმით გამოხატა ჩვენი სასიოწარკვეთა და იმედი. მან ჩვენს მაგივრად ვაკეთა ყველაფერი. ის მუდამ წინა ხაზზე იყო. ცეცხლისა თუ ინდიფერენტების სიცივიდან გამომწერილი ჰქონდა თავისი ფერმტოლოგიური უქანურად დანასჯეული, გრძელი, ტრაგიკული ხელუმი და სიმართლეს ამბობდა<sup>42</sup>.

მართლაც, ბრელმა იმერა ყველაფერზე, რაც ადამიანს ეხება, — მან უძღერა ამაღლებულს და კეთილშობილურ გრძობებს, უღმობელად გაასწორა მიწასთან ყოველგვარი, რაც ადამიანურ ღირსებებს ზღადავს.

...„ცხოვრებაში ჩვენ ყველას ვეკვლია სინაზე, ალბათ, იმიტომ, რომ ვერ ვხედავთ მის გაცემას და ვერ ვხედავთ მის მიღებას...“ ამ ნაკლის შესავსებად სიმღერებში: „სინაზე“, „ნუ მიმტოვებ“, „როცა მხოლოდ სიყვარული ვგაქვს“, „მტრულა“ მან მგზნებარედ უძღერა სინაზესა და სიყვარულს.

უბადლო პოეტობითა და ნოსტალგიით აღვსილი სიმღერა მიუძღვნა მან ბელგიას, უფრო სწორად, ფლანდრიას — „ღაბლობ ქვეყანას“ — მისი შობილიერი კუთხე რომ იყო. (თავის ფლამანდიურ ძირებს ბრელი არასოდეს ივიწყებდა).

უმღერა ნამდვილ მეგობრობას, რადგან იცოდა მისი

ფასი, ბავშობის ოცნებებსა და ჰაბუსურ ჯანყს („ეფე“, „ჰოჰო“, „ფერანტი“).

სველი სახე სიმღერებით გამოხატა მარტოობის ტიკეოლი და კავშირი, ამქვეყნიური ამოვების განცდა. სიკვდილის შეგრძნება („სიკვდილი“, „მარკიზის კუნძულები“, „უქანასანელი ვაზში“).

უდიდესი სითბოთი თანაუგრძობდა დავრდომილთა და ოზღობის საცოდაობას, სიბერის უძღურებასა და სიმწარეს („კეთილი ღმერთი“, „პოხუცები“, „მარტო“).

დამცინავი და უღმობელი იყო, როცა ანგარიშს უსწორებდა ყველაფერ ცუდს, ბოროტს, მანკიერსა და ყალბს. „სიმღერა საშუალებას მაძლევს აღფრთოვება გამოვთქვა. ვეწინააღმდეგები იმას, რაც მე და სხვებს ბედნიერებაში ხელს გვიშლის. მძაფრ სიმბინჯე და სიყალბე, რომელიც შესახებ არავის სურს ლაპარაკი, თითქოს ჰრილობის გალიზიანების ემინათო, ჰრილობისა, რომელიც სამკურნალოა“. იგი შეურთებელი იყო ყოველნაირი უსამართლობის მიმართ. მისმა შემართებამ და პირდაპირობამ მეამბოხის სახელი მოუტანა („ბურჟუები“, „ფლამანდლები“, „ღვთისმოსავანი“).

ამ შმაგი, ვაქაცური სულის ადამიანს („სიფრთხილუ მძაგს“) თან სდევდა უსაზღვრო წყურვილი ცხოვრებისა და ადამიანის რწმენისა.

მან ყველა საშუალებას მიმართა, რათა მისი სიმღერა შეხებოდა ადამიანების გულსა და სულს, და აღწევდა კიდელ მსმენელთა აფორაქებას, გაბრუნებას, ატირებას, დაფიქრებას; მათთვის სიხარულის მინიჭებას. „ეს თავმდაბალი ხელოვანი ჩაეკეტლი თავის თავში, უდიდესი უდიდესთა შორის, იბრძოდა სიციცხლის ბოლო წუთამდე. მას უნდოდა ეცხოვრა წმინდათ, სიყალბის გარეშე, ეთქვა სიმართლეს, ფეხზე ამაყად მდგარიყო. თავისუფლად ესუნთქა და ფრთები შეესხა თავისი ოცნებებისათვის“.

ოცნება კი ბრელს ყოველთვის უყვარდა „არ მესმის 45 წლის ადამიანს რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება ოცნებისო“...

„მე ვფიქრობ, რომ უბედურების სთავება ის განსხვავებაა, რომელიც არსებობს ადამიანის ოცნებას და იმ რეალობას შორის, რომელშიც იგი ცხოვრობს. ამ განსხვავების შევსება საჭიროა“. ხოლო ამისათვის კი, მისი რწმენით, აუცილებელია მოქმედება, ოცნების რეალიზაცია. ბავშვიდანვე იგი ოცნებობდა ვასკო და გამას და მის მსგავსთა ვაქაცობაზე, სურდა ეხეტიალა, რაიმე აღმოეჩინა, რაინდული საქციელი ჩაედინა. ოცნებების რეალიზაციას იგი უწოდებს ტალანტს და ლამის აიგივეებს ბედნიერებასაც... „ტალანტი ეს არის ოცნება, ავითო ის, რაც გინდა... და როგორც კი ვაკეთებ ამას, საოცრად თავმდაბალი ხდები...“

2. დიდი დღევან — თანამედროვე ახალგაზრდა ფრანგი მწერალი.

ეკ ბრელი დაიბადა ბრიუსელში მდიდარ ბურჟუაზიულ-კათოლიკურ ოჯახში. განათლება მიიღო კლასიკურ კათოლიკურ სკოლაში; ბავშვობიდან მას ხელოვნება იტაცებდა, უპირველესად, თეატრი და პოეზია. ამის გამო იგი არ ავრჩევს სწავლას, მაგრამ ოჯახი მოითხოვს, რომ მან მამის საწარმოში დაიწყოს მუშაობა, რათა შემდეგ მას სათავეში ჩაუდგეს. 18 წლის ბრელი პატიოსნად ასრულებს მამის ბრძანებას, მაგრამ ასეთ არსებობას ვერ უძლებს: „მომწყინდა ფრთხილი ბურჟუაზიის შუაგულში ცხოვრება. მას არ ეგებოდი, არც კი ვაფურთხებდი... უბრალოდ, საშინელ მოწყენილობას განვიცდიდი“. აკვირდებოდა ხალხს — მეზობლებს, ვაჭრებს, მდიდრებს, — და ფიქრობდა: „შეუძლებელია ასე ცხოვრება, წუთუც ეს მათთვის საკმარისია?“ მერე ასეთი დასკვნა გამოაქვს: ბურჟუებს ვერაფერი შეეცლის, იძისათვის რომ არ დაემსავსოს, უნდა გაექცე მათ, ისინი ხომ საშინლად მოსაწყენნი არიან, თანაც მათ არსებობას განაგებს სამი ეშმაკი: ეგოიზმი, სიყალბე, ფული, რაც ბრელს საშინლად სძულს.

გამოსავალს ეძებს, შედის ახალგაზრდათა ორგანიზაციაში, რომელიც გერმანელების ოკუპაციის პერიოდში შეიქმნა. ამ ორგანიზაციის მისია მოწყობდა იყო: ინვალიდების დახმარება, უპატრონოთა სახლებში მოხუცებისა და ბავშვების გაზოგება. ამ მიზნით ორგანიზაციის წევრება აწყობენ საღამოებს, სპექტაკლებს, სიმღერის ტურნეებს, რათა პატარა სიამოვნება მიანიჭონ ალერს-მოკლებულ ბავშვებს, განწირულ მოხუცებს.

ბრელის თქმით, ეს იყო პირველი გაქცევა მოსაწყენი და ერთფეროვანი ყოველდღიურობიდან. ამ დროს აღმოაჩენს იგი გიტარას, რომელიც მისი განუყრადი მეგობარი ხდება, გიტარა აზიარებს ხელოვნებას და აპოინინებს საკუთარ გზას. ბრელი საკუთარ სიმღერებს თხზავს და, როგორც მოყვარული, პატარა ფირფიტაზე ჩასწერს ოთხ სიმღერას. ეს ფირფიტა ხელში ჩაუვარდება ნიჭიერი მომღერლების მამიებელსა და ბევრი მათგანი აღმოჩენს — ეკ კანეტის, რომელიც პარიზში იბარებს ბრელს და ერთ-ერთ კაბარეში სთავაზობს ორკვირიან კონტრაქტს. სრულიად გამოუცდელი ბრელისათვის მწელი იყო შესტიდებოდა სენ-ჟერმენ დე პრეს ცნობილ მომღერლებს, მაგრამ იგი ერთი წამითაც არ შეყოყმანებულა. მან უარი თქვა წყარს, უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე, სიმდიდრეზე, მამის საწარმოზე, რომლის ბატონ-პატრონი უნდა გამხდარიყო. ოჯახმაც მასზე უარი თქვა. ბრელი ცარიელი ჰაზით, მაგრამ გიტარით ხელში და იმედიტ გულში პარიზში მიემგზავრება. იგი ყველგანისთვის ანებებს, ოცნებით ცხოვრობს, სჯერა, რომ თავის ოცნებებს ასრულებს: „მე არ ვციოდი, რა იყო პარიზი, რა იყო სიმღერა. და მანაც ვაყვევი სიმღერის თავგანთავალს. ნუ მეკითხებიან რატომ, ვერ შევძლებ ამის აღსნას“.

1953 წელს ბრელი ჩადის ჰარიზში, სადაც უკვე ბრწყინავენ ქულიტ გრეკო, იე მონტანი, ყოვე ბრასენსი. ამ წელიწადმა მოუტანა წარმატება შარლ აზნაურს, „100 აბავინ“ ყილებერ ბეკოს. კონტრაქტის პირველმა კონცერტმა ბრელს წარუმატებლობა აგება. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა უღონობადად მოსთხოვა: „...რაც შეეხება ბ-ნ ბრელს, შევასწავნებთ, რომ არსებობენ ბრიუსელისაკენ მიმავალი მშვენიერი მატარებლები“. მისი გარეგნობაც (ასეთი ეფექტური და მიზმიდელო შემდეგში) დაიწუნეს. არასცენიური, არასიმპათიურია. მაგრამ ბრელი ჯიტილა იწყება წვალება — უფულობა და შიმშილი. თითო სიმღერით გამოდის ხან ერთ, ხან მეორე კაბარეში, თავი რომ იჩინოს, ჭურჭელსაც კი არცხავს. 1954-55 წლებში წარუმატებლად გამოდის პატარა კაბარეებში, საფრანგეთის პროვინციებში. მონმარტრზე მას უსტვენენ, ლათინურ ულანში გულგრილად უსმენენ. 1956 წელს დამატებით პროგრამაში გამოდის ჟურ ცნობილ დარბაზში „ოლიმპია“, შემდეგ „ბობინოში“. ისევე აწყდება ვულგარილობას, მაგრამ ბრელი მინც მღერის: გრძელდება გაკვირება და შიმშილი, ღამეებს ათენებს ბაღში, სკამებზე („ლატანი გათენებოსას“). არც საშობალოში პოულობს თანაგრძნობას: ერთ-ერთ კონცერტზე, ბელგიაში, 28 მუსტრულემბელს შორის ბრელი ბოლო ადგილზე გამოდის.

ბრელს პირველი დიდი ფირფიტა ჩაიწერა მამის, როცა მისი სიმღერა სენ-ჟერმენ დე პრეს იმპროვიზაციულ მუხამ ქულიტ გრეკოშ შეასრულა (ბრელის სიმღერის მისი ვარდა არავის უმღერია და არც არავინ მღერის), მაგრამ ვერც ამან მოუტანა წარმატება. 1957 წ. მონწილეობს ზიზი ჟანმერის მიუზიკ-პოლში, რომელიც „ალამბრაში“ გამოდის. 1958 წ. ისევე „ოლიმპიის“ სცენაზეა (ადრეში უკვე მეორეა): 1959 წ. „ბობინოში“ მიჰყავს კონცერტი და ასრულებს თავის ყველაზე ცნობილ სიმღერებს: „ნუ მიმატოვებ“, „მარიეტე“, „ათას ტაქტიანი ვალსი“. თითქმის ყინული ღლებია...

60-იან წლებში საფრანგეთსა და ევროპაში დიდად პოპულარული იყო ჯონი ჰოლიდეი — ახალგაზრდების ყურბი. დარბაზ „ოლიმპიაში“ მისი სამთიანი გამოსვლების შემდეგ დაგვეგმილი იყო ასევე ცნობილი ვარსკლავის მარველ ღღრბიხის კონცერტები. ბოლო წუთში მან უარი განაცხადა გამოსვლებზე, რამაც საფრანგულში ჩაავდო იმპრესარიო და „ოლიმპიის“ დირექტორი. ისინი წავიდნენ რისკზე და ეკ ბრელი მოიწვიეს. ფიქრობდნენ, რომ ბრელის დახვეწილი, ორიგინალური და სერიოზული სიმღერები არ იყო განკუთვნილი ფართო მსმენელთათვის, მაგრამ ბრელმა მოხიბლა პარიზის საზოგადოება. „ჩემი დებიუტი ხუთ წელს გავრქედილი“ — იტყვის იგი შემდეგ. ბრელი, როგორც იქნა, მოიწონეს — გამოდის მისი ფირფიტები, იბეჭდება რეკონზობი, სადაც აღნიშნავენ ბრელის მრავალფეროვნებას, სწორფელს, ორიგინალურ ტალანტს... მალე ბრელი სახელ-



განთქმული მომღერალი ხდება მთელს ევროპაში, ხოლო 1965 წელს კი ნიუ-იორკის კარნეგი-ჰოლში გამოსვლის შემდეგ ამერიკელები მას ერთსაათიან ოვაციას უმართავენ. ბრელი აღიარებულია, როგორც ღიღი მომღერალი.

გადის წლები... მოსაწყენი და მონოტონური ყოველდღიურობის გარდა ბრელი აღმოაჩენს ახალ მტერს — დროს, რომლის შეუჩერებელი ღინება ადამიანს აცლის სასიცოცხლო ძალებს, ართმევს სიყვარულის უნარს, უკარგავს იმედს, მიჰყავს სიკვდილისაკენ. ბრელი რწმუნდება, რომ სიჭაბუკეში გაკეთებული არჩევანი — შემოჭმედება ერთადერთი გზაა ხსნისა, თანაც უუნდა გეხსოვდეს, რომ მოკვდავნი ვართ, არც სიკვდილის გარდუვალობამ არ უნდა დაგეამწუხროს და არც უკვდავების იდეამ უნდა შეგვიპყროსო“. შემოჭმედებაში შეუძლებელია იგივეობა, თავისთვის განმეორება და ბრელიც დღენიდავ ციხეაშია, ახალ არჩევანს აკეთებს... და 1966 წლის 1 ნოემბერს ღიღების მწვერვალზე ასული ბრელი ეშვებოდება სიმღერას. ამ დღეს იგი უკანასკნელად გამოდის პარიზში. „ეს იყო ფანტასტიკური, არახული გამომშვიდობება... არც ერთ მიუზიკ-ჰოლს არ ახსოვს ასეთი გიჟური ოვაციები... კონცერტი დამთავრდა; დამის 12 საათია. ბრელი იძულებული იყო 7-ჯერ გამოსულიყო თავის დასაკრავად, რაც მას არასდროს გაუკეთებია. მაგრამ 2000 მსმენელი ადგილიდან მაინც არ დაიბრა... უკვე 20 წუთია, რაც ფარდა საზოლოდ დაეშვა, სინათლე ჩაქრა, მაგრამ ტაში გრძელდება, ხალხი იცდის... ბრელმა დასტოვა თავისი გასახდელი ოთახი და ხალათში გამოვიდა: „ხალხმა გამიგო, მიმილო, მგონი შემიყვარა კიდევ, მეც მიყვარდა იგი, მაღლობა მას. მაგრამ დღეიდან თავისუფალი ვარ...“

1968 წელს დგამს საკუთარ მუსიკალურ კომედიას „ლონკიოტს“ — თვითონვე ანსახიერებს ღონკიოტს (რომელსაც გარეგნობითაც ჰგავდა და შინაგანი თვისებებითაც). შემდეგ კინოში იწყებს მოღვაწეობას ჯერ როგორც მსახიობი, მერე როგორც რეჟისორი.

1974 წელს იგი ყველაფერს თავს ანებებს (ამბობენ, რომ 1969 წლიდან იგი უკვე ავად იყო) და თავისი გემით მოგზაურობს ზღვებსა და ოკეანეებში. ხან კი დაფრინავს თვითმფრინავით, რომელსაც თვითონ მართავს წვიმაში, თოვლში, ქარბუქში. იგი ხიფათს, ფათერაკს ეძებს... ბოლოს კი გოგენივით რჩება შორეულ ტაიტიზე, და ცხოვრების ბოლო წლებს მარკიზის კუნძულზე ატარებს. 1977 წელს მიიმე ავადმყოფი ჩადის პარიზში და ფირფიტაზე სწერს ბოლო სიმღერებს მარადიულ თემებზე: მეგობრობა, სიყვარული, სიბერე, სიკვდილი. ეს სიმღერები ტრაგიკულია... ბრელი პირასპირ დგას სიკვდილთან, რომელსაც ვაჟაკურად ებრძვის, მაგრამ...

ბრელის სიმღერების ძალას წარმოქმნის სიმათილე, სიწმინდე, სიწრფელე. არც არაფერს ალამაზებს, არც კომპრომისზე მიდის, არც მოდას ჰყვება. მისი სიმღერები აღმაიანებში აძლიერებდნენ საკუთარი ღირსების შეგრძნებას. „აღმაიანები საოცარნი არიან, მაგრამ ხანდა-





ხან მათ უნდა უთხრა, შეახსენო ეს“. მისი სიმღერებში მოუწოდებენ შინაგანი ძლიერებისა და დამოუკიდებლობისაკენ, იცავენ ადამიანებს ნაცრისფერი მონოტონური ცხოვრების მდორე დინებისა და თვითკმაყოფილი სიყვარლისაგან. ბრელი იმასაც ამბობს, რომ „უნდა ვაეჭვო სულელების სეროზოზობას“. ეგზისტენციალისტების დარად ბრელი იმ ზარისაა, რომ „ადამიანმა უნდა შეძლოს ვაკეთოს საკუთარი არჩევანი, რადგან მასზეა დამოკიდებული მისი ბედი“.

ბრელის მთელი ცხოვრებაც მოქმედება, ძიება, აჩვენავს იყო... ჩემს თავს სეროზოზულად არ აღვიქვამ, არა იმიტომ, რომ ვაეჭვებ პასუხისმგებლობას, არამედ იმიტომ, რომ არ გაჩერდები (ალბათ ამიტომ ეწინააღმდეგებას სიბერის).

ბრელი ერთდროულად პოეტი, კომპოზიტორი და მომღერალია. ამბობენ, რომ მას სიმღერაში იზიდავდა მუსიკისა და პოეზიის ვაერთიანების შესაძლებლობა და განსაკუთრებით თავისუფლება, რომლის მოთხოვნაზედა მას ძვალსა და ხორციში ჰქონდა გამძვინვარება. „სიმღერას ერთ განსაზღვრებას ვერ მიუყვანებ. სიმღერა სრული თავისუფლების სამყაროა“.

ბრელისათვის სიმღერა თვითგამოხატვისა და ხსნის საშუალება იყო. როგორც თვითონვე აღნიშნავს, მას არ გააჩნდა არც შემოქმედებითი კონცეფცია და არც რაიმე განსაკუთრებული მეთოდი. „სიმღერებს ვწერ, როცა მათ ეგვრნობ“ და არ დავწერო, არ შემიძლია“. მისი სიმღერები შთაბეჭდილებისმიერია, მაგრამ ამბებსა თუ შეგრძობნების იგი კი არ ჰყვება, არამედ აქცევს მათ ხატებად, სურათებად, შთაბეჭდილებებად, ემოციებად: „მე უფრო ვხატავ, ვიდრე ვწერ, სიტყვები ჩემთვის ხაზებია, მუსიკა — ფერია...“ „ლექსი და სიმღერა ორი სრულიად სხვადასხვა რამაა, ლექსი წასაკითხავად იქმნება. ლექსა მუსიკა არ სჭირდება. ის თავის თავს ჰყოფნის. ლექსების წერა მე არ შემიძლია. ვერ ვბოლობ პოეტურ ქღერადობას. მე მჭირდება მუსიკალური ბგერები, რათა სიტყვები ავაჯობო“.

მაგრამ საფრანგეთში ბრელი პოეტადაც არის აღიარებული. მისი სიმღერების ტექსტები ცალკე წიგნად არის გამოცემული საუკეთესო თანამედროვე პოეტების სერიაში. თვითონ, როგორც ზევით იყო აღნიშნული თავს პოეტად არ თვლის. იგი თავის თავს შანსონიერს, მომღერალს უწოდებს და ამბობს: „მე არც სოციოლოგი ვარ და არც ფილოსოფოსი. მე უბრალოდ მომღერალი ვარ“. შესაძლოა, ბრელის სიმღერას, ისევე როგორც ზოგი ფრანგი მომღერლის სიმღერებს, მავალითად, ბრასენსისა, უნდა ეწოდოს რაიმე სხვა სახელი და არა სიმღერა. საქმე ისაა, რომ სიმღერაში მთავარია მელოდია, მუსიკალური ფრაზა, მუსიკალური ინტონაცია. ტიპიურ ფრანგულ სიმღერაში კი, როგორც ბრასენსი ამბობს, მუსიკა კი არ არის წამყვანი, არამედ სიტყვა.

ბრელისათვისაც სიტყვა არის უპირველესი, მუსიკა მისთვის დამხმარე საშუალებაა. „სიმღერა იმიტომ კი არ იქმნება, რომ იმღერო (ჩემთვის ყოველ შემთხვევაში), არამედ, იმიტომ, რომ რაღაც უამბო ადამიანებს“.

ბრელს საოცარი სიყვარული აქვს სიტყვისა. სიმღერის დროს იგი თვითველ სიტყვას ხმა უსვამს, თავისებურ ელფერს აძლევს: „ვეთაყვანები სიტყვას, როცა იგი იმ იერს, იმ ფერს მიიღებს, მე რომ მინდა, როცა სრულად გამოხატავს იმას, რაც მე მსურს. სიტყვა იარაღია, ოღონდ უნდა იცოდე ამ იარაღის ხმაურბაო...“

ამიტომვე ბრელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლექსის წყობას. ძირითადად იგი ექვს ან რვა-მარცკლიან წყობას ხმარობს, მიმართავს ალექსანდრინულსა. ზოგან იყენებს თავისებურ, უჩვეულო წყობას, თუკი იგი უკეთ გამოხატავს სათქმელს. მავალითად, სიმღერაში „მობოტევი“, მელოდრამატულილის თვითად აცილებს მზინს, მიმართავს 18 მარცკლიან წყობას. ერთი სიტყვით, ბრელი სიტყვებით, ლექსის წყობით, რიტმითა და ტემპით ხატავს ამა თუ იმ ადამიანის სახესა თუ ხასიათს, ამა თუ იმ სურათს. მისი მეტყველება თითქმის მარტივია, იყენებს ყოველფერადულ სიტყვარეკო ენას, არგოტულ გამოთქმებს, ქმნის ნეოლოგიზმებსაც კი (•Bruxeller cimetieres). მაგრამ ბრელი არასოდეს არ არის ბანალური, რადგან ამ სიმღერების ენა აღბეჭდლობს მკვეთრი პოეტური ინდივიდუალობით. უჩვეულოა მისი სიმღერების ფორმაც. ფორმისა და ტექსტის ორიენციალობა ყველაზე მკვეთრად ჩანს სიმღერაში „მარიეკე“, სადაც იგი თამამად უკავშირებს ურთიერთს ორ ენას — ფრანგულსა და ფლომანდიურს, ის, რომ არ ირღვევა ჰარმონიულობა. ერთი კულტური ფრანგულადა, მეორე ფლომანდიურად, შემდეგ კი ერთ კულტურში ორივეა შერეული, ხმოვანების მხრივ ეს სიმღერა საოცრად მეტყველია და შთაბეჭედავი.

განსაკუთრებულ ეფექტურია ბრელისეული „კრეშიენლი“. დაბალ ხმასა და ნელ ტემპში დაწყებული სიმღერა ნელ-ნელა ძლიერდება ტემპი მატულობს, ფრაზა რთულდება და თანდათან აღწევს მაქსიმალურ სიმძაფრეს („ასტერდამი“, „ათასტეტანი ვალსი“, „ყვე“ და სხვა) — უკრეშიენლოს“ საშუალებით ბრელი ხაზს უსვამს იმ ერთიერსაპირისპირო სახეებს — სინაზენ-სიმძავე, სიკეთე-ბოროტება, კდმა-ვენება, ბროლა-შეზიღობა და სხვა, მის სიმღერებს რომ მსჭვალავინ. „მე მწყემისს თვალს მქონდა და ბატკნის გული“, ამბობს იგი ერთ-ერთ ინტერვიუში და ეს შინაგანი გაოჩება მისი შემოქმედების დამახასიათებელ თვისებად ვადაიქცა. ერთხელ ბრელს ჰკითხეს, თუ რატომ არის მისი სიმღერები ასეთი მძაფრი. ბრელმა ასე განმარტა: „ხმელთა-შუა ზღვის ნაპირების მაცხოვრებლებს არ აკლიათ სიმძაფრე, რადგან მძაფრია მათი გარემო, საოცარი, მრავალსახიფთაია მათი პეიზაჟი; ფლანდრია კი ბრტყელი. ნაცრისფერი, ერთფეროვანია; დაბლობი იწვევს ვადა-მეტების, ვაზფიადების, გამაფრების სურვილს...“

დაბოლოს, ბრელის ხელოვნების აღსაქმელად სულაც არ კმარა მისი სიმღერების მარტოოდენ მოსმენა. სიმღერის პროცესში ბრელი უდიდეს — მნიშვნელობას ანიჭებდა შესრულების მანერასაც — ექსტს, მოძრაობას, მიმოკას — ნახს, ირონიულ-დამცინავს, ვაყაყურს, მრისხანეს, ტრაგიკულს... ბრელი კი არ მღეროდა, არამედ თითქოს დგამდა სიმღერას. სიტყვისა და მელოდიის დახვეწილობას იგი აძლიერებდა შესატყვისი პლასტიკით, დახვეწილი და ხანდახან ოღნავ შესამჩნევი ექსტით, ენებრიანი და მძაფრი მოძრაობებით. თავისი გრძელი ხელების თლილი თითებითა და ელასტიური სხეულით იგი ანსაზიერებდა თავისი სიმღერების პერსონაჟებს თუმანდრედ ბუერქუსსა თუ მეცხვარეს, მთხოვარსა თუ მონახონ ქალს, მღვდელსა თუ ტრაედიკოსს, შეყვარებულ ჰაბზებსა თუ დამწუხრებულ მიხვტურულს „...სიმღერაში უნდა ჩაერთოს სხეული, ხორცი, საული... იგი ჯერ უნდა გამაფრდეს. მერე იფეთქოს, დაბოლოს, მოცილილით მოსწყდეს...“, „ვერ ვქმნი სიმღერას, თუ ტექსტსა და მუსიკას არ ეხმარება მთელი ჩემი სხეული. თავი მთლიანად უნდა მისცე სიმღერასო“...

დაბს ბრელი მიეღო არსებით მღეროდა, ამბობდა, მოქმედებდა. თავისი სიმღერებს იგი ყოველთვის ორი საწინააღმდეგო შეგრძნებით მსჯელობდა — ფლანდრიელი ნელეს სითბო და სინაზე, და ულენშვილის დაუოკებელი ვაყაყური სიმშავე და გესლი.

1965 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირში გასტროლების დროს ბრელი საქართველოსაც ესტუმრა, თახი დღე დაპყო და თახი კონცერტი გამართა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. აბა, რისი ნახვა უნდა მოეხსრო ან როგორ უნდა ვაყენო ქართველები ამ თახი დღის განმავლობაში, მით უმეტეს, რომ ყოველდღე კონცერტები და რეპეტიციები ჰქონდა. მაგრამ ბრელმა ეს მაინც შეძლო.

ბრელი მიიპტივა თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტმა. ბრელი აღფრთოვანა სტუდენტების მიღება, გულითადაბამ, სითბომ, გაიმართა ცოცხალი წრფელი, საინტერესო საუბრობა, ბრელი ერთი საათის განმავლობაში უამბობდა აუდიტორიას ფრანგული სიმღერის შესახებ, მერე კი ინსტიტუტის პატარა სცენაზე სამი სიმღერაც კი შესარულა (ერთი სიმღერა წინა დღის დაეწერა სასტუმრო „თბილისში“). ეს დღე დაუფიქვარია ამ შეხვედრის მონაწილეთათვის. საქართველოში გატარებულმა დღეებმა, შეხვედრებმა, კონტაქტებმა მოიზილეს ბრელი, მან თავისდაუნებურად ძალიან დიდ სამსახურს გაუწია ფრანგული ენის სპეციალისტებს, სტუდენტებს, მოყვარულებს.

საქმე ისაა, რომ სსრკ-საფრანგეთს შორის ჯერ კიდევ 1954 წელს დაიდო ხელშეკრულება მასწავლებელთა ურთიერთვაკცლის შესახებ. მაგრამ 1965 წლამდე საქართველოში საფრანგეთიდან არც ერთი პედაგოგი არ ჩამოსულა. მხოლოდ 1965-სასწავლო წლის დასაწყისში თბილისის უნივერსიტეტსა და უცხო ენების ინსტი-

ტუტს ეწვია პირველი ფრანგი მასწავლებელი ბნი ეზერი, რომელსაც სურდა ჩამოსვლა მოსკოვში, მაგრამ მას მოსკოვის ნაცვლად შესთავაზეს სამი ქალაქი: კიევი, მიწსკი და თბილისი. დიდი ყოყმანის შემდეგ მან კიევი გამგზავრება გადაწყვიტა, მისივე გულწრფელი აღიარებით — „ჩემდა სამარცხინოდ, არც კი ციცილი თბილისი სად იმყოფებოდა და რას წარმოადგენდაო“. და ია, სწორედ ამ დროს ქ-ნ ეზერის ჩაურთავს ტელევიზორი. ეკრანზე იყო ჯავ ბრელი, რომელიც ფრანგებს სსრკ-ში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს უზიარებდა. პირველივე წინადადება ქართველებსა და თბილისის ენებოდა. „ვისაც სურს ნახოს ლამაზი მხარე და საოცარი ხალხი უნდა წავიდეს თბილისშიო“, — უთქვამს ბრელს. „ვიზინად ბრელი დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა, ჩვენ ინფლუსავე გადაწყვიტეთ საქართველოში გამგზავრებაო“. — გვიამბობდა ფრანგი მასწავლებელი. (იმ წლიდან მოყოლებული თბილისის უნივერსიტეტსა და უცხო ენების ინსტიტუტში რეგულარულად მუშაობენ საფრანგეთიდან ჩამოსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები). ბრელი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა. მას კიდევ ერთხელ გაუმეორებია იგვევ ტელევიზიით. პრესაშიც, ხოლო დომინიკ არბანის წიგნში „100 გვერდი ჯავ ბრელთან“ მოყვანილია ბრელის შთაბეჭდილებები: „ქართველები არაჩვეულებრივი ხალხია... ჩემის აზრით, ისინი საოცრები არიან... შთაბეჭდილებები... (ბრელისათვის აღმინანის ყველაზე დიდი ღირსება სიმშავე); ოპ, რა მშვენივრად მღერიან, რა დიდებულო სიმღერები აქვთ და პოეზიის რა მაღალი შეგრძნებაა. მათ მე მომხიბლეს. დიდი სურვილი მაქვს ერთ მშვენივრად დღეს ისევ მივბრუნდე საქართველოში. უეჭველად უნდა ჩავედე თბილისში...“

სუფრის ძველი ტრადიცია აქვთ, მგონი, თამადა ჰქვია სუფრის უფროსს, ყოველ ხუთ წუთში სადღეგრძელოს რომ წარმოთქვამს. ეს ტრადიცია დიდებულო, ლამაზი, უჩვეულოა. ყველაზე მეტად კი იმან გამაოცო, რომ ჩამდინიმი ჰქვის მერე (საე, რომ ჯერ მთვრალი არა ხარ) გაიმინდა სურვილი ყველა გადამეკიცხა. არ-სად მიზნახვს, არასოდეს მიგრძენია და გამოკეთებია ასეთი რამ. რა ყოველმხრივ ლამაზი, მომხიბველი ვერია“

დასანანი, ძალიან დასანანი, რომ ჯავ ბრელმა ვერ მოასწრო საქართველოში ჩამოსვლა, რათა კიდევ ერთხელ მოეხიბლა ქართველი მსმენელები იმ მაღალი და ნატიფი ხელოვნებით, რომელიც დღესაც ცოცხლობს მისი სიმღერებში.



# მობონებები

## თამარ წულუკიძე

თიორიში იქმნება მრავალწლიანი პრაქტიკული ცდების, დაძაბული ძიებების შედეგად, ღრმა და მრავალმხრივი დაკვირვებების საფუძველზე. სანდრო ახმეტელს კი დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობისათვის მიეცა დროის მეტისმეტად მცირე მონაკვეთი — სულ რაღაც ცხრა, თანაც უმძიმესი წელიწადი, ვგულისხმობ მუშაობის რთულ პირობებსა და იმ უკიდურესად დაჭიმულ ატმოსფეროს, რომელიც დროდადრო ისე მძაფრდებოდა, რომ შეუძლებელი ხდებოდა ფიქრიც კი რაიმე მნიშვნელოვანის შექმნასა თუ კეთებაზე.

სანდროს არ უყვარდა ლაბარაჟი საკუთარ შემოქმედებაზე, მან არ იცოდა თავისი ხილვებისა და შთანაფიქრის მოყოლა... ბევრი რამ, რასაც იგი სწვდებოდა და აკეთებდა უაღრესად გამწვავებული და უტყუარი ინტუიციით, კემარატი ხელოვანის გუმანით, ძნელად ყალიბდებოდა სიტყვიერი განსაზღვრებების ფორმაში. ამიტომაც მისი ახსნა-განმარტებები ზოგჯერ ბუნდოვანი იყო, ჩამოუყალიბებელი, რაც მის მოწინააღმდეგეებს აძლევდა საბაზს უპირიციბო, სასტიკი თავდასხმებისათვის.

წლების მანძილზე სანდრო ახმეტელი იწერდა თავის თეორიულ ნაზარესს, შეხედულებებს, მიგნებებს. ეს შრომა შეიძლება ქცეულიყო უძვირფასეს დოკუმენტად ქართული თეატრის ისტორიის შესწავლისათვის, მაგრამ... იგი აიარ არსებობს.

ახმეტელი მიზნად ისახავდა რევოლუციური გზებით გამსჭვალული, ეპოქის თანმიმერი ეროვნული თეატრის შექმნას. მის საოცრად ჰქონდა გამაზვილებელი სინამდვილის შეგრძნება. იგი თანამედროვეობას აღიქვამდა ნათლად, მკვეთრად, უკომპრომისოდ... რაც თვალსაჩინოდ ისახა მის სპექტაკლებში. ახმეტელის თეატრისათვის დამახასიათებელი იყო ხშირი გაღართ-

ვები გმირთა ინდივიდუალური ფსიქოლოგიიდან კოლექტიურ მიზანსწრაფვაზე. მის სპექტაკლებში წამყვანი იყო ამსამბლურობის პრინციპი. სანდრო მიზნად არ ისახავდა მარტოოდენ მსახიობის თეატრის შექმნას, რომლის ფარგლები ვერ დაიტევდნენ მისი მძლავრი რეჟისორული ტალანტის გაჭანებასა და მასშტაბებს, უზარმაზარ შემოქმედებით ენერჯისა და ძაბვას.

სანდროს დადგმებში ყოველი მიზანსცენა, ცალკეული დეტალი აღბეჭდილი იყო განსაკუთრებული, თავისებური საზოგადოებით, თეატრალური ელვარებით, ზუსტი და მკვეთრი გამომსახველობით.

რეჟისორი არა მარტო ორგანიზატორია სპექტაკლისა, არამედ მისი შთამავონებელი ძალაც. რაც უფრო მკვეთრია რეჟისორული ინდივიდუალობა, მით უფრო მნიშვნელოვანი, მდიდარია მისი სცენური ნაწარმოები, მით უფრო მკვეთრად ვლინდება მისი სახე სპექტაკლის თითოეულ დეტალში, ყოველ კომპონენტში, კერძოდ კი აქტიორულ ნაშუფვარში.

ახმეტელის თეატრი ერთდროულად იყო რეჟისორისა და მსახიობის თეატრი. რეჟისორი ისევე ქმნის სპექტაკლს, როგორც მწერალი რომანს. რეჟისორია სპექტაკლის ავტორი, რომელიც დადგმაში კი არ უნდა გაუსახურდეს, არამედ პაჩიოთი — რაც შეიძლება მკვეთრად გამოავლინოს თავისი ავტორობა, საკუთარი ხელწერა და აზროვნება.

ვანა ეინემე შეიძლება თქვას, რომ ახმეტელის სპექტაკლებში მსახიობი ჩრდილში იდგა, არ ჩანდა. აბა. რომელმა წარმოდგენებმა შეუქმნეს ხორავასა და ვსაძეს სახელი თუ არა „რევეამ“, „ანზრომა“, „ინ ტირანოსმა“. მათ სწორედ ამ წარმოდგენებში მიიპყრეს მაცურებლობა და პრესის ყურადღება. მაგრამ ახმეტელის თეატრი მარტო ამ მსახიობთა საფუძველზე როდი შენდებოდა. სანდრო ზრდიდა ნიჭიერ, თამამ, ინიციატივით სავსე ახალგაზრდობას, რომელსაც ღრმად ჰქონდა ვაზ-

გაგრძელება. იხ. „საბუთო ხელოვნება“, № 7, 11, 1980.

რებული ანმეტელის თეატრის პრინციპები და ამოცანებში. სწორედ ახალგაზრდობა ქმნიდა რუსთაველის თეატრის მაღალ პერსონალ-რომანტიკულ სტილს. ამას ხაზგასმით აღნიშნავდა მოსკოვის პრესა, კერძოდ გაზეთი „პრავედა“: „ქართული თეატრის მსახიობებზე ძნელია ლაპარაკი მათი შემოქმედების კოლექტიური შეფასების გარეშე. ყველანი თამაშობენ კარგად, დამაჯერებლად, დარწმუნებით. მათარი როლებს შემსრულებლებს, დასის ძირითადი არტისტები არიან მხოლოდ პირველები თანატოლთა შორის...“ (ჩემი ჩემო თ. წ.).

ჩემო კოლეგებო და ამხანაგებო! მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ ჩვენი არტიტული სიბჭატუის წლები იმიტომ იყო ძვირფასი და შესანიშნავი, რომ ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება მაშინ მოვსულიყავით და მაშინ გვეუწმევა თეატრში, როცა მას ხელმძღვანელობდნენ ისეთი ტიტანები, როგორებიც იყვნენ კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ამბეტელი. მათი გენია პულობდა და მთელი სიხანდით ამჯღაუნებდა ჩვენს მიერ გაუთვითცნობიერებელ შესაძლებლობებს, ხეიწდა, აშალამნიებდა ჩვენს მონაცემებს და ისეთნაირად გვსვამდა სპექტაკლ-ზეიმის, სპექტაკლ-ტრეუმფის ბრწყინვალე ჩაჩროში, რომ თვითელს ჩვენგანს საყუთარი თავი პირველი მნიშვნელობის ვარსკვლავად მიაჩნდა.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ხელოვნების ამ დღესასწაულს ზოგიერთი მონაწილე იგონებდა რა თავის მნიშვნელობას, მეტრმეტად აზვიადებდა საყუთარ წვილს თეატრის ბრწყინვალე გამარჯვებაში. აქედან ვითარდებოდა უსაფუძვლო თვითრწმენა, პრეტენზიები, რომლებსაც დღისთანაში შეჭკონდათ მტკიცედ შეტრული კოლექტივის ერთიანობაში.

სანდრო ამბოდა ხოლმე:  
„— თეატრის წარმატება თავბრუს ახვევს მსახიობებს. დიდი კულტურა უნდა ექონდეს, რომ ზუსტად გამსაზღვროს საყუთარი ადგილი და წინა“. ხშირად იშველიებდა ე. კახალოვის სიტყვებს: „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თეატრი მე უფრო მე იწონება, ვიდრე მე თეატრს. ეს ჩემი ყველაზე ღრმა და უშუალო შეგრძენება არის...“.

დღეს, როცა კითხულობ რუსთაველის თეატრის ზოგიერთი მსახიობის მოგონებებს, ვაკვირვებისაგან ხელებს შლი: განა შეიძლება ამდენი ტრაბახი? ფაქტების ასეთი ვაყვანება? თვითრეკლამით ასე გატაცება? თურმე ნუ იტყვი, ის რომ არაა ქართული თეატრის ვერდღისებობა ვერც „ინ ტირანოსა“, ვერც „თეთნულდს“. ვგონებ, არც სანდრო ამბეტელი იქნებოდა.

სანდრო ამბეტელი იმთავითვე დაეყრდნო პრინციპს, რომლის მიხედვით მას თავისი თეატრი უნდა ეშენებინა მხოლოდ იმ შემადგენლობის საფუძველზე, დასში რომ ეგულდებოდა. გარედან არავის ეპატეიებოდა. ამას აკეთებდა თანამაზრებთან შემდგარი კოლექტივის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით.

მასთვის მხოლოდ სამი შემთხვევა, როცა სანდრო დათანხმდა მიეღო სხვა თეატრების მსახიობები. ეს იყო

ნინო ვლადიმერის ასული ალექსი-მესხიშვილი, (ლდო მესხიშვილის ქალიშვილი), რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში თამაშობდა და ჩვენს დასში ჩაირიცხა 1927-28 წლების სეზონში. ერთი წლის შემდეგ შემოკლებიერდა ტრაგიკული როლებს შესანიშნავი შემსრულებელი ალექსანდრე იმედაშვილი და ძალიან ნიჭიერი, სახსიათო მსახიობი ნუნუ თუვაკარიანი. ორივე გადმოვიდა მეორე სახელმწიფო თეატრიდან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვ. მარჯანიშვილი.

ნინო მესხიშვილის მოსვლამ ბევრი სარგებლობა მოგვიტანა. იგი სიამოცნობით სასვე, ენერგოული, მხიარული ადამიანი იყო და საკმაოდ გამოცდილი, ნამდვილი პროფესიონალი მსახიობი.

იმ ზაფხულს ჩვენი დასი ბოჯაროში ინვენებდა და ემზადებოდა სეზონის გასსახათვის. სანდრომ სთხოვა ნ. მესხიშვილს, როგორც სამხატვრო თეატრის სკოლის ყოფილ მოწაფეს, ახალგაზრდობისათვის რამდენიმე გაკვეთილი მიეცა სტანისლავსკის სისტემის მიხედვით.

კვირაში ორჯერ ვიკრიბებოდი. ნ. მესხიშვილი გვაცნობდა სტანისლავსკის სისტემის ძირითად ელემენტებს, რაც ჩვენთვის ახალი და უჩვეულო ვარჯიში იყო. მართალია, ნ. მესხიშვილი პედაგოგი არ იყო, მაგრამ თავისი ცოცხალი სასაითით, გამოცოცხლებლობით, გონებაშახვილობით შეძლო ჩვენი დაინტერესება.

ზოგჯერ ამ გაკვეთილებს ესწრებოდა სანდრო ამბეტელი. იმ ხანებში იგი საფუძვლიანად სწავლობდა სტანისლავსკის სისტემას (1926 წელს გამოიცა მისი წიგნი „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“) და მასში მნიშვნელოვანი შესწორებები შეუქონდა. შემდეგ სტანისლავსკი თვითონ მივიდა იგივე დასკვანად, რასაც გვიმოწმებს თეატრული მოქმედების მეთოდში, მოგვიანებით საფუძვლად რომ დაედო მის სისტემას.

ნინო მესხიშვილის დებიუტისათვის სანდრომ, მისივე თხოვნით, რეპერტუარში შეიტანა ლასკეროვის „კარმენსიტა“. როგორც მსახიობი, იგი სავსებით პასუხობდა კარმენის როლს. ლამაზი არ იყო, მაგრამ ყურადღებას იპყრობდა დახვეწილი ინტელექტურობით, ცოცხალი მეტყველო სახე ჰქონდა. გამორჩეული მომხიბლავი ქალურობითა და ევროპული იფით.

ამ სპექტაკლში არ ვთამაშობდი, მაგრამ ვესწრებოდა. ნ. მესხიშვილის ყველა რეპერტოკის. მანკვიფრებდა მისი მიზანსწრაფვა, შრომისუნარიანობა. მას ხელს უშლიდა სიტყვების წარმოთქმის სპეციფიკური მანერა. იგი დაეინებით ებრძოდა ამ ნაკლს, წარმატებასაც მიაღწია. რეპერტოკებზე მუშაობდა თავადდებით, მთელი დეტალოვით, შემოქმედებითი ძალების მაქსიმალური დაძაბვით. მრავალჯერ შეიქლო რომელიმე რთული ეპიზოდის გამეორება.

რეპეტიცივზე მოდიოდა ელენგანტურად ჩაცმულ-დახურული, როგორც ნამდვილი „პრიმა“. სახელდახლოდ გამოიყვლიდა ტანსაცმელს და სამუშაო კოსტუმში თავისუფლად ამუშავებდა ყველაზე თამაშს და ჰირეულ მიზანსკენებს. მისი ტემპერამენტული კარმენსიტა გააფთრებისა თუ განრისხების წუთებში იატაკზე გორაობდა.





და, ან ჩოქეთ მოვიღოდა ხოლმე სცენას. ვენბიანად, უკიდურესი სიმძაფრით გამოხატავდა სიყვარულსა და სიძულვოს. რეპერტიკიის ბოლოს აღზნებული და გახურებული, სიცილით ამბობდა ხოლმე: „სულაც არ დააღლივარ, გნებავთ, ყველაფერი თავიდან დაიწყოთ!..“

ჩვენ, ახალგაზრდები, მას გაოცებული თვალებით შევყურებდით. ჩვენ ასე არ შეგვეძლო. პირადად მე რეპერტიკებზე რაღაცა მზლუდავდა, მრცხვენოდა ხოლმე გრძნობების გამოხატვა, თითქოს ყველაფერი ხელს მიშლიდა. და მივლო სპექტაკლის დროს — გრიძში, კისტიუმში, დეკორაციების ადმოსფეროში ვალწყვდი შინაგან თავისუფლებას. არ არსებობს ამაზე დიდი ზედნიერება, როცა განთავისუფლებული, განმუხტული ხარ, მოგწონს შენი თავი, კმაყოფილი ხარ საყუთარი ნამოქმედარით.

სპექტაკლ „კარმენსიტას“ აფორმებდა მხატვარი გიორგი იაყუთელი, მთელ მსოკოეში თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ოსტატი. მაგრამ მუშაობის დროს იგი საოცრად არაორგანიზებული აღმოჩნდა. პიესა თითქმის დამუშავებული გვექოდა, მაკეტა და ესკიზები კი გერჯო არ იყო მზად. თბილისელი მეგობრების გულთბილ გარემოცვაში იაყუთელი მუშაობისათვის ევლარ პოულობდა დროს. ბოლოს და ბოლოს, აიესო სანდროს მოთმინება. ბრძანა — თავის კაბინეტში შეექმნათ მხატვრისათვის ასამუშაო პირობები, შეიტყუა იაყუთელი და ოთახში ჩაქეტა:

— არ გამოგშვებ, სანამ მაკეტს არ ჩამბარებ! დაბრახუნე, როცა ყველაფერი მზად იქნებაო!

„კარმენსიტა“ დაიწყო 1927-28 წლის სეზონი. ნინო ალექსი-მესხიშვილი თბილად მიიღო ქართველმა მკურებელმა. მისი დებიუტი კარგად ჩატარდა.

რა თქმა უნდა, „კარმენსიტა“, თუნდაც თავისი თემატიკის გამო, ვერ გახდებოდა რუსთაველის თეატრის საეტაპო სპექტაკლი, მაგრამ მან, როგორც რიგითმა წარმოდგენამ, საესებით გაამართლა თავი და თეატრის ეკონომიური მდგომარეობაც გამოასწორა.

ამავე სეზონში ნამდვილი გამარჯვება მოუტანა რუსთაველის თეატრს „არღევამ“, რომელსაც საფუძვლად დაედო ბ. ლავრენეის პიესა. წინამორბედ სეზონში იგი წარმატებით დაიდგა მსოკოეში, ვანტანგოის თეატრის სცენაზე. ეს სპექტაკლი კარგად მიიღო მსოკოელმა მკურებელმა და პრესამ.

ჩვენი თეატრის მსახიობებს შორის მთავარი როლები კარგად დაწაწილდა: ვოლენი — უშანგი ჩხეიძე, კაბიტანი ბერსენევი — აკაი ხორაეა, ტატიანა — თამარ ჰაქვაძე და თიკო ლეინაშვილი, ბერსენევა — ნინო ბავთიაშვილი, ქსენიას როლზე დანიშნული იყო სამი მსახიობი — ნინო ალექსი-მესხიშვილი, ბუქუქვა შავიშვილი და მე.

ეს როტული, მრავალწახევიანი სპექტაკლი, თავისი გრანოზული მასიური სცენებით მეორედ და მეოთხედ მოქმედებაში, უმოკლეს ვადაში — სამ კვირაში დაიდგა. ადვილი წარმოსადგენია სწრაფი მუშაობის რიტმი

სანდრომ როლების კითხვასა და მავიდასთან მუშაობას მონადობა სულ რამდენიმე დღე და სწრაფად გა-

დავიდა რეპერტიკებზე. ერთ-ერთ რეპერტიკაზე მან მონადობა გამოიყენებინა გერ კიდევ ინტუიციურად, ნებები, რომელთა მიზანი იყო მსახიობთა სწორი შემოქმედებითი თვითშეგრძნების პოვნა რიტმისა და ფიზიკური მოქმედების საშუალებით. ცისათვის მან არჩია ვოლენისა და ტატიანას სცენა მესამე მოქმედებიდან. ეს ინტიმური ეპიზოდი დამყარებული დიდსა და ილუმალ გრძნობაზე, უნდა ყოფილიყო გარეგნულად შეტყუებული. შინაგანად დაძაბული, აღბეჭდილი მღიღარა ფსიქოლოგიური ნიუანსებით.

თქვენ უკვე იცით ამ ვითარების არსი და მნიშვნელობა — უთხრა მან შემსრულებლებს, — იცით ყოველი ფრაზის ქვეტექსტი. ახა სცადეთ თავისუფლად მიუცეთ იმ გრძნობებს, რომლებიც წამოგვეტრებთ დიალოგის პროცესში. შევიძლიათ ზოგჯერ შესცვალოთ კიდევ ტექსტში მოტანილი სიტყვები. მთავარია იგრძნოთ, რომ თქვენ ხართ ვოლენი და ტატიანა და გამოხატოთ მათი ფიქრები და განცდები. იმოძიავთ ისე, როგორც გინდათ. მიზანსცენები თქვენდაუნებურად, ორგანულად დაიბადება. შემდეგ კი ამოვარჩოთ და განვამტკიცოთ ის, რაც კარგია. გაიგეთ, რას მოვითხოვ — თქვენგან?..“

მე და ჩემმა თანატოლებმა უკვე კარგად ვიცოდით ამგვარი ძიებების არსი გერ კიდევ სტუდიაში მეკადნიეობიდან, „მომოდრამისა და იმპროვიზაციის“ ვაკეეთილებიდან, რომელსაც ვასწავლავდა სანდრო ამბეტელი. ამ ვაკეეთილებზე სანდრო დაყინებდა მუშაობდა სტუდენტებს გამომსახველობაზე, მრავალფეროვანი რიტმის გამოთქმებაზე. მაგრამ იმ მსახიობებისათვის, რომლებსაც არ გაუვლიათ ჩვენი სკოლა, ეს მეთოდი წარმოადგენდა ჩინურ აზნას. რეჟისორი მოითხოვდა იმპროვიზაციის მოქმედების დროს, მიცემული თემის, შესწავლილი ტექსტის საფუძველზე, მიუხედავად ამისა, რეჟისორულ დიქტატს მიჩვეულმა მსახიობებმა ეს ვერ გააკეთეს. დაიბნენ უშანგეცა და თამარც. მათ ვინაშეუშობოდათ, აღიზანებდათ სცენაზე თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა, პარტნიორთან ურთიერთობის უჩვეულო ფორმა, ორივე მხრები აიჩჩა: „ეს რაში გვეჭირდებაო?“ სანდრომაც უმაღლე იგრძნო მსახიობთა შინაგანი პროტესტი. მან კარგად იცოდა, რომ არაფერი გამოვიღოდა შემოქმედებითი ამოცანისადმი ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულების შემთხვევაში.

— „მამ, კარტო. თავი დაეანებოთ. ძველებურად ეიმუშავოთ! — თქვა მან და იქვე ჩამოაყალიბა ზუსტი და გამომსახველი მიზანსცენების მთელი წყება.

„არღევამ“ ვახდა საეტაპო სპექტაკლი, რომელიც უკვე საბოლოოდ განამტკიცა რუსთაველის თეატრის ახალი შემოქმედებითი პრინციპები. სანდრო ამბეტელის დადგმას ახასიათებდა ქეშარიტად თანამედროვე გააზრება. სპექტაკლის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა რეგოლუციური მასა — მონოლითური, მძლავრი და გიროზო...

მსურებელმა „არღევამ“ აღფრთოვანებით მიიღო. მაგრამ პრესისმი კვლავინდებურად იბუქლებოდა ერთმანეთის საპირისპირო აზრი. ნაწილი აღფრთოვანებით აქებდა სპექტაკლს და თეატრის გამარჯვებას აღიარებდა, ზოგიერთები კი დაყინებით ეძებდნენ ნაკლს, რათა



როგორმე შეესუსტებინათ სენსაციური წარმატების ძალა.

აქებდნენ უშანგი ჩხეიძის გოდუნს, თუმცა თვითონ იგი თავისი თავით რატომღაც უკმაყოფილო იყო. არადა მის თამაშში იგრძობოდა ის ძალა და ნებისყოფა, რომელსაც მიჰყვება, ემორჩილება მას. მეოთხე მოქმედებაში უ. ჩხეიძის გოდუნი აღდგოთიანებას იწყებდა სტაქიური, ვაქცური ტემპერამენტით. აქებდნენ თამარ ჰუბუაძის ტატიანასაც — ზუსტად მიგნებულმა ვაწყობილებებმა წარმოშვეს ბუნებრივი სახე. მისი ტატიანა შინაგანად წარწინაწარბული, ნებისყოფიანი, მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო. იგი მამამისს — კაპიტან ბერსენევს ჰყავდა.

თითო ღვინაშივილმა სხვაგვარად გახსნა ტატიანას სახე. იგი სულ სხვა პლანში თამაშობდა — დროადრო. იგრძნობოდა სვედნიანი ლირიული ნიტიები, ქალური სინახე და გზებდა. მეოთხე მოქმედებაში — შტუბესთან სენაში, თ. ღვინაშივილი ხაზს უსვამდა თავისი გმირის პირდაპირობას, შეურიგებლობას, პრინციპულობას. მისი ტატიანა გარეგნობითაც ძალიან მომზიბლული იყო. კარგად მახსოვს ფერმკრთალი, უძლიო დამეებისაგან დადლილი სახე. დიდი, ნამიანი თვალები.

ზორავასათვის კაპიტანი ბერსენევი იყო პირველი როლი, რომელმაც ალაპარაკა მაყურებელიცა და პრენსაც. ჩემი რამბა რწყენით, სწორედ ამ როლით დაიწყო ხორავას აქტიორული კარიერა. ეს მე კარგად ვიცო, რადგან წლების მანძილზე, ჯერ კიდევ სტუდიაში, პარტნიორები ვიყავით. მანამდე მის მიერ შესრულებული ორი-სამი მეგობარისხოვანი როლი წარმოადგენდა მხოლოდ წარმატებით მისინჯულ ცდებს.

ნ. ალექსი-მესხიშვილი ქსენიას თამაშობდა მისთვის დამახასიათებელი სიმკვეთრითა და ექსპანსიურობით. მისი ქსენია იყო ენუგანტური, თვითდაჯერებული, ეგოისტი, რომელსაც გაღმერთებული ჰყავდა საკუთარი პერსონა.

სანდრომ სამეურ ქსენიას მისცა სხვადასხვაგვარი გახარება, მსახიობთა ინდივიდუალური მონაცემებიდან გამომდინარე.

ბუტუვა შავიშვილი ანსახიერებად შეზღუდულ, მაგრამ გულბრწყილო ქალიშვილს, რომელიც მოუფრინებლად ცდილობდა კოკოტობას, რადგან სატყეოსის ეს სტილი „შოკ-მოდერნად“ მიჩნდა და ყველანაირად ცდილობდა არ ჩამორჩენილიყო მოდეს. სისხს ასეთნაირი გახარებად საშუალებას იძლეოდა სასაცილო ტრაკედიისათვის, რაც ბუტუვას ძალიან უყვარდა და რასაც იმეგვინებდა ასრულებდა. მის როლს ძალზე შთამბეჭდავს, მომეგობრის ხეიდა ზომიერების თანდაყოლილი გრძნობა და ქალური მომზიბლულობა.

სანდრო ახმეტელი მსახიობის შემოქმედებაში ერთი ხაზის, ერთი თემის განვითარების წინააღმდეგი იყო. იგი ამბობდა, რომ ეს ტენდენცია მსახიობს ხელგუნებლობას უზიარებს და მრავალმნიშვნელობის გამოკლებების საშუალებებს უსპობსო. ამიტომაც ახალგაზრდა არტისტებს იგი ხშირად ავალბებდა მათი ინდივიდუალობის საწინააღმდეგე, კონტრასტული როლების თამაშს, რაც შესანიშნავ შედეგს იძლეოდა.

პირადად მე ჩემს თავს ვთვლიდი ლირიკო-დრამატუ-

ლი პლანის მსახიობად და უტყბად — ქსენია! კომედიული როლი მიდრეკილებით მძაფრი, სახასიათო სახე! დადგოდა საკმაოდ ღია, ამ აზრს რომ შეეგუებოდი, ვადამელსა ყოყმანობა და ეჭვი. ასეთი რისკი მსახიობისათვის სასიხარულოცა და სასიფათოც.

რეპეტიციებს არ გავდიოდა, მხოლოდ ვესწრებოდი. შეეგუე ამ აზრსაც, რომ ამ-როლის თამაშს ვერ ვეღვრებოდი. მინც სულ ქსენიაზე ფიქრობდი და რეკისორის მიერ, მაგიასთან მუშაობის დროს, მოხაზული მართათულებით ვმუშაობდი.

ჩემი ქსენია არ კოკოტავა უნდა ყოფილიყო და არც თავქარიანი, ქარაფშტავა უნდა, თუმცა მივიღე თავისი მოქმედებით იგი სწორედ ამ გეზისკენ მისწრაფვოდა. ქსენია — გზაბნეული, ტრავმირებული ადამიანია. იგი მსხვერპლად სოციალური, მსოფლიოგრივი ფსიქოლოგიური პროცესების რღვევისა. არც იმდენად ჰკვიანია და სულმირად მდიდარი, რომ ტატიანას მსგავსად გარკვეულ მოვლენათა არსში, თანგრძნობით განმოსტავალი მილონობით გაუგებდურებულ ადამიანსადმი, იბრობოს ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის. ქსენიასთან ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება „სახიზოლარი პოლიტიკა“, რომელიც ხელს უშლის უდარდო ცხოვრებისაკენ ხარბ, ახალგაზრდულ სწრაფვას. დრი-გიოლური რეპოციები თუ თავაშვებული მანერები ქსენიას გარყენილობაზე კი არ მეტყველებენ, არამედ ეს იყო პირატსტი მიმართული ამ უცხო, მტრული გარემოსადმი.

სპექტაკლამდე ცოტა ხნით ადრე ავად გავხდი და პრემიერამ უჩემოდ ჩაიარა. ამიტომაც იმდროინდელ პრესაში არ დაწერილა არც ერთი სიტყვა ჩემი ნამუშევრების შესახებ. არადა, ქსენია ჩემი პირველი უაღრესად სეროზული და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი განაცხადი იყო.

სანდრო ახმეტელმა ჩემთან გაიარა მხოლოდ ორისამი რეპეტიცია, ერთი საერთო სცენური რეპეტიცია, რის შედეგადაც უნდა შეესლუსივი რიგით მეათე თუ მეათორმეტე წარმოდგენაში. რა თქმა უნდა, რეპეტიციების რაოდენობა ძალიან მეცოტავებოდა. სპექტაკლის წინ კი პანიკურმა შიშმა შემომაპყრო. ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენდა მოძებნა როლის სწორი შინაგანი რიტმისა, რომელიც სწრაფი, დაუღეგარი, ქალურული უნდა ყოფილიყო, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა ჩემს თანდაყოლილ რიტმს. სანდროს პირველი რეპეტიცია სწორედ ამ მიმართულებით მიჰყავდა. იგი დაეცნებოდა ამუშავებდა ქსენიას პირველი გამოსვლის მომენტს.

„— ქსენია სცენაზე უნდა შემოიჭრას როგორც ელვა, როგორც გასრილი, — უტყვად, სწრაფად, გამაოგნებლად. აქტიორის პირველი გამოჩენა გასაღები როლის მიოლი ტონალობისა!“

ქსენია, ყურს რომ მოჰყარავდა შეკამათებული გოდუნისა და შტუბეს გალიზანებულ ხმებს, ოთახში შემოხარბდა გამოშვები ხარხარით, ერთგებოდა კამათში, მსახიობად, ორივეს დასცინოდა, აუხად ივდებდა.

სანდრომ ეს სცენა ათერ მინც გამამეორებინა მთელი ხმით, ტემპერამენტით, ნერვების დაქიმივით...





— სუსტია! კიდევ ერთხელ... არ ვარგა! დაიწყე თავიდან!

ძალა მეცლებოდა, ხმა მოლატობდა, ვეხვეწებოდი: „ცოტა შემეხვეწე-მეთქი!“

— შეისვენებ და მოეშვები, გააგრძელებ!

როგორც იქნა მივალწეი იმას, რასაც რეჟისორი მოითხოვდა. შემდეგ ყველაფერი უფრო ადვილად წარიმართა. ჩემს ქაენაში ცოცხლობდა მაკლური ეშმაკი, რომელიც მას ცინიზმისაკენ უბიძგებდა: „დაე, ყველაფერი წყალმა წაიღოს!“

მესამე მოქმედებაში პიესის ავტორი თავის გმირს მოულოდნელად ნიღაბს ხდის. ტატიანა გულისტკივილით ეციხება უმცროს დას:

— შენ ჯერ კიდევ ოცი წლის არა ხარ, არ მესმის საიდან მოდის ასეთი ცინიზმი, ეს თავაშვებული, დამცინავი ტონი?

— ძალიან გინდა იცოდეთ? კარგი, გეტყვი. მხოლოდ ორი წამი შემოძლია ვილაპარაკო სერიოზულად. რის-საც ხდება ეს? ომისაგან, ნგრევისაგან, სიკვდილისა და სისხლის საშინელებისაგან... ცხოვრებაში ჩვენ მამინ შევედით, როცა ირგვლივ ყველაფერი ინგრეოდა. არაფერი გვიჩანდა სიბუდედობის, შიშის, სისასტიკის, მკვლელობის გარდა. ჩვენ არ ვიციით, რა არის სინათლე, მშვენიერება. სკეთე! ჩვენ სიყმაწვილე არა გვქონია. გაუთურებდნენ უკვანძო!...“

ჩემთვის გასაგებები იყო ქაენის სულიერი დაცემის მიზეზები: მე და ქაენა ხომ ერთი თაობისანი ვიყავით. მეც განმეცდია იმ ეპოქის საშინელებები, ასე უდროოდ რომ მოსტეხა, დაბარა ჩემი გმირი. ამ სიხლოვემ წამოჭრა ჩვენი შერწყმა, გათავისება. ამ როლს ყოველთვის გატაცებით, მსუბუქად, თაყვანულად ვთამაშობდი, ყოველ სპექტაკლში გმოულოდნელ ახალ-ახალ დერებას და საღებავებს. სისაზრუს განვიციდით მაყურებლებთან კონტაქტის დამყარების წუთებში.

ჩემს ქაენაზე წერდა მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის პრესა. ახა რომელ არტისტს არ ახარებს წარმავება? მით უფრო ისეთს, რომელსაც სტანჯაქს, ღრღინის ექვო, ფოთორიტეული დამოკიდებულება, ასეთებისთვის კი ქება ბალხაშია.

„სოლევს“ ტრიუმფს დავმება კიდევ ერთი სასახარული ცნობა — სპექტაკლის სახსავად ჩამოვიდა პიესის ავტორი ზორის ლავრენკო, რომელიც დაიხრებრისა ქართულ სცენაზე წარმოდგენილმა თავისი დრამის ინტერპრეტაციამ.

ბ. ლავრენკომა მაღალი შეფასება მისცა ამ სპექტაკლს, განსაკუთრებით მოხიბლმა სპექტაკლის პერიოდიული ქვრადობით. ბედნიერი იყო, როცა უშუალოდ ნახა მაყურებელთა აღფრთოვანება. სპექტაკლის ფინალში, როცა ლეგენდარული ჭაგმნისანი ნელ-ნელა ბრუნვებოდა მაყურებლისაკენ, „ინტერნაციონალის“ თანხლებით, მეზღოურები კი კაბიტან ბერსენევის ბრძანებით მწობარში დგებოდნენ, ხოლო ბოლო იარუსში დამყურებელთა დარბაზის გავლით, თანდათან ეშვებოდა აფრიანული წითელი დროშა, რომელსაც მაყურებლები ფეხზე დგომით უკრავდნენ ტაშს. აპლოდისმენტები გადადიოდა მქუხარე ოაკიებში...“

— ეს განსაკუთრებულ სახასიათა! — ამბობდა

აღლევებული ლავრენკო. — ეს მომენტი აღმემაჩინა, გორც კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ეპოქის დასაწყისი!

თქვე, ძვირფასო სანდრო, გამოავლინეთ ჩემი პიესის მიუღი არსი. თქვენი სპექტაკლის ცენტრში დგას არა მარტო გოდუნი — გმირი და მეთაური, არამედ მეზღვაურთა რევოლუციური მასაც. თქვენ შესანიშნავად დალწყვიტეთ პიროვნებასა და კოლექტივის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. ამ ჰარმონიის გარეშე ჩემი პიესა ვანერულია.

— წარმოიდგინეთ, მე პირველად დავინახე თუ რა შედეგი მოაქვს შემოქმედებით კოლექტივის იდეურ პოზიციას, იდეურ სიმწიფეს.

აქცენტების გადანაცვლებით თეატრს შეუძლია აბსოლუტურად გადასაყვოს, თვდაყირა დააყენოს დრამატურგიული ნაწარმოების დედაბერი. მაგალითად რიგის თეატრმა ჩემი პიესა გაიგო, როგორც ფსიქოლოგიური დრამა და ამ პლანში გადაწყვიტა იგი. სცენაზე დადიოდნენ თეიანაშვილი ჩარბაძეებულ ნენკოსტანეკები...“

ბ. ლავრენკეს ანტერესებდა თუ როგორ გამოხატა თეატრმა მეზღვაურთა სპეციფიკური ჟარგონი, მათი ხუმრობები, „ნეტა როგორ ქვრის ყოველივე ეს ქართულ ტემპი, თემქა, შეგაძნინე, რომ მაყურებლებში მხიარულად რეაგირებენ მეზღვაურთა რეპლიკებზეო“.

მას მოახსენეს, რომ ამ ტექსტზე გულდამსობ მემუბდნენ ჩვენივე თეატრის მწერალი-იუმორისტები: ია ქანთარია და ემანუელ ფახაიძე, რომლებმაც ქართული ფოლკლორიდან მოიშველეს ეკვივალენტური გამოთქმები. მიუღი პიესა კი ქართულ ენაზე ოსტატურად თარგმნა აკაკი ფაღვანი.

1927 წელს მთავრობის დადგენილებით კორპორაცია „დურუჯი“ გაუქმდა.

მიიჭროა 1927-28 წლის სეზონი და კვლავ იჩინა თავი ვითარების ახალმა თემქა არცთუ მოულოდნელმა გართულებამ. ვინაიდან კორპორაცია „დურუჯი“ დაიშალა, ამიტომ ყველას შეეძლო ემოქმედა თავისი ნებასურვილის მიხედვით. რუსთაველის თეატრი დასტოვა მსახიობთა ჯგუფმა — მათ შორის უშმაგი ჩხეიძემ და თამარ ჭავჭავაძემ.

საზღვარი არ ჰქონდა მომურნეების სისაზრუს. ისინი ამ უნიკერბო არტისტების წასვლასთან დასიონებთ რუსთაველის თეატრს სრულ მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ. დასში უმეტესობა ჰკიცხავდა უშმაგისა და თამარის საქციელს: „თეატრს იმ დროს მოუკვიცეს ფრთები, როცა იგი ფეხზე წამოდგაო“.

რა თქმა უნდა, ორი წამყვანი მსახიობის დეკარგა ძალიან სერიოზული დანაყარგი იყო, მაგრამ, მეორეს მხრივ, ზნეობრივი ვალდებულების თვალსაზრისით, ისინი სასუბედი სწორად მოქმედნენ. როგორც კი უშმაგი და თამარი დარწმუნდნენ, რომ ეს მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრს უკვე აღარ დაუბრუნდებოდა, წაიხდნენ თავიანთ მასწავლებელთან და მამასთან, რომლის წინაშე ვალში იყვნენ. კოტე მისცა მათ მეორე სიცოცხლე, აქტიურული დიდება. მივიდნენ მასთან, რათა ცხოვრების რთულ ვითარებაში მხარში ამოსდგომოდნენ, დახმარებოდნენ, ეშველათ.

კინოში კოტე მარჯანიშვილს არ გაუშარებოდა. კინოა



ქალღმერთმა არ გაუღიმა ამ დიდ თეატრალურ რეჟისორს. მან მიატოვა კინოც და რაღაც პერიოდი უსაქმოდ იყო.

როცა მისთან მისივე მოწაფეები მივიდნენ, ბუნებრივად წამოიჭრა მეორე დრამატული თეატრის ორგანიზაციის საკითხი. ყოვლად დაუშვებელი იყო, რომ თეატრალური ხელოვნების ეს ბრწყინვალე მოღვაწეები უსაქმოდ ყოფილიყვნენ. ეს საკითხი ძალიან სწრაფად გადაწყდა. კოტეა შესთავაზეს ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელობა. ე. კარაჩნიშვილმა შეუბრძა პროინციაში მოღვაწე საუკეთესო ძალები და შესანიშნავი კოლექტივი ჩამოაყალიბა.

საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო მეორე სახელმწიფო დრამატული თეატრის დაბადების ფაქტი. ყოველი პრემიერა წარმოადგენდა ნამდვილ ზეიმს. მთელი მატარებელი სავსე იყო ხოლმე მარჯანიშვილის თეატრის გოლუმმატყვიერებით, რომლებიც სპეციალურად ჩადიოდნენ თბილისიდან ქუთაისში სპექტაკლების სანახავად. მერე კი ქუთაისის თეატრის გასტროლები თბილისში ნამდვილ ტრიუმფად გადაიქცა.

სამაგიეროდ, ეპოქამ „მარჯანიშვილები — ახმეტელები“, რაზედაც წინა თავში მქონდა ლაპარაკი, ამოთეოზს მიადგინა.

დამარცხდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც რუსთაველის თეატრს, უშნავის წასვლს გამო, გარდუღაოლ კრახს უწინასწარმეტყველებდნენ. უკვე მომდევნო 1928-29 წლებს სეზონმა მთელი სისასვით გამოავლინა რუსთაველის თეატრის უშუენდებელი აღმავლობა, პოეტური ძალების აყვავება.

სპექტაკლმა „ანზორმა“ (ეს. ივანოვის პიესის „გავშნოსანი 14-69“ მიხედვით), რომლითაც დაიწყო სეზონი, საბოლოოდ განსაზღვრა ეპოქისათვის შესაჯავის ახმეტელის თეატრის იდეოლოგიურ-მატერული მრწამსი — „ფორმით ერთენული და შინაარსით ინტერნაციონალური“.

თეატრში წარმატებები რაოდენობით არ იზომება. ზოგჯერ ერთ სპექტაკლსაც შეუძლია ასალი მიმართულების, ასალი სტილისტიკის დამკვიდრება. ასეთი იყო „ანზორი“, რომელიც გამოირჩეოდა ღრმა იდეური ყველაობით, სიახლითა და გამოისახველობით საუთლებების სიმდიდრით. რაც ერთხმად აღნიშნა მოსკოვის პრესამ 1930 წელს რუსთაველის თეატრის გასტროლების პერიოდში.

ამ სპექტაკლზე იმდენი დაიწერა, ისეთი აღფრთოვანებული რეცენზიები დაიბეჭდა, რომ მე უკვე ვერაფერს დავამატებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ სპექტაკლში დაიბადა, პირველად იდეოტა მთელი ძალით ახალგაზრდა ესა გოძინაშვილის მრავალფეროვანმა ტალანტმა. ამას მკითხე, მეორეხარისხოვანი როლიდან, რეჟისორის შემწეობით, მან შექმნა ნამდვილი შედეგური. მისი პერსონაჟი სპექტაკლის ერთ-ერთ წამყვან ძალად იქცა. სპექტაკლში ამას აქვს სულ სამი მოკლე ეპიზოდი, მაგრამ ე. გომამიშვილი ყოველ მათგანში განუმეორებელი იყო. და ისევე მკეთრად გამოირჩეოდა, როგორც მთავარი როლი — ანზორის შემსრულებელი ავაკი ხორავა.

„ანზორში“ თავი იჩინა ახალგაზრდა გიორგი სალვაძის ნიჭიერებამ. იგი თამაშობდა ჩინელ პარტიზანს,

ფაქიზად. ზომიერების ტრანზიბით ვაღმოსცემდა, ექვემდებარებოდა პერსონაჟის ტიპური პერსონაჟის ტიპურ თვისებებს. იგი დაწინაურდა და წრეულ სახეს ზნადაც.

პიესაში იყო ქალის ერთადერთი როლი, ისიც ძალიან მოკლე. ეს ვახლდა ზარია — ამას საცოლ, მას ტემპერამენტულად, გრაციოზულად თამაშობდა მსახიობი ელენე დონლი.

საერთოდაც ეს სეზონი იყო საოცრად დატვირთული, მიზანსწრაფილად, აქტიური, ისეთი შთაბეჭდილობა რჩებოდა, რომ მსახიობთა წასვლამ სტიმული მისცა კოლექტივს თავისი შემოქმედებითი ძალების მაქსიმალური დაძაბვისა და აღმოფერვისათვის, და კიდევ უფრო ერთსულადინა, მონოთერული გახადა.

ერთმანეთზე მიყოლებით, იდგებოდა ასალი პიესები: კირშინის „ლონდაგი გუგუნებს“, იარკიის „სიძულვილი“, ხაზნულაშვილის „საქმის კაცი“, შიარაბით სუსტად ჩატარდა ხოზიკას კომედია: „სოჭოების დონი“, რომელიც პრიმიტიულად ხატავდა ქართული ემიგრანტების ცხოვრებას პარიზში.

ხაზნულაშვილის პიესაში კვლავ გაიღვა ესაო გოძინაშვილის ტალანტმა სრულიად ასალი, მოულოდნელი ასპექტით. მოხერხებული საქმოსანისა და კომბინატორის, „კერძო საქორწილო კანტორის“ მფლობელის მეზიუსის როლში მან განაცდიფრა საზოგადოება გროტესკული ფუნქიონდორი საშუალებების ისტატური ფლობით, ელენგანტურად ხმარობდა ფრასსა და ცილინდრს, ეფექტური ეონგლობით — ტროსტს.

საერთოდაც, ამ სპექტაკლმა გამოაიღინა რეჟისორისა თუ მხატვრის, აქტიორული ასნამბლის ნიჭისა და ისტატობის სრულიად ასალი წახანაგები. „ანზორის“ — ამ ღრმადღერებულ პათეტური რეველაციური ეპოპის შემდეგ თეატრმა გააკითა სელა უაღრესად დახვეწილი ევროპული სინატების საშუაროში.

ირაკლი გამბეიკლმა ყოილოგვარ მოლოდინს გადააჭარბა კონსტრუქციის თამამი და ორიგინალური გადაწყვეტები. სკენის (კნტროლი იდგა თხილითა მაღალღერძი „ეთაბობჩენისა“, რომელიც შიგინდინ ნათობობა ზევიდან ქეიტით მიხეიკილემ (მუსიკის რარქსი შესაბამისად) ელექტრონის სიხიით. ორქსი მიმარბიული ჰქინდა სამი მეფადნი. ერთი თეატრულდამბეიკი სინალღენზე იყო განლაგებული, იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს მოედანი პაერშია გამოიკედებელი. ამ მოედანზე თამაშდებოდა ბატონ კომპასის სახლის ეპიზოდი. ქვედა მოედანზე, რომელიც მარჯნე იყო განლაგებული, წარმოადგინილი იყო მეზიუსის ოთახი, უფრო ქვემოთ, მარჯნენა მხარზე მოთავსებულ შესამე მოედანზე, ხლებობა მეზიუსისა და ბატონ კომპასის ქალიშვილის ლისა შეხვედრები.

ლოას მე ითამაშობდი. ლია თავისი საზოგადოების ღიმილი შეიღია, იმ საზოგადოებისა, რომელიც ეთავანება მხოლოდ ერთ კრახს — მომხიკელობას. იგი განდებებებული, იგოცენტრული თავინება. მამამისის — ბატონი კომპასის დარად, ლიაკ სთაოოს. რომ ფულით იკელაფერის ყიფია და მოპოიება შიიძობათი იმ მამაკაცისაც, რომელიც მხიბილა იგი თაიის თამამი აფერისტული გაქანებით.

ქსენიას შემდეგ უკვე აღარ მამინებდა ასეთი ექს-





ცენტრული როლის თამაში. უკვე ვიცოდით, როგორ უნდა მივსულიყავი მისთან — რიტმისა და მოქმედების დაშლავით. საჭირო რიტმის გამოცდებში დიდად დაეხმარა კომპოზიტორ ვანო გოციელს მუსიკა — სინკოპირებული, გამომწვევი, ავჯია. ძირითად საყრდენს შემინიწინნ სადროს ახმეტელის მჭკთრი და მხვილო გომირული მოხანსცენები, ეპიზოდების შეუწყვეტილი მონაცვლეობა და მოქმედების განვითარების სულმოუთქმელი სისრულე.

მრავალჯერ შევასრულე ეს როლი, რომლის თამაშს არ მწყინებოდა. ჩემი სახე არ იშტამბებოდა, რადგან სწორი რიტმები, როგორც ჩემი როლისა, ისე სპექტაკლის მთელი სცენური ცხოვრებისა, მეხმარებოდნენ გრანოზების განსაზღვრაში.

თუ მხატვრული სახის რიტმი მოქმენილია და შეთვისებული, თუ ყოველი მოქმედება ლოკუკურად არის გაანაზრებული, რიტმულად დაფუძველებული და დაფქსირებული, მაშინ უზრუნველყოფილი ხასიათის გასანს, როლის ცხოველყოფილობა. თონონ, მოქმედების ძირითად ხაზს უნდა ანეითარებდე თვითჩანდებებით, რწმენით. მხოლოდ მაშინ თვითონივე აღმოცენდებიან საჭირო გრანოზები, როგორც გამოიზიანებლებით გამოწვიოლი რეფლექსი. ასეთ შემთხვევაში მსახიობის თამაში სულ ერთთავად ჩნდებიან ახალი ფერები, ნიუანსები, შტრიხები.

ახლა, როცა ვწერ, ყვილაფერი ეს ადგილი, ნათელი, გასაგები მდონია. საკმარისია მისდით ამ რეცეპტს და უმალოვ ვადაწყდება აქტიორის შემოქმედებით თვითშეკანების პრობლემა სანაზღველოში კი ამ პროცესში გერ კიდევ ბიერი რამ არის გაურკვეველი, ქვეცნობიერი. აქტიორის შემოქმედებითი დსიქიკა ძალზე ძნელი ამოსასწვლია. შემთხვევითი ეს კი არის, რომ სტანისლავსკის სისტემის გარშემო. თვით შის უხალისე მოწაფეთა შორისაც კი მიმდინარეობს ცხარე კამათი.

სანდრო ახმეტელის მიერ პირობითი რეაოქსიზირის საფუძველზე მონახულ ხერხებს ვერ დააზრქმეით მითოს. ეს მხოლოდ მისადგომები იყო მომავალ შემოქმედებით მეთოდთან.

1928 წლის დასასრულს ლბორატორიული მუკადონება შეწყდა. მაგრამ ძიება კოლაჯი მიმდინარეობდა თეატრის დაძაბულ ყოველდღიურ მუშაობაში, ზოგჯერ ხალისთან ატმოსფეროში, ზოგჯერ მძიმე, უმედიერ კონთარებაში, რაც თვითიველ ჩივანებში უნდადბლობისა და იქნის მტკივნეულ გრანოზებში იწვივდა ზოგიერთი მსახიობი ათილოდა და ბუნებრივად ემორჩილებოდა ახლებურ ტრანაეს. ასეთ შემთხვევაში ჩიენს წინ მოულოდნელოდ იხადებოდნენ შესანსწავი ტრანსტები. ზოგიერთები კი ყოველივე ამას აეთვლებდნენ ზერადე, თორმალურად, მექანიკურად ან. თვით სწორად — უფუნურად. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში რამე შედეგზე ზედმეტი იყო იტყვიკ კი. ასეთი არისტოტილი ხელოვნორა, ყლობი ტიმპირამენტული „ათამამებდნენ“ გრანოზებს, როლის ტექსტს არბუნებრივი პათოსით წარმოსთქვამდნენ.

სანდრო ახმეტელს რომ დასცლოდა, იგი ძნელად დასამორჩილებელი მოწაფეებისგანაც აღმოფხვრებია ამ ნაკლს. რუსთაველის თეატრის ზოგიერთმა არტიტმა ეს

ხარევი არა მარტო შეინარჩუნა ახმეტელის შემდეგ, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა და სასიხელშეკმად აქცია. ზოგიერთები კი ყოველივე ამას ისევ ახმეტელს მიაწერდნენ.

მიუღბრუნდით ისევ ხანენკლევერის პიესას. ამ მწვევ პაფეტურტმა მასალამ რუსთაველის თეატრში პპოვა სასტუკების გააზრება. ასუქის კაცი ელვარი, მონდენილი, ნატივი და მხიარული სპექტაკლი გამოვიდა, გამსჭვალული მოულოდნელი ტრიუქებით, ძალზე დიდი წარმატება ხელა. ბრწყინვალე იყო მსახიობთა ანსამბლიც. მებიუსი — ვასო კოძიაშვილი, კომპასი — ვიორტი სარჩემლიძე, რომლის ჩასუქებული, მხენწვევი ბერეკაცი ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ გვეგონებოდათ ბორბლებზე დღას და სრიალებსო, მადალ კომპასს თამაშობდა — მიხენდლი, შენეილებული მოძრაობებით დამძიმებული ნინო დავითაშვილი, უსაქური. თავჯარბან პარიკომპასს — სტეფანე ჯვარბი, მობრხებულ პროსპერს, მებიუსის მსახურს — პიერ კობახიძე, ბუფონური სტილის დეტეჩრის, პოლოკონკ თონ შმეტდეს — იონიტრა მეფეა, მხიარულ ქვერე ფრაუ შნიუტდეს — ნატალია გავაზიშვილი. სპექტაკლიში მონაწილეობდა მებიუსის „საკლავების“ მთელი ბზბო, თვითიველი მთავანი განუყოფრებელი იყო თავისი ხასიათით, ქვეცებითა და ჩაცმულებით. აქ ჩვენმა ახალგაზრდა მსახიობმა ქალებმა ვამოავლინეს უსტიყეო თამაშის შესანსწავი უნარი. ეს იყო ერთმანეთზე უფრო გვევითი და შთამბეჭდავი სახეების მთელი გალერეა.

ამ სპექტაკლში მაცურებლები მოხიბლა ბუყუყა შევიშლის ალინამ. სიენაზე სუფევდა დიდი ოსტატის ხელით მკაცრად ორგანიზებული ორომპრიალი: თავაწყვეტილი რიტმი, სინკოპირებული მუსიკა, სინათლისა და ფერების თვალისმომჭრელი თამაში, ჯახი, ჩარსტონი, აჯობაქვიკა... და ამ გამოფენებულ კაკაფონიაში ისმოდა ერთადერთი ადამიანური გვერა — უბრბო, წრფელი, თბილი. ეს იყო ჩინელი გოგონა ალინა — კომპასის მსახური.

მეორე მოქმედების ერთ-ერთ სურათში უეცრად ქრებოდა სინათლე, ელერდა ნახი მელოდია, ზედა მოედაზნე. პროექტორის სხვისი ვიწრო ზოლში, თითქოს მთავრის მკრთალ ნათელში, ჩნდებოდა ალინას მსუბუქი, თვითრი სილუეტები... მარტოხელა ალინა სტრიოდა შორეულ საშობლობზე... მომხიბვლელად ელერდა მისი სედადანი სიმღერა...

ჩემს ლიანაზე პრესაში ვაჩნდა რამდენიმე სასიამოვნო გამოაზრება. მოჩვენებით თავმდაბლობა იქნებოდა გვერდი ამეგლო მათთვის:

„შემსრულებელთა შორის პირველი ადგილზე დღას უარტესად ნიჭიერი მსახიობი თამარ წულუკიძე. მოძრაობათა სინაზრე, მიზანსცენების გამომსახველობა, მომჯადოებელი მომხიბვლელობა და სიწრფელე ამ ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედების დაშახსიათებელი შტრიხებია“ (გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 31/IV 1929 წ.).

1929-30 წლის სეზონმა შეუჩუნებელი შემოქმედებით აღმველობით ჩაიარა. სეზონი ვაისხნა კირმონის პიესით „ქართა ქალაქი“. ეს სპექტაკლი მიემდნა 26 კომპარის ეკოპეას. იგი განსაზრებულ შთაბეჭდილებას სტაგედა მხატვრული მონაფერის სიფაროვით.



ამ სპექტაკლში კვლავ ახალი ძალით იფეთქა ვასო გოძიაშვილის აქტიორულმა ტალანტმა. იგი თამაშობდა: ვართან — ახალგაზრდა კომუნისტს. ერთ-ერთ შავ ვენც-ნარულ რეპრეზენტს, ციხის კამერის ეპიზოდის შემდეგ (სადაც ინვალისა მერ დაპატიმრებული კომუნარები განაჩენის გამოტანას ელოდებოდნენ), აღმკვებულ სანდრო პარტიოდან სცენაზე აიჭრა და ვასო გოძიაშვილი ყველას თანდასწრებით ვულში ჩაიჭრა, გადაკოცნა. არ ვიცი, ჩემად რა უთხრა, მაგრამ კარგად მახსოვს დაბნეული, ბედნიერებისაგან გაბადრული ვასოს სახე, გაბრწყინებული თვალები, სიყვარულით რომ შეჰყურებდნენ თავის მამასა და მასწავლებლებს.

ვასო გოძიაშვილი, ისევე როგორც აკაკი ხორავა, სანდრო ამბეტელის ქმნილება იყო. სანდრომ წარმოშვა მისგან მსახობები, მანვე გაუყვავა გზა დიდებისაკენ. კიდეც ორი-სამი ასეთი გამარჯვება და ვასო, ისევე როგორც ხორავა, ახალგაზრდობაშივე მოიპოვებდა საკავშირო აღიარებას. მაგრამ... აქტიორული მსახობა სწორად მირჩევს, ცვალებადი, უნებნებადი. მოწინააღმდეგეებმა შესძლეს გზიდან აეცილნათ ესოდენ ნიჭიერი არტისტი. 1930 წელს მოსკოვში ჩატარებული გასტროლებიდან ვასო რადიკალ უკმაყოფილო დაბრუნდა და ამბეტელისაგან წაყვდა მეორე სახელმწიფო თეატრში. რას ელოდა იქ, არ ვიცი. კოტე მარჯანიშვილმა მას ყურადღება არ მიჰქცია, ვინაიდან თეატრში მას ისედაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ჰყავდა. ორი სეზონის მანძილზე ვასოს არ მიუღია არც ერთი მნიშვნელოვანი როლი, წინ არ წასულა, თავი არ გამოუჩენია. ვასომ მთელი სიწმინდით იგრძნო თავისი შეცდომა. ერთხელაც გაბედა და მოვიდა რუსთაველის თეატრში საღამოს სპექტაკლზე. როცა ამბეტელი თავის ლოჯაში მარტო მოიხეტია. შევიდა მისთან და თხოვა, თეატრში დამაბრუნონ. ეს მე ვიცი თვით სანდროსაგან, რომელიც იმ საღამოს სახლში დაბრუნდა აღმოსავლური, დალილი, გულგატეხილი. როცა მიზეზი ვკითხე, მან ეს ინციდენტი მიამბოძა...

„შენ რა უქაშუღე-მეთქი?“ — აღუღვებით შევეცით; რატომღაც მეგონა, რომ ვასოს უფართი არ გაისტუმრებდა, ვერ შეეუღოდა. ჩვენ ხომ ასე ვეჭვირდებოდა ყოველი ნიჭიერი მსახიობი!

— არ ვაბატე! — მომიჭრა მკაცრად და კატეგორიულად. ვიგრძენი, რომ თხოვნა და მტკიცება ზედმეტი იყო.

სპექტაკლ „ლამარას“ ტიციან ტაბიძემ „პოეზიის ზეიმი“ უწოდა. უტყობლმა ურნალისტმა ანა ლიუხა სტრინგმა ეს სპექტაკლი შეადარა სიმფონიურ კონცერტს, სადაც ყოველ სახეს ისე მიჰყავს თავისი ხაზი, როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტს თავისი პარტია. პრესა ერთხმად აღნიშნავდა იმ საოცარ პარმონიულობას, რომელიც ამ სპექტაკლში ქმნიდა დეკორატიული ვაფორმების, მუსიკის, ვანათების, ფერის, მოქმედებისა და მეტყველების სინთეზი. ყოველი ეპიზოდის ყოველი აქტის უცნაური რიტმული ნახაზი, მთელი სპექტაკლის რთული რიტმული კომპოზიცია აღიქმებოდა თვალთა და ყურით, როგორც ფერადოვან სპექტრში მოქცეული მუსიკა. დაიხს ეს მართლაც, რომ სიმფონიური ნაწარ-

მოები იყო აღბეჭდილი უმდიდრესა კლერადობით ტყევიერი და მუსიკალური გამოხასხელობით.

„ლამარასათვის“ მუსიკა შექმნა იონა ტუსკიამ. მისი გამოხასხეული მელიოდები ორგანულად ეტკობებოდნენ ჰოქმედებას, თავის მხრივაც ამავილებდნენ სცენურა რიტმის უნატიფეს შინაგან გარდაქმნებს.

თავისებურ სილამაზეს მატებდა ამ სპექტაკლს მთიელთა მეტყველების მანერა — ხან ენაყურად დიწვი და მღერადი, მნიშვნელოვანებით აღსაყვე ინტონაციით, ხან სწრაფი, არწივის ყვილივით ხორხისმირი და მძაფერი.

საერთოდაც, მთელი სპექტაკლი აღბეჭდილი იყო განუთვრებლად, ენითაუწერილი თვითმყოფადობითა და თავისებურებით.

ძლიერი იყო აქტიორული ასამბლე: მინდია — გიორგი დავითაშვილი, თორღვი — ვანო აბაშიძე, ისო — ხორავა, მურთაზი — ვასაძე, რაიბული — ბიძინა წულაძე, ლავაზი — ბერიანშვილი, ქვათაი — ადამიძე. ლამარას როლზე დანიშნული ვიყავით ნე და ელიკო დონელი.

ამ სრულიად ახლებურად დადგმულ სპექტაკლში სანდრო ამბეტელის ლამარა მკვეთრად განსხვავდებოდა, უბარისპირდებოდა კ. მარჯანიშვილის მიერ შექმნილ ამავე სახეს.

ჩემი ლამარა შევლივით მოქნილი, სწრაფი, ამაყი, ნაზი და თავებდა უნდა ყოფილიყო. მას მუქი წარბებით გამოკვეთილი მწვენი თვალბე, ოღნავ ეკნინი ცხვირი, ოქროსფერი თმა ჰქონდა. ღიმილი — ხან თამამი და გამომწვევი, ხან — ნაზი, მორიდებული, მორჩილი...

პეტის მიხედვით ლამარას პატარა ტექსტი ჰქონდა. როლის გამოძახებლობა დამოკიდებული იყო პლასტიკური ხაზის გადაწყვეტაზე, ყოველი უესტი, მიხრა-მოხრა, გამოხედვა უთქმელად გამოხატავდა სცენური სახის შინაგან ცხოვრებას, მის არსებას. ეს ძალიან რთული ამოცანა განსაკუთრებულ უღერესად დახვეწილ ტექნიკას მოითხოვდა. მაგრამ სიართულებს არ შეუვშინია. რთულად მოპოებული სიხარული ხომ განსაკუთრებული, ვათეკეცებული სიხარულია. და ახლა, როცა უკან ვიხედები, ვემაუბ, რომ ხელოვნებაში ადვილი-გზით არასოდეს მივლია.

ლამარას ბირველი გამოჩენა სანდრო ამბეტელმა ძალზე ეფექტურად ჩაიფიქრა: მინდისა და მწყემსების სცენის დროს ორკესტრში ნელ-ნელა ჩნდებოდა ქალთა მსუბუქი ფეხის ხმის გამოხატვები რიტმი, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ახლოვდებოდა... მწყემსები აქეთ-იქით გარბოდნენ, კლდეებს აფარებდნენ თავს, მინდიაც მათ შორის იყო. მთის მწვერვალზე ჩნდებოდნენ ქისტი გოგონები, ღოჭებით ხელში. ისინი აუჩქარებულად, ერთმანეთის მიყოლებით ჩამოდოდნენ დაღვანული ბილიჭვი, ჭგუფ-ჭგუფად ჩაივლიდნენ სცენის წინა ხაზზე და სცენის სიღრმეში იმალებოდნენ. მათ შორის უქანსკნელი შემობრუნდებოდა ხოლმე და ეძახდა ჩამორჩენილ მეგობარს: „ლამარა! ლამა-არა-ა!“ შორიდან ისმობდა პასუხი: „მოვიდვარა!...“ პაუზა. სადაღაც ზვეით უფერად აღიმართებოდა ხოლმე მსუბუქი სილუეტი... ღია მწვანე ფერის გრძელი ჩაქმულიობა, ოქროსფერი თმაზე მოვლებული თეთრი გამკვირვალე რიდი... იგი კლდის ნაპარლიდან ამოიზრდებოდა,





წამით ჩერდებოდა — თითქოს გაქვავდაო; და აი, უც-  
რად მოსწავდებოდა ადგილი და შურღლეულით ემგებოდა  
დაკაწვდა, ვიწრო ბილიცზე „ნარნარი, სახი, მსუბუ-  
ქი... ლამაზი, როგორც ხილი, გაილეკება, ჩაიჭრება-  
და, ჭებოდა...“

საქეტაღის დებადელია ეს რაღაც ვასოცარი, შეუ-  
დარებელი სანახაობაა, მით უფრო მამის, როცა ერთმა-  
ნეთს უერთდებიან, უკავშირდებიან, პარპონიულ ძალი-  
ანობაში ყალიბდებიან ცალკეული ნაწილები, დეტალები,  
კომპონენტები...

ოპ რამდენი ველსატკენი ხარვეზი ჩნდება ხოლმე  
ამ დროს. ანა, რომელ ერთს უნდა მიხედო... ისეთი  
შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს არაფერი არ არ-  
ის მზად! ზეგ კი პრემიერია. არა, ეს შეუძლებელია. კი-  
დეც ერთი კვირის სამუშაოა განსაკუთრებით!

ასე გგონია, რომ ხარვეზების ეს საძიწელი მოზღვა-  
ვება არასოდეს შეწყდება. და აი, საყვირებელია — პრე-  
შიერაზე ყველაფერი გამოსწორებულ, მოქმედავებულ,  
იგი, გამაღმინებელია! ეს ნამდვილი საყვირებელია გა-  
ნაღით!

„ლამარას“ პრემიერა დანიშნული იყო 1930 წლის  
25 აპრილს, კვირა საღამოს. პარასკესე შედგა დიო გენე-  
რალური რეპეტიცია, რომელსაც სწორებდნენ სტუმ-  
რები, სამხატვრო საბჭოს წევრები, პრესის მუშაკები.

საექტაღი იმდენად მოუშვივებელი აღმოჩნდა, რომ  
სამხატვრო საბჭოს წევრებმა პრემიერის გადატანა მოი-  
თხოვეს. ს. ახმეტელმა არ მიიღო ეს წინადადება. მან  
დარაქმუნა საბჭოს წევრები, რომ ზევისათვის ყველა-  
ფერი შესწორებულ იქნება. „ეს შეუძლებელია!“ —  
მხრებს იჩქადადნენ კრიტიკოსები. „საქმედი შესაძლე-  
ბელიაო!“ — ამტყიცებდა რეჟისორი — „აფიშები გა-  
ტრულია, პრემიერის გადაწევა საბაბს მისცემს მითქმა-  
მოთქმასო!“

კამათი რეჟისორსა და სამხატვრო საბჭოს წევრებს  
შორის გამწვავდა. სტუმრებმა უქმყოფილოდ დასტო-  
ვეს თეატრი. მათ აღიზიანებდათ სანდროს სიჯიუტე,  
თეთლდაჭერბული მოქმედება.

თავი სანდროც უქმყოფილო იყო საქეტაღლით.  
პირველ რიგში, დეკორატიული გაფორმებით, კონსტ-  
რუქციის მეტისმეტი სიმძიმით, არასწორად გაანაოი-  
შებული პერსონაჟები; ერთი სატყეით, საჭირო იყო  
დეკორაციების გადაკეთება, აქედან გამომდინარე, მრავა-  
ლი მიზანსკენის, განათების შეცვლა. მართლაც, დიდი  
სამუშაო იყო ჩასატარებელი.

სანდრო გამომწვილობდა სტუმრებს, დაითხოვა მსა-  
ხმობებიც, დასტოვა მხოლოდ მხატვარი ირაკლი გამრე-  
კელი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ნიკოლოზ კრავიშვილი  
და სკენის მუშები. იქვე სახელდახლოდ დიუწყის დე-  
კორაციის ცალკეული დეტალების გაოკეთება-გადმოკე-  
თება, ზოგან კოტა რამ შეამკირეს, ზოგან გადადაღვი-  
ლეს, წამისწიეს და ა. შ. მუშაობდნენ მთელი დამე, და  
როცა შაბას დილით მსახიობები რეპეტიციაზე მივიდ-  
ნენ, მათ ვაკონებს საზღვარი არ ჰქონდა. დახებდა განა-  
ხებურბული კონსტრუქტორი, რომელიც გაცილებით უფრო  
სადა, კომპაქტური, გამომსახველი გახდარბო.

მთელი დღე თეატრში ვიყავით. საღამომდე ვმუშა-  
ობდით სულმოუთქმელად. მერე სანდრომ ყველა გავა-  
-

თავისუფლა და თვითონაც წაივდა სახლში დასვენებ-  
ლად. დამე უნდა ემუშავა საქეტაღის „მინისტრისკენა-  
ზე“ მხატვარი ირაკლი გამრეკელი და თეატრის ელექ-  
ტრიკოს ტიგარან გრიგორიანთან ერთად.

კვირას დღისით ჩატარდა რეპეტიცია, რომელმაც და-  
გვაწყურა და დაგვიმედა, გუნება-განწყობილება გა-  
მოგვიყვინდა. საქეტაღის შინაგან ცხოვრებას, მის პო-  
ეტურობას ვერაფერი დააკლო დეკორაციების შეცვლამ,  
აირიქით, იგი თითქოს უფრო ცხოველყოფილი გახდა.

და მინც, აბა ვის შექმლო გამარჯვების გარანტირე-  
ბა? როცა მხატვარი საჯაროდ გამოაქვს თავისი ტილო,  
იცი, რომ იგი ასოლუტურად დასრულებულია. საქე-  
ტაღში ასეთი რამ არ არსებობს. ყოველი საქეტაღი  
სახანავედება წინამორბედისაგან. მინც რა იწვევს ასეთ  
ცვლილებებს? ემოციური აღმადრუნა, შინაგანი განწყო-  
ბა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მაყურებელია დარბახი,  
აუდიტორიის დონე...

„ლამარას“ პრემიერამ უდიდესი წარმატებით ჩაი-  
რა. ამ საქეტაღში განსაკუთრებული აღიარება ჰპოვა  
გიორგი დავითაშვილის მინდიამ. ეს მართლაც დღეწეყა-  
რი სახე გ. დავითაშვილის შემოქმედების გიორგინი  
იყო. მისი გმირი ასხივებდა პოეზიას, სულისმომსახი-  
ბოსა და სინათლეს. შესაძლოა, იმიტომ, რომ ამ როლში  
გიორგის საშუალება მიეცა სრულად გამოველნებინა  
თავისი თავი, საკუთარი არსება... ჩვენ, მსახიობები, კარ-  
გად რომ ვიცნობთ ერთმანეთს როგორც ცხოვრებაში,  
ისე სცენაზე, ამას შეუცდომლად ვგრძნობთ ხოლმე.

აბიან მსახიობები, რომლებიც შინაგან ასხივებენ  
სიკეთისა და კეთილშობილების სხივებს. გიორგი დავი-  
თაშვილი ცხოვრებშიც ასეთი იყო. იგი სულგორად ენა-  
თესავებოდა თავის გმირს. არა, იგი ანგელოზი სულაც არ  
იყო. მშვენიერად ერკვეოდა ადამიანებში, ვულუბარყვი-  
ლობა და მიამიტობა არ ახასიათებდა. ოდნავ შესაბნო-  
რი ინტონაციათა თუ გამოხედვით ყოველთვის ამკადე-  
ვებდა თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მსახიობის  
პიროვნებისადმი.

ვერაინ, თვით მოზურნეებიცა და არაკეთილმსურ-  
ველნიც კი ვერ დასრუდნენ მას ბრალს ქედმაღლობა-  
ში, თვითკმაყოფილებასა და ეგოიზმში — ამ სწინელ  
თვისებებში, რომლებსაც ვერ აპატებ თვით ყველაზე  
სახელგანთქმულ, დიდი ნიჭით აღჭორობებულ ხელოვან-  
საც კი. გიორგისათვის სრულიად უცხო იყო შემოქმე-  
დებითი ეგოცენტრიზმი. მას მთელი არსებით აინტერე-  
სებდა, აღელვებდა თეატრის ბედი, ყოველი პარტნიო-  
რის წარმატება და მიღწევები.

„ლამარაში“ მე და გიორგი დავითაშვილს გვეონდა  
მხოლოდ ორი პატარა ეპიზოდი პირველი მოქმედების  
დასაწყისში, შემდეგ ჩვენს უკვე ერთმანეთს აღარ ვხვდ-  
ბოდით. მაგრამ მინდის თეატლები — სინარლითა  
და სინაზით სასვე, სულიერი აღმადრუნა, საიკრად თბი-  
ლი, მითრთობა ჩემ ხე, ჩემს ლამარას შთაგონებდნენ,  
მამკლედნენ შემოქმედებით ბიძგ საქეტაღის მომდევ-  
ნო მოვლენების გათამაშებისათვის.

იგი დიდ დახმარებას მიწვედა თავისი კვიანი და ქ-  
თილი რჩევებითაც. სხვისი წარმატებით, სხვისი ოსტა-  
ტობით აღფრთოვანების უნარი ხელოვანს უნებარებ-  
ს საქეტიველ მისინობარობასა და სიწრფელეს, რა



ესოდენ აუცილებელია შემოქმედებითი ურთიერთობის გამსაითარებლად, რთული, სულსმიერი კონტაქტების დამყარების წუთებში.

ვიორგი დავითაშვილისაგან ჩვენ, ახალგაზრდა მსახიობები ესწავლებდით მეგობრულ ტაქტს, თანაგრძობას, დელეკატურობას, პარტნიორთან ფაქიზ დამოკიდებულებას, რაც ხელს უწყობს ხოლმე იმ ზეაქუელი შემოქმედებითი ატმოსფეროს დამკვიდრებას, ურობლისოდეს სცენაზე ვერ დაიბადება ჰემსპირტიად მხატვრული ნაწარმოები.

პრესა დიდი თანაგრძობით განმისჯვალა ჩემი ლამარას მიმართ, როგორც თბილისში, ისე 1930 წელს მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს. ეროვნული თეატრების ოლიმპიადაზე. მოვიყვან მხოლოდ ერთ გამომსახილს იმ მრავალრიცხოვანი, აღვრთივანებული რეცენზიებიდან, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ამ სპექტაკლს.

...მაგრამ ამ სპექტაკლში ყველაზე შესანიშნავია თამარ წულუკიძის თამაში ლამარას როლში. თ. წულუკიძე რუსთაველის თეატრის სიამაყეა. მისი ლამარა — მსოფლიოს სცენაზე შექმნილ ქალთა სახეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი როლია. ამას იგი სპექტაკლში გამოჩენისთანავე ამტკიცებს. — უთქმელად, ერთი მომარაბით, ერთი მონახაზით“. (ვახუტი „ხაჯოვსკი პროლეტარი“ 1930 წლის 22 ივლისი).

არა! წარმატებას ჩემთვის თავბრულ არ დაუხევევია, არ დამოყარავს თავი და გონება. ყველაფერში ვერკვეოდი, კარგად მესმოდა, რომ უდიდესი ოსტატის მიერ შექმნილ შესანიშნავ ტილოზე ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფერი, ერთი საღებავი, ერთი დეტალი. გამარჯვებას ეუმიანლოდი მას და არა საკუთარი თავს.

მოგვიანებით ქართული კრიტიკოსები ადანაშაულებდნენ სანდრო ახმეტელს ეროვნული რიტმის ძიებაში, წარსული ცხოვრებით, კერძოდ. მთიელთა წეს-ჩვეულებებით გატაცებაში. მერე, „ლამარას“ მიაკერეს ნაციონალიზმი, ფორმალიზმი, სხვა ბრალდებებიც.

სანდრო ახმეტელი საჯარო გამოცემების დროს ხაზგასმით ამბობდა ხოლმე, რომ „ლამარაში“ იგი ეძებდა ეროვნული თეიმყოფადობის საწყისებს, რაც მას დაეხმარებოდა შემდგომ მუშაობაში მთელი სისასვითა და სიცხადით გამოველენებინა უცხო კულტურის ყოველგვარი გავლენისაგან დასლევული, პირველქმნილი სიწმინდე და სიღიადე ქართული ხალხის სულისმიერი ცხოვრებისა, მისი მატერიალური კულტურისა.

„ლამარა“ ისეთი სპექტაკლი იყო, რომელშიც ფოლკლორული საფუძველი მხატვრულ აუცილებლობას წარმოადგენს. ყოველ ხალხს თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიულ მანძილზე შექმნილი აქვს აზრის გამოხატვის საკუთარი და განსაკუთრებული საშუალებები, ხორცშესხმული პოეტური აზროვნებისა და მეტყველების, პლასტიკური, სახეითი თუ მუსიკალური ხელოვნების თეიმყოფად ფორმებში.

„ლამარაში“ საოკრად დახვეწილი და რთულენული ორნამენტი თეიმოზანს, თავისთავისათვის არსებულ დივერტისმენტს კი არ წარმოადგენდა, არამედ გამოხატავდა სპექტაკლის დედააზრს, სახეობრივ წყობას, იმ ცხოვრებისეულ ატმოსფეროს, რომელშიც მოვლუენები ბუნებრივად ეითარდებოდნენ. მთავარი იყო ის, რომ ამ არათანამედროვე სიუჟეტის საფუძველზე მთელი სისასვითი ვლინდებოდა ქართული ხალხის თვისებები — გმირულ-რაინდული სული, ზნეობრივი სიწმინდე და სისპეტაკე. ერთი სიტყვით, ის სპექციფიკური დაღები-თი მხარეები, რომლებიც დღესაც ამშვენებს, ამკობს ქართველ კაცს.

„ლამარაში“ მიგნებული ეროვნული რიტმის საწყისები საფუძვლად დაედო სპექტაკლ „ანზორს“ — ამ გრანდიოზულ რევილუციური ტილოს, სათავე რომ მისცა ეპოქის თანხმირი რეცენური რეალიზმის ახალ გზებს.

თავისი შემოქმედებითი მრწამსის განმტკიცებისათვის სანდრო ახმეტელს მოუხდა დიდი, რთული, მტკივნეული ბრძოლების გადტანა. ამ ბრძოლებით აიძულა მოწინააღმდეგეც კი, ელიარბინათ მისი გზის სისწორე. მის არაერთხელ უთქვამს გულისტკენითა და გაჯავრებით:

— რა საშინელება! რა აუტანელი ყველაფერი ეს. უკან მინც არ დავიხვე... ბოლოს და ბოლის ხომ მინც გაიგებენ, რომ ჩემს მიერ არჩეული გზა სწორია და მართალი!

და აი, როგორც იქნა დადგა ეს დროც — 1930 წლის ივნისში მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს თვალსაჩინო გახდა, რომ სანდრო ახმეტელმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მოწინააღმდეგეებთან შემოქმედებით ბრძოლაში. მან ეს სასტიკი ბრძოლა მოიგო არა მარტო თავისი დიდი რეჟისორული ტალანტით, თანამედროვეობის მიერ წამოჭრილი ამოცანების შემგარნებითა და ღრმა ცოდნით, არამედ თავისი ჰემსპირტიად ვაჟაკური, შეუდრეკელი ხასიათით, დიდი, უღრეკი ენებისყოფის წყალობითაც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# ელემენტარული სტრუქტურულ- რიცხვული მოდიფიკაციები

პლატონური მოძღვრება რიცხვზე,  
ფიზიკური წინასწარი ცნობა

წინამდებარე წერილი ა. ლოსევის სამი წიგნიდან, 1968, 1969 და 1975 წ.წ. მოსკოვში გამოქვეყნებული „ანტიკური ესთეტიკის ისტორიიდან“ ამოკრულია ნაწილების თარგმანს წარმოადგენს. ხსენებულ ნაწილებს აერთიანებს ერთი და იგივე თემა, სახელდობრ, ანტიკური მოძღვრება სტრუქტურულ-რიცხვულ მოდიფიკაციებსა და მათთან დაკავშირებულ აკოზმის განვითარების რიცხვულ სტრუქტურაზე.

## ა. ლოსევი

